პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

№109 (12 178)

11 მაისი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


# ვის მიემხრობა იმერეთი და ვის მხარესაა ხელისუფლება?

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან



გუშინ ქუთაისში. გიორგი ნემსაძე და პარლამენტის წევრი ვალერი გიორგობიანი (მარცხნივ)

მამუკა კაკაურიძის ფოტო

ზეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებია – სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" ყრილობის 33 დელეგატი სამ კანდიდატს შორის გააკეთებს არჩევანს – ნოდარ ახალკაცი, გიორგი ნემსაძე და მამუკა კვარაცხელია. წინასაარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შედის. ამ მხრივ სხვებზე მეტად გიორგი ნემსაძე აქტიურობს. სამეგრელოსა და აჭარაში ვიზიტის შემდეგ, გუშინ მან იმერეთი მოიარა და საფეხბურთო საზოგადოებას თავისი საარჩევნო პროგრამა გააცნო.

3

## 10 კითხვა 3 კანდიდატს

1. პატიოსნად ჩაირა თუ არა წინასაარჩევნო კამპანიამ? ხომ არ იყოს ზეწოლა სახელმწიფოს მხრიდან?
2. როგორ უნდა აამაღლოს ფედერაციამ ეროვნული ჩემპიონატის დონე? რა საშუალებები აქვს ამისათვის?
3. რა უნდა იღონოს ფედერაციამ ბავშვთა ფეხბურთის დონის ასამაღლებლად?
4. რამდენი გუნდია ოპტიმალური ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგისთვის? რა მინიმალურ ცენზს უნდა აკმაყოფილებდეს გუნდი?
5. უნდა იყოს თუ არა მსაჯთა კომიტეტი დამოუკიდებელი? რა მექანიზმით შეებრძოლებით ჩაწყობილ თამაშებს? უნდა ჩაერიოს თუ არა ამ საქმეში პროკურატურა?
6. როგორ უნდა გადანაწილდეს ფუნქციები ფედერაციასა და პროფლიგას შორის?
7. რითი შეიძლება დაეხმაროს სახელმწიფო ფეხბურთის ფედერაციას? პირდაპირ თუ ირიბად?
8. რომელი ფინანსური ჯგუფები გიჭერენ მხარს?
9. თქვენთან ერთად ვინ იმუშავებს ფედერაციაში?
10. ვინ იქნება ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელი?

**ამ კითხვებს პრეზიდენტობის სამივე კანდიდატი ხვალინდელ ლელოში უპასუხებს**

# ახლავე! 2011 წლამდე ლოდინი არ მინდა!

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან 11



გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანდრო იაშვილი

# ტოპი ამ შემთხვევაში მართალია

22 წლის ასაკია, ტვინი მითებით რომ არის დატვირთული, ნაცრისფერი ნივთიერება თავისებურ ტონუსშია. ფეხბურთელისთვის ეს გარდამტეხი პერიოდია.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ფეხბურთელი ცოტაა. ხომ გაგიგონიათ გამოთქმა - მაგას თავი უკვე ფეხბურთელი ჰგონია. სწორედ ასეთ ფეხბურთელს ვგულისხმობ.

**სანდრო იაშვილს** შეუძლია თამაში შემოატრიალოს, თამაში მოიგოს, ეს ალბათ უკვე იმას ნიშნავს, რომ ის ფეხბურთელია, მაგრამ სად, მხოლოდ საქართველოში?

ფეხბურთელი ყველგან ფეხბურთელია, უბრალოდ ის ბალახშემხმარ, უმაყურებლო მოედანზე უფრო სხვანაირია, ვიდრე იქ, სადაც ფეხბურთელის ფასიც იციან და ფეხბურთით ტკბობაც. იქ ალბათ უფრო მდიდარნიც არიან საფეხბურთო მითებით.

ერთმა ამერიკელმა მითხრა, ქართველებს გგონიათ, რომ ჩვენ მითები არ გვაქვს და ფუყე ერი ვართ, მაგრამ მერილინ მონრო, ელვის პრესლი, ჯონ ფიტჯერალდ კენედი, - ყოველივე ეს მითი არ არის?!

ცხადია, თავისებური მითები აქვთ თინეიჯერ და თინეიჯერობიდან ახლახან გამოსულ ქართველ ფეხბურთელებს. რამდენიმე წლის წინ, "დინამოს" მწვრთნელმა მითხრა, იაშვილს ხელზე ტატუ აქვს, მანქანას დააქროლებს, ტვინში ათასი რამ უქრისო.

ასეც უნდა იყოს. ამ ასაკში ფეხბურთელს ამიტომაც უხარია ფეხბურთის თამაში, რომ BMW-ს დააგელვებს, ძვირიანი მობილური აქვს, თავისუფლების სურნელით ტკბება და ბევრ რამეზე ხელი მიუწვდება.

პრობლემა იაშვილს ხასიათია - ეს მისი რამდენიმე მწვრთნელისგან გამიგონია. მაინც რა არ მოსწონთ ჩემს ხასიათში? უკითხავს სანდროს. ალბათ ის, რომ მას ჰგონია, უკვე ძალიან ბევრი შეგიძლია.

ფეხბურთი კამათის გარეშე არ არსებობს. იაშვილზე უკვე ბევრს რომ კამათობენ, ამას შეძლება უნდა და იაშვილმა ეს უკვე შეძლო.

შარშანწინ იაშვილი "გლაზგო რეინჯერსში" იყო გასინჯვაზე. ამ ბიჭს ფეხები ზამბარასავით აქვს, უთქვამთ რეინჯერსელებს. თუ რას ფიქრობდა მასზე ალექს მაკლიში, **შოთა არველაძისგან** ვიცი. ამ ბიჭში არის რაღაც - უთქვამს "ჩაფრების" წითურ მენეჯერს.

ისიც ვიცი, თუ რა აზრის არიან მასზე **კლაუს ტოპმიოლერი** და მისი სამწვრთნელო შტაბი. იაშვილი მათ პირველად შარშან გამოსცადეს ალბანეთისა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში. მაშინ იაშვილმა საგოლე პასი გააკეთა, ტოპი და მისი შტაბი კმაყოფილი დარჩა.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რამდენჯერმე უთამაშიათ წონამომატებულ ფეხბურთელებს, თუმც მხოლოდ მაშინ, როცა გუნდს ქართველი მწვრთნელი ჰყავდა. უცხოელ მწვრთნელებს ჩვენი ნაკრებისთვის ასეთი რამ ჯერ არ უკადრებიათ. თუნდაც ამიტომაც ღირს უცხოელი მწვრთნელის ყოლა. იაშვილს ზედმეტი წონის პრობლემა ხშირად აწუხებს, ზოგჯერ მაშინაც კი, როცა შეკრებიდან ახალი ჩამოსულია. ის ზედმეტი წონითაც ჯაბნის მეტოქე მცველებს, მაგრამ არასასურველი კილოგრამები ამძიმებს და თამაშს უძნელებს. ტოპი მართალია, როცა ასეთი ფეხბურთელი ნაკრებში არ აჰყავს - მიდი და, ეკამათე ამის მთქმელს.

ამბიციურობა, სანკრისტული ტატუ, ჟინი, მკერდით ჩამოლებული ისეთი ბურთები, მცველები თავით რომ წვდებიან, **დუშან უჰრინის** შეძახილი Come on იაშკა! ეს ყველაფერი ფეხბურთის ნაწილია, მაგრამ წვეთია იმისთვის, რომ მითი შექმნას.

5 მაისს "ოლიმპი"-"დინამო" იყო, იაშვილს თამაში არ წაუვიდა, ვერ აჯობა ოლიმპელ მცველ **გიორგი ონიანს**. თამაში ვის არ ჩაუგდია. "დინამომ" ვერ მოიგო და ჩემპიონობის შანსი ძალიან შეიმცირა. თამაშს ტოპმიოლერიც ესწრებოდა და ალბათ ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მომხდარსაც უკავშირებდა "ოლიმპი"-"დინამოზე" ნანახს.

ვაკეში, "ირაოს" მოედანზე მინიფეხბურთის ტურნირი იმართებოდა, "აბუს თასი", სადაც ტოპმიოლერი ალბათ შემთხვევით, ასე ვთქვათ, გავლითაც კი მოხვდა. ტოპიმ იქ ორი დინამოელი ნახა, "ოლიმპთან" უმნიშვნელოვანეს მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე "ირაოზე" გამართულ ტურნირზე რომ თამაშობდა, ერთ-ერთი მათგანი იაშვილი გახლდათ. ვინძლო ეს თავისებური განტვირთვაც კი იყო "ოლიმპთან" მატჩის წინ, მაგრამ ტოპი ამან ძალიან გააბრაზა, ალბათ იმიტომ, რომ იაშვილს ეროვნული ნაკრების კანდიდატად მიიჩნევს.

ტოპი ამ შემთხვევაშიც მართალი უნდა იყოს. მითებით დატვირთულმა 22 წლის ფეხბურთელმა სხვა კალაპოტი უნდა მოძებნოს, ვინძლო საქართველოს გარეთ.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ ოთარ კორლალიძესთან

# ახალკაცის მომხრეებთან ვითანამშრომლებთ

**გიორგი ნემსაძე წინასაარჩევნო შეხვედრებს აგრძელებს. გუშინ ის და მისი მომხრეები იმერეთს ესტუმრნენ. ნემსაძის გუნდის ერთ-ერთი სახე თბილისის "დინამოს", "გურიის" და "ტორპედოს" ყოფილი მოთამაშე ოთარ კორლალიძეა. ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი წინასაარჩევნო ბრძოლაშიც აქტიურად მონაწილეობდა - სწორედ ამ პერიოდში აირჩიეს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად.**



ოთარ კორლალიძე

**- ოთარ, გულახდილად გვითხარით, ნემსაძის გუნდში როგორ აღმოჩნდით? ხშირ შემთხვევაში, ოპოზიციას მოქმედი პრეზიდენტისადმი უარყოფითი დამოკიდებულება და არა თანამოაზრეობა აერთიანებთ ხოლმე.**

- ეს მე არ მეხება და არც ჩვენს გუნდს. ეს გულწრფელად შემიძლია გითხრათ. პირადად მე სიძულვილით არჩევანი არასდროს გამიკეთებია. გიორგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ლანჩხუთის "გურიაში" რომ ჩამოიყვანეს. გუნდში ლიდერი ვიყავი და თავიდანვე დავმეგობრდი მასთანაც, მამამისთანაც დღემდე ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს. ასე რომ, მე და გია ნოდარ ახალკაცთან დაპირისპირებამ კი არა, მეგობრობამ და საერთო აზრებმა დიდი ხანია გაგვაერთიანა.

ჩემთვის არასდროს საეჭვო არ ყოფილა ის ფაქტიც, რომ გიორგი დღევანდელ პრეზიდენტს ბევრად სჯობს - გინდა პიროვნულად და გინდა საქმისადმი გულიანი, აზრიანი დამოკიდებულებით.

**- ეს მაინც ზოგადი ფრაზებია. კონკრეტულად?**

- საარჩევნო პროგრამით, რომელიც პრობლემების მოგვარების რეალურ გზას ითვალისწინებს და არა ზოგად პრინციპებს. პიროვნულ თვისებებზე უკვე გითხარით და რაც მთავარია - ნემსაძემ ფეხბურთი იცის. მისი მილიონი პლუსის ჩამოთვლა შემიძლია.

**- კარგით. მაშინ იმაზე ვისაუბროთ, თქვენი გუნდის საარჩევნო პროგრამა სხვებისგან პრინციპულად რომელი პუნქტებით განსხვავდება?**

- ამ განსხვავებას ნემსაძის არჩევის შემთხვევაში გუნდები და რეგიონები იგრძნობენ. ჩვენ მშვენივრად მოგვეხსენება, რეგიონებში ვის რა უჭირს და ვითარების გამოსწორებას რეალურად ვაპირებთ და არა ლოზუნგებით. გავგიჟდი კაცი, თურმე ახალკაცი იმერეთის რეგიონული ფედერაციის ოფისშიც არაა ნამყოფი! რეგიონების პრობლემებს თუ არ იცნობ, პროგრამა როგორ უნდა დაწერო?

**- ნამყოფი არის თუ არა, იმერეთის ფედერაციის პრეზიდენტი მანაგაძე ახალკაცს უჭერს მხარს.**

- (იცინის) დაველოდოთ 13 მაისს... გავაგრძელებ პროგრამაზე საუბარს. განსაკუთრებულ ყურადღებას გუნდების დახმარებაზე გავამახვილებ. ეს რომ მხოლოდ სიტყვები არ იქნება, ჩვენი გუნდის გამარჯვების შემდეგ გამოჩნდება. სირცხვილი არაა, ფოთის გუნდი უმაღლესში რომ არ თამაშობს? ის ლიგას უნდა დაუბრუნდეს.

**- ნუთუ უმაღლესი ლიგის 18 გუნდამდე გაზრდას მართლა აპირებთ?**

- ეს რა შუაშია? როდესაც გუნდებს ფინანსურად დაეხმარები, ის თავისთავად გაძლიერდება და მერე ფოთის გუნდი უმაღლესში ისედაც დაბრუნდება. სახელმწიფო და ფედერაცია საამისოდ ყველაფერს გააკეთებს.

ამას გარდა, მწვრთნელებს ევროპის, რუსეთისა და უკრაინის ცნობილ კლუბებში სტაჟირებაზე გავუშვებთ.

**- წინასწარ რომელიმე კლუბს მოელაპარაკეთ?**

- მთავარია, ასეთი სურვილი გქონდეს და რა პრობლემაა? ნაკრებებს ქართველები რომ ჩამოაშორეს, ეს მოგწონთ? მამუკა აბუსერიძე და ზაურ სვანაძე ჩემი მეგობრები არიან და მათზე კარგის მეტი რა მეთქმის. თუმცა მხოლოდ ორი კაცი საკმარისი არაა. რას ერჩიან ცხადაძეს, ან ჟორჟიკაშვილს? ნაკრების მწვრთნელის მთავარი ასისტენტი ქართველი უნდა იყოს, რომელიც მას უკეთეს სელექციაში შეუწყობს ხელს.

**- თქვენი გუნდის წევრები გაგვაცანით.**

- ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია კითხვის ამგვარად დასმა. დამიჯერეთ, ახალკაცის და მისი მომხრეებისადმი სიძულვილი არც ერთ ჩვენგანს არ ამოძრავებს. პირიქით, ეს ორი ჯგუფი უნდა გავაერთიანოთ, რაც ქართული ფეხბურთის ინტერესშია.

ნახავთ კიდეც - ახალკაცის მომხრეები დარწმუნდებიან, რომ ჩვენ მათ გასაყრელად არ მივდივართ და ისე დავეხმარებით, ახალკაცისგან რომ არ ემახსოვრებათ. ეს არის პირადად გიორგის აზრიც.

**- მოდით, მაშინ ახალკაცის საქმიანობის დადებითი მხარეებიც გავიხსენოთ. ბოლოს და ბოლოს, მას სასიკეთო ნაბიჯებიც გადაუდგამს.**

- ამას არც უარვყოფთ, მაგრამ იმდენი ნეგატიური ნაბიჯი გადადგა, სასიკეთო ნაბიჯებიც დაჩრდილა.

**- ნემსაძის არჩევის შემთხვევაში, თქვენი გუნდი უპირველესად რომელი პრობლემის მოგვარებას შეეცდება?**

- ქართულ ფეხბურთში იმდენი პრობლემა დაგროვდა, მას კომპლექსური მკურნალობა დასჭირდება. მაინც ბავშვთა ფეხბურთის და ინფრასტრუქტურის პრობლემას გამოვყოფდი. თბილისში ორი სტადიონი გაასხვისეს, ავლაბარში დაანგრიეს, ისევე როგორც ბათუმში და ფედერაციას ხმა არ ამოუღია. უნდა ნახოთ, "ბათუმი" სად თამაშობს, ამას ქართული ფეხბურთი არ იმსახურებს. არ იმსახურებს უსამართლო მიდგომებს. ახლახან ერთ-ერთი ტურნირიდან ლანჩხუთის ბავშვთა გუნდი იმიტომ მოხსნეს, რომ გურულები ნემსაძეს ემხრობიან. ბავშვების დაჩაგვრა შეიძლება?! მოკლედ რომ გითხრათ, ქართულ ფეხბურთს სამართლიანი ხელი სჭირდება და ნემსაძის გამარჯვება სწორედ ამის წინაპირობაა.

**მერაბ მამულაშვილი**




12.05.2007 - 24-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ბორჯომი-კახეთი | დინამო (ბთ)-ჩიხურა |
| სიონი-ზესტაფონი | კარლსრუე-ფრაიბურგი |
| ტორპედო-ლოკომოტივი | ხიმკი-სატურნი |
| მერანი-ამერი | რუბინი-ამკარი |
| დილა-ოლიმპი | ამერი-2-ვიტ ჯორჯია-2 |
| დინამო (თბ)-ვიტ ჯორჯია | |

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევნებამდე

# ვის მიემხრობა იმერეთი?



გიორგი ნემსაძე

პირველი გვერდიდან

ნემსაძე ქუთაისში **ოთარ კორლალიძისა** და პარლამენტარ **ვალერი გიორგობიანის** თანხლებით ჩამოვიდა. სფფ-ის პრეზიდენტობის კანდიდატთან შეხვედრა იმერეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისში შედგა. შეხვედრას ქუთაისის "ტიორპედოს" ხელმძღვანელობა და სხვა საფეხბურთო სუბიექტებიც ესწრებოდნენ. პრეზიდენტობის კანდიდატმა თავისი საარჩევნო პროგრამის ირგვლივ ისაუბრა, რაშიც ერთ-ერთ პრიორიტეტად რეგიონებში ფეხბურთის განვითარება და უმაღლესი ლიგის გუნდებისთვის სოლიდური ფინასური დახმარების გაწევა დაასახელა. პრეზიდენტობის კანდიდატმა მოისმინა იმ პრობლემების შესახებ, რომელიც იმერულ ფეხბურთში და ს.კ. "ტორპედოში" დაგროვდა და გამარჯვების შემთხვევაში მათ რეალურ დახმარებას დაჰპირდა.

ამის შემდეგ, 13 მაისის არჩევნების მნიშვნელობაზე პარლამენტარმა ვალერი გიორგობიანმა ისაუბრა და შეკრებილ საზოგადოებას კითხვით მიმართა - რა გაკეთდა ამ ორი წლის განმავლობაში, რაც ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცია,** იმერეთში ფეხბურთის განვითარებისთვის? პასუხი ერთი იყო - *"რეალობას ვერ გავექცევით, არაფერი არ გაკეთებულა, ბურთი რომ ბურთია, ორი წლის მანძილზე ისიც არ მიგვილია."* *"ტორპედოს" მესვეურებმა კი ნახევრად ხუმრობით აღნიშნეს - "ჩვენი გასაჭირის შესახებ მთელმა მსოფლიომ გაიგო და თურმე ნოდარ ახალკაცს აქამდე არაფერი სცოდნია. რამდენიმე დღის წინათ იყო ქუთაისში ჩამოსული და რომ ნახა რა დღეშიც ვართ, გაიკვირვა ეს რა დაგმართნიათო..."*

ვალერი გიორგობიანმა გიორგი ნემსაძის საარჩევნო პროგრამიდან ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, სადაც ნათქვამია, რომ უმაღლესი ლიგის თითოეული გუნდი დახმარების სახით სოლიდურ თანხას მიიღებს: *"გიორგის არ დაუკონკრეტებია, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში უამაღლესი ლიგის გუნდებს სოლიდური თანხით დაეხმარება. საუბარია 150 000 დოლარზე, რომელსაც სახელმწიფო გამოყოფს. წარმოიდგინეთ, ეს თანხა რომ ახლა "ტორპედოს" რომ ჰქონდეს, დღევანდელი პრობლემების წინაშეც არ იქნებოდა და ინფრასტრუქტურის განვითარებასაც შეძლებდა. ეს თანხა რომ დანიშნულებისამებრ იქნას გამოყენებული, ამისთვის ფედერაციის სათავეში სანდო ადამიანია საჭირო. დღეს სფფ-ში არის რაღაც დაჯგუფებები, რომელსაც ჩვენ არ ვენდობით. თუ ყველაფერი ძველებურად დარჩება, ჩვენც ვერ შევძლებთ გუნდებისთვის დახმარების გაწევას. ამიტომ ყველამ პროგრესული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. სახელმწიფო არჩევნებში არ ერევა. ორივე მხარეს თავისუფლად მოქმედების საშუალება მივეცით და ვინ არის მათ შორის ღირსეული, ამას 13 მაისს საფეხბურთო საზოგადოება გადაწყვეტს."*

შეხვედრის დასრულების შემდეგ ჩვენ ვალერი გიორგობიანს კითხვით მივმართეთ.

**- თქვენ გიორგი ნემსაძის მიმართ მხარდაჭერა ღიად გამოხატეთ, ეს ხომ არ ნიშნავს რომ ხელისუფლება მის კანდიდატურას ემხრობა?**

- გიორგის კი არ ვუჭერ მხარს, არამედ ვაფიქსირებ იმ არგუმენტებს, რისთვის შეიძლება მივემხროთ ან არ მივემხროთ ამა თუ იმ კანდიდატს. მე ვსვამ კითხვას: ორი წლის განმავლობაში, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სათავეში ნოდარ ახალკაცი უდგას, რა გაკეთდა იმერეთის რეგიონში? იგივე ვიკითხე გუშინ სამეგრელოშიც. პასუხი ერთია - არაფერი არ გაკეთებულა. ყველა რეგიონში ერთი და იგივე პრობლემებია, რომლის გადაწყვეტაც ფედერაციის მოქმედმა ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა. აქედან გამომდინარე, თუ ვინმე ფედერაციის მოქმედ ხელმძღვანელობას უჭერს მხარს, იმის ახსნაც უნდა შეეძლოს, თუ რატომ ემხრობა მას. სახელმწიფო მხარდაჭერა იქნება იმისთვის, რომ საქმე გაკეთდეს და საქართველოში ფეხბურთი წინ წავიდეს, მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლა კი მხოლოდ ახალი პრეზიდენტის არჩევით იქნება შესაძლებელი.

**გიორგი ნემსაძე იმერული ვოიაჟით კმაყოფილი დარჩა:**

- დღევანდელი შეხვედრა იმ მიზანს ემსახურებოდა რომ გამეგო რა პრობლემები იყო იმერეთში და აქ შეკრებილი საზოგადოებისთვის გამეზიარებინა ჩემი შეხედულებები. იმერეთში მეორედ ჩამოვედი, რადგან პირობა მქონდა დადებული, პროგრამას ადგილზე წარმოვადგენდი და სამომავლო გეგმებზეც კონკრეტულად ვისაუბრებდი. დიდი იმედი მაქვს, იმერეთი მხარს დამიჭერს, რადგანაც დღეს ამის სურვილი გამოთქვეს."

**- ქუთაისის "ტორპედოს" ხელმძღვანელობა თქვენს კანდიდატურას თავიდანვე ღიად უჭერდა მხარს, იმერეთის ფეხბურთის ფედერაცია კი მოქმედი პრეზიდენტს ემხრობოდა. დღევანდელი შეხვედრის შემდეგ თუ გაქვთ იმედი, რომ მათი ხმაც თვენს აქტივში იქნება?**

- უმჯობესია ობიექტურად შეაფასონ რა გააკეთა ფედერაციის მოქმედმა ხელმძღვანელობამ ამ ორი წლის მანძილზე და შემდეგ გაითვალისწინონ რას ვპირდები მათ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში. ჩემი სიტყვები წინასაარჩევნო დაპირებად არ დარჩება.

## სანაკოევი ცხინვალის სპარტაკს ქმნის

ხშირად ვწერდით იმის თაობაზე, რომ თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის მეორე თვითაღიარებული პრეზიდენტი **დიმიტრი სანაკოევი** გაჭირვებაში მყოფ „ცხინვალს" დახმარებას ჰპირდებოდა. ჯერჯერობით, საქმე დაპირების იქით არ წასულა, მაგრამ „ცხინვალის" პრეზიდენტი **ზურაბ ნასუაშვილი** იმედს არ კარგავს, რომ სანაკოევთან ერთად ჩანაფიქრს განახორციელებს და მომავალ სეზონში რეგიონის ღირსებას ძლიერი გუნდი დაიცავს.

როგორც შევიტყვეთ, განახლებული და გაძლიერებული გუნდისთვის „სპარტაკის" დარქმევას აპირებენ, თუმცა იქამდე ჯერ შორია. ნასუაშვილის თქმით, ბევრი რამ ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგზეც იქნება დამოკიდებული.

რაც მთავარია, „ცხინვალის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლებას მოიპოვებს. ამის მისაღწევად კი კლუბის მესვეურებს ორი გზა აქვთ – ან უმაღლესში ადგილს იმ მოტივით მოითხოვენ, რომ უფინანსობის გამო და არა ნაჩვენები შედეგის მიხედვით დაქვეითდნენ, ანაც უძლიერესთა შორის რომელიმე გუნდის ნაცვლად მოხვდებიან. ამ საქმეში „ცხინვალის" ყველაზე სავარაუდო პარტნიორი „ჩიხურაა", საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ საჩხერელები პირველ ლიგას ნებისმიერ შემთხვევაში დაუბრუნდებიან.

ყველაფერი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს. ვნახოთ, გაჩნდება თუ არა ქართულ საფეხბურთო რუკაზე ცხინვალის „სპარტაკი".

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშების ფინალი

26 მაისი ეროვნული სტადიონი

ამერი VS ზესტაფონი

www.pfl.ge

დასაწყისი 20:00 საათზე – ბილეთის ფასი 2. 3. 5 ლარი

მთავარი სპონსორი

ჯეოსელი GEOCELL

ოფიციალური სპონსორი

ფოლქსვაგენი VOLKSWAGEN

პარტნიორი

აქსისი

სპონსორები

საქართველოს ბანკი BANK OF GEORGIA

i'm lovin' it

საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი

ოლიმპი

11×11

24 Hours

104.9 FM FORTUNA ფორტუნა

## ჭაბუკთა ლიგა

**1989 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| მერანი–ლოკომოტივი | 0:1 |
| დილა–ამერი | 1:0 |
| კახეთი–ბათუმი | 1:1 |
| ცხინვალი–ოლიმპი | 0:3 |
| სიონი–ბორჯომი | 2:2 |
| ვიტ ჯორჯია–დინამო | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 20 | 2 | 2 | 86-15 | 62 |
| 2. ოლიმპი | 23 | 19 | 3 | 1 | 64-10 | 60 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 22 | 12 | 5 | 5 | 48-17 | 41 |
| 4. ლოკომოტივი | 23 | 11 | 7 | 5 | 46-25 | 40 |
| 5. ტორპედო | 23 | 10 | 7 | 6 | 35-27 | 37 |
| 6. ამერი | 22 | 11 | 3 | 8 | 44-32 | 36 |
| 7. ზესტაფონი | 21 | 10 | 3 | 8 | 44-34 | 33 |
| 8. მერანი | 24 | 10 | 3 | 11 | 34-29 | 33 |
| 9. ბორჯომი | 24 | 9 | 3 | 12 | 45-51 | 30 |
| 10. ბათუმი | 23 | 7 | 5 | 11 | 36-52 | 26 |
| 11. ცხინვალი | 23 | 8 | 1 | 14 | 30-53 | 25 |
| 12. ჩიხურა | 22 | 6 | 2 | 14 | 28-44 | 20 |
| 13. სიონი | 23 | 5 | 2 | 16 | 34-74 | 17 |
| 14. კახეთი | 23 | 5 | 1 | 17 | 29-83 | 16 |
| 15. დილა | 24 | 4 | 3 | 17 | 21-78 | 15 |

**1990 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| ცხინვალი–ბათუმი | 0:3 |
| დილა–ლოკომოტივი | 0:3 |
| კახეთი–ამერი | 0:3 |
| ჩიხურა–ბორჯომი | 4:1 |
| ვიტ ჯორჯია–ტორპედო | 4:3 |
| სიონი–ოლიმპი | 0:4 |
| მერანი–ზესტაფონი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 24 | 19 | 2 | 3 | 65-11 | 59 |
| 2. ოლიმპი | 24 | 18 | 3 | 3 | 67-12 | 57 |
| 3. ჩიხურა | 24 | 15 | 5 | 4 | 64-21 | 50 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 24 | 15 | 5 | 4 | 59-19 | 50 |
| 5. ამერი | 24 | 15 | 5 | 4 | 58-17 | 50 |
| 6. ტორპედო | 25 | 12 | 8 | 5 | 38-25 | 44 |
| 7. მერანი | 25 | 12 | 3 | 10 | 38-41 | 39 |
| 8. ზესტაფონი | 24 | 11 | 5 | 8 | 35-29 | 38 |
| 9. სიონი | 24 | 9 | 3 | 12 | 34-43 | 30 |
| 10. დილა | 25 | 7 | 4 | 14 | 25-55 | 25 |
| 11. ლოკომ. | 24 | 7 | 3 | 14 | 43-42 | 24 |
| 12. ბათუმი | 24 | 6 | 5 | 13 | 24-48 | 23 |
| 13. კახეთი | 24 | 3 | 4 | 17 | 20-63 | 13 |
| 14. ბორჯომი | 25 | 3 | 3 | 19 | 20-83 | 12 |
| 15. ცხინვალი | 24 | 0 | 2 | 22 | 8-89 | 2 |

**1991 წ. დაბადებულები**

| | |
|---|---|
| ცხინვალი–ბათუმი | 0:3 |
| მერანი–ზესტაფონი | 3:1 |
| კახეთი–ამერი | 1:0 |
| სიონი–ოლიმპი | 0:1 |
| ჩიხურა–ბორჯომი | 1:5 |
| ვიტ ჯორჯია–ტორპედო | 2:1 |
| დილა–ლოკომოტივი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 23 | 20 | 1 | 2 | 54-12 | 61 |
| 2. ბათუმი | 24 | 18 | 3 | 3 | 49-18 | 57 |
| 3. ოლიმპი | 24 | 16 | 6 | 2 | 69-21 | 54 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 23 | 15 | 5 | 3 | 39-12 | 50 |
| 5. მერანი | 25 | 15 | 3 | 7 | 47-30 | 48 |
| 6. ბორჯომი | 25 | 12 | 4 | 9 | 47-28 | 40 |
| 7. დილა | 25 | 10 | 7 | 8 | 36-32 | 37 |
| 8. ტორპედო | 25 | 11 | 3 | 11 | 37-36 | 36 |
| 9. ამერი | 24 | 10 | 2 | 12 | 29-27 | 32 |
| 10. კახეთი | 24 | 7 | 5 | 12 | 30-42 | 26 |
| 11. ლოკომოტივი | 24 | 4 | 10 | 10 | 24-40 | 22 |
| 12. ზესტაფონი | 24 | 6 | 3 | 15 | 35-58 | 21 |
| 13. ჩიხურა | 24 | 6 | 1 | 17 | 31-57 | 19 |
| 14. სიონი | 24 | 4 | 0 | 20 | 17-57 | 12 |
| 15. ცხინვალი | 24 | 0 | 1 | 23 | 10-84 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




რევაზ გოცირიძე (მარცხნივ) დინამოსთან მატჩში

## ინტერვიუ რევაზ გოცირიძესთან

# შეგვიქმნან პირობები და ლიგაშიც მოვხვდებით!

რუსთავის "ოლიმპი" საქართველოს ჩემპიონობასთან ახლოსაა, რევაზ გოცირიძე კი მეორე ქართულ ოქროსთან. 26 წლის თავდამსხმელმა პირველად "ვიტ ჯორჯიაში" გაიხარა და ახლა რუსთაველებს ეხმარება მიზნის მიღწევაში. "ოლიმპს" ჩემპიონობამდე სულ სამი ტური აშორებს პირველობას.

**- რეზო, "ოლიმპი" უკვე ყველამ ჩემპიონად ჩათვალა. გულწრფელად გვითხარი, დანარჩენ სამ ტურს შენც ფორმალობად მიიჩნევ?**

- როგორ ჩავთვალო ფორმალობად, როდესაც გორის "დილა" ჩვენთან სათამაშოდ კბილებს ილესავს? დარჩენილ სამ თამაშს მობილიზებულები თუ არ შევხვდით, არავინ არაფერს გვაპატიებს. საცოდაობაც იქნებოდა უპირატესობის განიავება. დამიჯერეთ, ზრდილობისთვის არ ვამბობ - გორის "დილასთან" და დანარჩენ ორივე გუნდთან სათამაშოდ სერიოზულად ვემზადებით.

**- სეზონის დამთავრების შემდეგ "ოლიმპში" რჩები თუ მიდიხარ?**

- "კამაზმა" სეზონის ბოლომდე გამანათხოვრა. დარჩენა მარტო ჩემს ნებაზე არაა დამოკიდებული. ჯერ გუნდთან არ მისაუბრია, დამთავრდება სეზონი და მათ პოზიციას მერე გავარკვევ.

**- სხვათა შორის, თვალშისაცემია, რომ დღემდე "ოლიმპს" ისე ვერ შეენყვე, როგორც თავის დროზე "ვიტ ჯორჯიას".**

- "ოლიმპში" სულ რაღაც ოთხი თვეა ჩავირიცხე და მართალი ხარ, ადაპტაცია კიდევ მჭირდება. მეც უკმაყოფილო ვარ და აშკარად ვამჩნევ, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმს ვერ ვავლენ. თავდამსხმელს ოთხ ბურთზე მეტის გატანა ევალება.

"ვიტ ჯორჯიის" ბიჭები ერთად ვიზრდებოდით და ერთმანეთს თვალდახუჭული ვუგებდით. რუსთავში ძალიან კარგი მოთამაშეები და საერთოდ, ადამიანები დამხვდნენ, მაგრამ მოედანზე ურთიერთგაგებისთვის მეტი დრო მჭირდება.

**- რუსეთში შენი ყოფნის პერიოდში ქართულ ფეხბურთში რაიმე ცვლილება შენიშნე?**

- "ვიტ ჯორჯიაში" თამაშისას ჩემპიონატის სისტემა მომწონდა, ის მაყურებელს უფრო იზიდავდა. პირველი ექვსეულში ყველა თამაში საინტერესო იყო. ახლა კი წრეში 5-6 ნორმალური შეხვედრას თუ ვატარებთ. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ უმაღლესში ისეთებიც არიან, აქ არაფერი რომ არ ესაქმებათ. 10 გუნდზე მეტი არ უნდა იყოს. ნორმალური ჩემპიონატი გულშემატკივარს მხოლოდ ასეთ პირობებში ელირსება.

**- რუსეთის პირველ ლიგაში ჩვენზე მდიდარი კლუბებია. იქაურიდან აქაურ პირობებზე გადმორთვამაც ხომ არ იმოქმედა შენზე ცუდად? ბევრს** უთქვამს, რომ საქართველოში მოთამაშე ტონუსიდან ვარდება, რადგან არაა ნორმალური პირობები, ვარჯიშის საშუალება, აღდგენითი ცენტრები და ა.შ.

- ეს სერიოზული პრობლემაა. აქ ყველაფერი პრობლემაა. გაწვიმდება და ვარჯიში იშლება. "ოლიმპს" კიდევ რა უჭირს, ხელოვნურსაფარიან მოედანზე გადავალთ, სხვა გუნდების უმრავლესობას წვიმა უდიდეს პრობლემას უქმნის. აბა, რომელ წინსვლაზეა ლაპარაკი?

ჩემპიონები ვხდებით და ბაზა არ გვაქვს. ერთი ის მაიმედებს, რომ "ოლიმპის" მეპატრონე სტადიონზე ბაზასაც აშენებს და იქნებ ნორმალურ რეჟიმზე გადავერთოთ. ბევრს ამის მნიშვნელობაც არ ესმის. ვარჯიშს რომ დაამთავრებ, მშიერი ფეხბურთელი გარეთ ხაჭაპურს კი არ უნდა ყიდულობდე, ბაზაზე უნდა იკვებებოდეს. ასე თავისთავად ჩაჯდები რეჟიმში და წონას გააკონტროლებ. თითქოს წვრილმანია, არა? გუნდი ასეთი წვრილმანების გათვალისწინებით ყალიბდება.

თუნდაც ტრენაჟორების თემა ავიღოთ: მხოლოდ "დინამოს", "ამერს" და "ტორპედოს" აქვთ საკუთარი დარბაზი. დღეს შტანგებით მუშაობას ყველგან დიდი ყურადღება ექცევა, რადგან ფეხბურთი ათლეტური გახდა. ჩვენს ბიჭებს კი უცებ ეტყობათ, რომ ტრენაჟორებზე არ უმუშავიათ.

ან მოედნები რა დღეშია? შეიძლება, ამ ოღრო-ჩოღროებში დაიმტვრე და რომელ ტემპსა და ერთი შეხებით თამაშზეა საუბარი? არადა, საკმაოდ ნიჭიერი თაობა მოდის და გული მწყდება, რომ მას გაზრდის საშუალება არ გააჩნია.

**- შენი აზრით, ჩემპიონობისდროინდელი "ვიტ ჯორჯია" და რუსთავის "ოლიმპი" ერთმანეთისგან კლასით განსხვავდებიან?**

- "ვიტასაც" კარგი მოთამაშეები ჰყავდა და რუსთავშიც არანაკლები ბიჭები შეკრიბეს. ჩემი ძველი გუნდი მეგობრული გუნდი იყო , მაგრამ ეს არც მიკვირდა - უმრავლესობა ხომ ბავშვობიდან ვმეგობრობდით. "ოლიმპმა" ამითაც გამაოცა - ბიჭები დიდი ხნის ძმაკაცივით დამხვდნენ. ამ გუნდის ძალა ერთსულოვნებაა. ამიტომაც ვართ ლიდერები.

**- შენი აზრით, ევროთასებზე "ოლიმპს" რისი იმედი უნდა ჰქონდეს? თუნდაც ორ წრეს ეს შემადგენლობა გაივლის?**

- თუკი მანამდე ბაზას მოაწყობენ, რატომაც არა. საერთოდ, ინფრასტრუქტურა ჩვენი ფეხბურთის სენია, მეტი ფულია ჩასადები და ორ კი არა, სამ წრესაც გავივლით და ლიგაშიც მოვხვდებით. ნიჭით ბევრი არ გვჯობია და ჩვენი ფეხბურთის ამიტომ მჯერა.

## ღია წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომს

ბატონებო! თქვენ მოგმართავთ გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების ის დელეგატები, რომლებიც დავესწარით ამ ღონისძიებას და მონაწილეობა მივიღეთ მის მუშაობაში.

ჩვენი უზომო გაკვირვება და აღშფოთება გამოიწვია მასმედიის საშუალებით გავრცელებულმა ინფორმაციამ. როგორც გამოირკვა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით, თითქოსდა კრების დელეგატებმა არ ვიცოდით დღის წესრიგი და გაფრთხილებული არ ვიყავით. ეს ბრალდება არა მარტო სიცრუეა, არამედ ჩვენთვის უდიდესი შეურაცხყოფაა. გამოდის, რომ ჩვენ რვა ადამიანი ბრმად და დაუფიქრებლად იქით მივდივართ საითკენაც დაგვიძახებს გრფფ-ს პრეზიდენტი, ბატონი დურმიშხან ჩხაიძე. უბრალოდ წარმოდგენაც ძნელია, იმ ყიამეთ ამინდში დავტოვეთ ოჯახები, მივედით გამგეობის შენობაში, დავესწარით კრებას, არ ვიცოდით დღის წესრიგი, არ ვიცოდით რისთვის მივედით...

კარგი, ჩვენ დავუშვათ ზომბები ვართ და უაზროდ დავდივართ, მაგრამ თვითონ სფფ-ის ოთხი წარმომადგენელი რატომ შეწუხდა ლანჩხუთში ჩამობრძანებით, ანდა რატომ ჩამოვიდნენ ჩვენი ოპონენტი დელეგატები, თუკი არავინ არაფერი არ იცოდა? როგორც გამოირკვა თბილისიდან ჩამოსული სტუმრების ვიზიტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის მიერ სათანადო რწმუნებით არ იყო გამაგრებული. ხოლო ზოგიერთის პროვოკაციული ქმედებებით ნათლად დადასტურდა მობრძანების მთავარი მიზანი - რადაც არ უნდა დაჯდომოდათ ჩაეშალათ გრფფ-ის საანგარიშო-საარჩევნო კრება.

ვერანაირად ვერ ვხვდებით, ყოველივე ამის შემდეგ, რატომ არავინ დაინტერესდა ჩვენი პერსონებით, არავინ არ გვეკითხება რა იყო, რა მოხდა. გამოდის, რომ ჩვენ საერთოდ არ ვარსებობდით. არადა, ჩვენ მოუთმენლად ველოდით თბილისიდან კომპეტენტური ადამიანების ჩამოსვლას, რომლებიც საფუძვლიანად შეისწავლიდნენ ამ გახმაურებულ ფაქტს და დაადგენდნენ სიმართლეს. რამდენი საინტერესო საკითხი გამოირკვეოდა - თუ ვინ გვაკითხავდა კრების წინა დღეებში, ვინ გვირეკავდა რომ კრებაზე არ მისულიყავით, ვინ რა მეთოდით ახდენდა ჩვენზე ზეწოლას და მრავალი სხვა. სფფ-მ კი, კრების დამთავრების შემდეგ, რამდენიმე საათში კიდეც გამოიკვლია, კიდეც წამოაყენა, კიდეც გაასამართლა, კიდეც განაჩენი გამოუტანა ჩვენს ორგანიზაციას. შესაშური ოპერატიულობაა...

როგორც გავიგეთ ა.წ. 12 მაისს დანიშნულია სფფ-ის ალმასკომის სხდომა, სადაც საკითხებთან ერთად განიხილება გრფფ-ის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი.

ბატონებო! კიდევ ერთხელ მოგმართავთ, რომ იცოდეთ - ყველაფერი ეს არის შეთითხნილი სიცრუე, მიმართული მხოლოდ იქითკენ, რომ ხმა დაეკარგოს ჩვენს კანდიდატს სფფ-ის პრეზიდენტობის პოსტზე ბატონ გიორგი ნემსაძეს. არადა რა არის ამაში გასაკვირი, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ ბატონ გიორგი ნემსაძეს. ჩვენ ჩვენი აზრი გაგვაჩნია. არჩევნები სწორედ არჩევის საშუალებას გვაძლევს. ნუთუ ამიტომ დასაშვებია ვინმესგან მტრის ხატის შექმნა და მისი განადგურება? ნუთუ ის სუბიექტები გვჯობიან ჩვენ, ვინც ყველა მხარეს თამაშობენ და ყველა კანდიდატს ელაქუცებიან? როგორ, ჩვენი პოზიცია ახლა გაიგო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ? ჩვენ ხომ ყოველთვის გიორგი ნემსაძის გვერდით ვიდექით, როგორც ის იდგა ჩვენს გვერდით. ხოლო რაც შეეხება რამდენიმე დელეგატის დემარშს, უფალმა განსაჯოს მათი ქმედების სამართლიანობა.

ბატონებო! ჩვენ ძალიან კარგად ვიცით ვინა ხართ თქვენ, ვიცით თქვენი დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე და ამიტომაც იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენ ამ საკითხს განიხილავთ სამართლიანად და თქვენი გადაწყვეტილებით კიდევ ერთ ტრადიციულ საფეხბურთო კერას არ ჩააქრობთ.

ღრმა პატივისცემით, გრფფ-ს
საანგარიშო-საარჩევნო
კრების დელეგატები:
კახა გუჯაბიძე,
იაკობ ზაქარეიშვილი,
თემურ ლორია,
ირაკლი ფაცურია,
დავით იმნაძე,
ჯამბული კუტალაძე,
ბენია თავბერიძე,
მევლუდი გოგუაძე

P.S. ბატონებო! გთხოვთ ერთი რამეც გაითვალისწინოთ, რაც ბატონმა დურმიშხან ჩხაიძემ გააკეთა ქართული ფეხბურთის კეთილდღეობისთვის, იმის ხუთი პროცენტი რომ გაეკეთებინათ მის ოპონენტებს, ქართული ფეხბურთი ასეთ სავალალო დღეში არ იქნებოდა...

## პირველი ლიგა. გადადებული მატჩები

# რაჭა დარჩა

| | |
|---|---|
| რაჭა-ნ/დინამო | 3:0 |
| სპარტაკი-მესხეთი | 0:0 |

გუშინ გადადებულ მატჩში „რაჭამ" უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და ამით, ფაქტობრივად, პირველ ლიგაში საგაისოდ ადგილი დაიბევა. არადა, უსუსურად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ, ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რაჭველები ამხელა პროგრესს თუ მიაღწევდნენ. ის კი არადა, კლუბის ხელმძღვანელობას გაცილებით დიდი მიზნები აქვს და მომავალ სეზონში უმაღლესი ლიგის საგზურისთვის გეგმავს ბრძოლას. "ნორჩ დინამოსთან" შეხვედრაში თავიდან ბოლომდე მასპინძლები დომინირებდნენ და სამი ქულა დამსახურებულად მიითვალეს. მათ თავი თითქმის ქუდში აქვთ, დარჩენილ სამ ტურში "ჩიხურა 2-ს" ექვსქულიან ჩამორჩენის აღმოფხვრის მიზერული შანსი აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესის საგზური უკვე გაიფორმეს, დარჩენილი მატჩები მათთვის მაინც მნიშვნელოვანია. "მესხეთი" პირველი ადგილისთვის იბრძვის, ამ მიზნის მიღწევის შანსი კი, "სპარტაკთან" დაკარგული ქულების გამოისობით, უკვე ნაკლებად აქვთ. ფრე არც "სპარტაკისთვისაა" დიდი შენაძენი, თბილისელები მომავალ სეზონს რეგიონულ ლიგაში გაატარებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მგლები | 31 | 22 | 4 | 5 | 52-21 | 70 |
| 2. მესხეთი | 31 | 20 | 6 | 5 | 59-17 | 66 |
| 3. მეშაქრე | 31 | 14 | 10 | 7 | 38-26 | 52 |
| 4. ვიტ ჯორჯია 2 | 31 | 15 | 6 | 10 | 52-28 | 51 |
| 5. გაგრა | 31 | 15 | 6 | 10 | 47-34 | 51 |
| 6. მალაროელი | 31 | 13 | 9 | 8 | 44-31 | 51 |
| 7. ამერი 2 | 31 | 13 | 11 | 7 | 51-34 | 50 |
| 8. ოლიმპი | 31 | 13 | 8 | 10 | 49-34 | 47 |
| 9. ნ. დინამო | 31 | 14 | 4 | 13 | 46-46 | 46 |
| 10. სამტრედია | 31 | 12 | 8 | 11 | 31-39 | 44 |
| 11. მეშახტე | 31 | 12 | 6 | 13 | 45-38 | 43 |
| 12. დინამო 2 | 31 | 9 | 10 | 12 | 49-36 | 37 |
| 13. ზესტაფონი 2 | 31 | 9 | 10 | 12 | 28-34 | 37 |
| 14. რაჭა | 31 | 8 | 11 | 12 | 31-42 | 35 |
| 15. ჩიხურა 2 | 31 | 8 | 5 | 18 | 25-56 | 29 |
| 16. სპარტაკი | 31 | 7 | 6 | 18 | 18-44 | 27 |
| 17. გურია | 31 | 7 | 6 | 18 | 32-70 | 27 |
| 18. მერცხალი | 30 | 2 | 5 | 24 | 20-87 | 11 |

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა არველაძე

21-წლამდელთა ნაკრები

# ესპანეთთან საღამოს, ეროვნულზე

21-წლამდელთა ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს ჩვენი ახალგაზრდული 5 ივნისს ესპანეთთან საშინაო მატჩით იწყებს. შეგახსენებთ, რომ ჯგუფის მეტოქეებად ესპანეთის გარდა, პოლონეთი, რუსეთი და ყაზახეთი გვყავს.

საქართველო-ესპანეთის ნაკრებების მატჩი 5 ივნისს, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. შეხვედრა 20 საათზე დაიწყება. ესპანელები თბილისში 4 ივნისს გამთენისას მიუნხენიდან ჩამოფრინდებიან.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# ლომიძე მოლდოვის თასის მფლობელია

ქართველი ფეხბურთელი **მამუკა ლომიძე** მოლდოვის თასის მფლობელია. ლომიძის "ზიმბრუმ" ქვეყნის თასის ფინალში 1:0 დაამარცხა "ნისტრუ". კლუბი დაარსების 60 წლის იუბილეს ამ ტიტულით შეხვდა, "ზიმბრუ" მოლდოვის თასის მფლობელი მეხუთედ გახდა. ფინალში, რომელსაც 6 ათასი მაყურებელი დაესწრო ლომიძემ დაცვის მარჯვენა ფლანგზე შეუცვლელად ითამაშა. გამარჯვების გოლი **ანდრეი კოჟოკანმა** 89-ე წუთზე გაიტანა. ქვეყნის ჩემპიონატში "ზიმბრუ" 20 ქულით ჩამორჩება "შერიფს" და სავარაუდოდ მეორე ადგილს დაიკავებს. 23 წლის ლომიძე 3-ნომრიანი მაისურით იცავს "ზიმბრუს" ღირსებას და ის სასტარტო შემადგენლობაში მყარად ზის.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მამუკა ლომიძე

ლეგიონერი

# ერედივიზიონის საუკეთესო შოთასია

ჰოლანდიაში ჩემპიონატი კი დასრულდა, თუმცა სეზონი არ დამთავრებულა - მე-2 - 5-ე ადგილზე გასული გუნდები ჩემპიონთა ლიგის მეორე საგზურისთვის იბრძვიან - ერთი საგზური კი ცხადია, ჩემპიონმა პსვ-მ მოიპოვა.

ფლეი ოფის პირველ რაუნდში **შოთა არველაძის** "ალკმაარი" ენსხედეში ფრეს გამორჩა იქაურ "ტვენტესთან" - 1:1. შოთამ შეცვლაზე ითამაშა ბოლო სამი წუთი. საპასუხო მატჩი 13 მაისს გაიმართება ალკმაარში. ამ წყვილში გამარჯვებული კი "აიაქსი"-"გრონინგემს" შორის საუკეთესოს გაეჯიბრება.

არველაძეს ჯერაც ვერ გადაუწყვეტია, თუ როდის გაიკეთებს მუხლზე ოპერაციას - სეზონის დასრულებამდე თუ შემდეგ. 2 და 6 ივნისს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროშესარჩევში ლიტვასა და საფრანგეთთან უწევს შეხლა და არველაძე გადაწყვეტილების მიღებისას ამაზეც ფიქრობს - არის ალბათობა, შოთამ ლიტვა-საფრანგეთთან ითამაშოს თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ გაიკეთებს ოპერაციას.

სანამ არველაძე ყოყმანობს, მისი გოლი ჰოლანდიაში საუკეთესოდ აღიარეს - 2006-07 წლების ერედივიზიონის ულამაზესი გოლი 27 იანვარს გავიდა როტერდამის "სპარტის" კარში - შოთამ მცველს ბურთი თავზე გადაავლო და მიწაზე დაუშვებლად ცაცია ისე ამოსცხო, ხარიხიდან ასხლეტით შევარდა კარში - ის მატჩი "ალკმაარმა" 3:0 მოიგო.

**დავით თავართქილაძე**

# ლომაია კრიზისშიაო...



გერმანულმა პრესამ ლომაია გააკრიტიკა

საქართველოს ნაკრების კარის დარაჯმა „კარლ ცაისში" პირველი მატჩები დამაჯერებლად ჩაატარა, მაგრამ შემდეგ არასტაბილურობა დასჩემდა. განსაკუთრებით სუსტად **გიორგი ლომაია** „დუისბურგთან" საშინაო შეხვედრაში გამოიყურებოდა. შეგახსენებთ, იმ თამაშს იენელები 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ ლომაიამ შორიდან დარტყმულები გაუშვა და, საბოლოოდ, მისი გუნდი ფრეს დასჯერდა.

*„ლომაიას აშკარა კრიზისი აქვს, მან გუნდი დაალალატა, რაც „კარლ ცაისს" შეიძლება სეზონის ბოლოს ძვირად დაუჯდეს"*, - წერს გერმანული „სპორტ 1".

მეორე ბუნდესლიგის დასრულებამდე ორი ტურია დარჩენილი. „კარლ ცაისი" 34 ქულით გასავარდნ ზონაშია. სადღეისოდ სამშვიდობოზე არიან მისი კონკურენტები, „ოფენბახი" და „როტვაისი" რომელთაც ასევე 34 ქულა და ბურთების უკეთესი შეფარდება აქვთ. კვირას, 13 მაისს, ლომაიასა და **აშვეთიას** გუნდი „კაიზერსლაუტერნს" მასპინძლობს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი

# კირვალიძე სვანაძესთან ითამაშებს



ზაურ სვანაძე

სამი თვის წინათ შვედური GMFF-ის თავკაცმა და საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა **ზაურ სვანაძემ**, "ლელოსთან" საუბარში, თავის გუნდში ქართველების მიწვევა არ გამორიცხა. მას მერე სვანაძე სამშობლოში იმყოფებოდა და გუნდის გასაძლიერებლად ფეხბურთელები შეიგულა. როგორც გავიგეთ შვედეთის რიგით მესამე ლიგაში მოასპარეზე GMFF-ში, ერთი ქართველი ფეხბურთელი უკვე ჩაირიცხა - ნახევარმცველი **ლაშა კირვალიძე**, რომელიც ადრე გორის "დილაში" ასპარეზობდა. ეს ცნობა ფეხბურთის ფედერაციაში სატრანსფერო კომიტეტის ხელმძღვანელმა **რევაზ შენგელიამაც** დაგვიდასტურა.

იმავე ინტერვიუში სვანაძემ განგვიცხადა, რომ მისი გუნდი გაძლიერებას ყველა რგოლში საჭიროებს. ასე რომ, სულაც არა გამორიცხული GMFF-ში კიდევ ვიხილოთ ერთი ქართველი მაინც. გეტყვით იმასაც, რომ ზაურ სვანაძის გუნდს მესამედან მეორე ლიგაში ალზევებისთვის იბრძვის. ჩემპიონატი აპრილში დაიწყო და ნოემბერში დამთავრდება.

**დავით ცაბაძე**

მინი-ფეხბურთი

# გამარჯვებული ქარიშხალაა

გუშინ სპორტკომპლექს "ირაოზე" მინი-ფეხბურთში "აბუს თასის" გათამაშება დასრულდა. შეგახსენებთ, რომ ეს ტურნირი წლეულს მეოთხედ ჩატარდა. გათამაშებაში სულ 15 გუნდი მონაწილეობდა. ფინალში ეზოს ფეხბურთის გუნდი და "ქარიშხალა" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. "ქარიშხალამ" მეტოქე 2:0 დაამარცხა, გოლები **მიხეილ ბობოხიძემ** და **კახა მახარაძემ** გაიტანეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ კახა მახარაძე დაასახელეს. გათამაშების მონაწილენი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** და ვიცე-პრეზიდენტმა **გრიგოლ ცაავამ** სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

## ადრიანოს რეალისთვის ამზადებენ?

ესპანური პრესა **ადრიანოსა** და "რეალის" სამომავლო თანამშრომლობაზე იტყობინება. as-ის მტკიცებით, ბრაზილიელი ფორვარდი სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს "ინტერს" და სამეფო კლუბს შეუერთდება. ტრანსფერის საფუძველი, შეიძლება, **რობერტო მანჩინისა** და ადრიანოს შორის კარგა ხნის დაპირისპირება გახდეს. ფეხბურთელმა არაერთხელ დაარღვია რეჟიმი და იანვარში ლამის კარისკენაც მიუთითეს, მაგრამ **მასიმო მორატის** ჩარევის შემდეგ, მწვრთნელსა და შეგირდს შორის ურთიერთობა რაღაც დონემდე დათბა. თუმცა ვითარება ყოველ წუთს შეიძლება დაიძაბოს, თუ გავითვალისწინებთ ადრიანოს არაპროგნოზირებად ბუნებას. ყველაზე მთავარი, რაც მანჩინის პრეტენზიებს იწვევს, ზორბა ბრაზილიელის უპრეცედენტოდ დაბალი პროდუქტიულობაა. მისი საჩემპიონატო მონაგარი მხოლოდ 5 გოლს ითვლის. ასეთ ვითარებაში კლუბი ფორვარდის გამოცვლას რომ ფიქრობდეს, ვგონებთ, გასაკვირი არ უნდა იყოს.

მეორე მხრივ, ცოტა უცნაურია "რეალის" დაინტერესება იმ ფეხბურთელით, რომელმაც უდისციპლინობის (თითქოს, **ანტონიო კასანოს** დაუსრულებელი საგა საკმარისი არ იყოს) გამო სეზონი ჩააგდო, მით უმეტეს, ეს ეხება იმ "რეალს", რომელსაც რკინისებური დისციპლინის აპოლოგეტი **ფაბიო კაპელო** წვრთნის. მართალია, კაპელოს მადრიდული პერსპექტივა ბოლომდე გარკვეული არ არის, მაგრამ დღევანდელი ვითარებით, დიდია შანსი, რომ მაესტრომ მინიმუმ მომავალი სეზონიც "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაატაროს. ამას მოწმობს გულშემატკივართა ბოლოდროინდელი გამოკითხვაც. თუკი იანვარ-თებერვალში კაპელოს რეიტინგი ლამის ნულამდე დაეცა, ახლა მის მხარეზე ინჩასების 53 პროცენტია. რა თქმა უნდა, მთავარი კრიტერიუმი შედეგი იქნება. ამ ეტაპზე "რეალი" მშვენივრად თამაშობს და ჩემპიონობის არანაკლები შანსი აქვს, ვიდრე პირველ ადგილზე მყოფ "ბარსელონას"...



ადრიანო

აქვე გავიხსენოთ, რომ ადრიანოს "რეალში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო გასულ ზაფხულს, როცა მას **რონალდოში** უპირებდნენ გაცვლას. როგორც ამბობენ, მაშინ ეს ოპერაცია მორატიმ დაბლოკა. "ინტერის" ბოსს დღესაც მიაჩნია, რომ ადრიანო გუნდისთვის საჭირო ფიგურაა. თუმცა ესპანური პრესა დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ "რეალის" პრეზიდენტი **რამონ კალდერონი**, სატრანსფერო ბაზრის კონსულტანტ **ერნესტო ბრონცენტისთან** ერთად, უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს მორატისთან, ადრიანოს აგენტ **ჟილმარ რინალდის** თანდასწრებით. სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით გავრცელდა ერთი ინფორმაციაც, თითქოსდა, ხსენებულ პირებს შორის მოლაპარაკებას "რეალის" სპორტული დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** და გენერალური მენეჯერი **ფრანკო ბალდინი** გაუბრაზებია, აქაოდა, ჩვენ რატომ არაფერი ვიცითო...

ბოლოს კი შეგახსენებთ, რომ ადრიანოს "ინტერთან" კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. "ნერაძურიში" მას წლიურად 4 მილიონ გირვანქას უხდიან. ცხადია, "რეალი" ფეხბურთელს პირობების გაუმჯობესებას (?) ჰპირდება.

## იუვე: იაკუინტა გზაშიაო...

### რა მოხდება, თუ ტრეზეგე წავა?

აპენინებიდან მოსული ბოლო ცნობებით, "იუვენტუსი" "უდინეზეს" ფორვარდ **ვინჩენცო იაკუინტას** ყიდულობს. სიტუაცია ადრიანო-"რეალის" ამბავს გვაგონებს. "ბებერი ქალბატონი" შარშანაც ცდილობდა მსოფლიო ჩემპიონის შეძენას, მაგრამ ამ უკანასკნელმა სერია B-ში თამაში არ ისურვა და "უდინეზესთან" ხელშეკრულება 2010 წლამდე გააგრძელა. თუმცა ტურინული გრანდის სამომავლო პერსპექტივით მოხიბლული იაკუინტა უკვე მზადაა, დატოვოს "ზებრები" და სახელოვან კლუბს მიაშუროს. "ტუტოსპორტი" ამტკიცებს, რომ ორ კლუბს შორის მოლაპარაკება ფინიშის სწორზეა გასული და ამ დღეებში ყველაფერი გაცხადდება. რაც მთავარია, იაკუინტა ძალიან მოსწონს **დიდიე დეშამს**.

"ტუტოსპორტი" ტრანსფერის ფინანსურ მხარეზეც საუბრობს. როგორც ამბობენ, პიემონტელებს უდინელი ფორვარდი 7 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. ამას გარდა, "იუვენტუსის" უფროსობა მზადაა, "უდინეზეს" ერთი ახალგაზრდა მოთამაშის თანამფლობელობაც შესთავაზოს. აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს **მატეო პაროსა** ან **რეი ვოლპატოზე**. ეს უკანასკნელი ახლა "არეცოშია" განათხოვრებული და ცხადია, სერია A-ში გადასვლით დიდად კმაყოფილი დარჩება. ზოგიერთი ვერსიით, სატრანსფერო ოპერაციაში შეიძლება ჩართონ **მარსელო სალაიეტაც**, რომლის ტურინული მომავალი მეტად საეჭვოა.



ვინჩენცო იაკუინტა

სხვა ინფორმაციით, კიდევ ერთი ფორვარდი, რომელიც "იუვენტუსს" აინტერესებს, რეჯინელი **როლანდო ბიანკია**. ის იმ შემთხვევაში გადავა ტურინში, თუ "იუვე" **დავიდ ტრეზეგეს** გამოეთხოვება. ფრანგი თავდამსხმელი კონტრაქტის გაგრძელებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს. რაც შეეხება ბიანკის, მან ამ სეზონში გაიბრწყინა. 17 გოლით ის მესამე ადგილზეა სერია A-ს ბომბარდირთა დავაში. მაგრამ არის ერთი გარემოება, რამაც ბიანკის "იუვენტუსში" გადასვლა შეიძლება ჩაშალოს. "რეჯინის" პრეზიდენტი **ლილო ფოტი** ფორვარდში 11 მილიონ გირვანქას ითხოვს. "სინიორას" ბოსებს მიაჩნიათ, რომ ხსენებული ფასი არარეალურია. გამოსავალი შეიძლება იყოს ფული პლუს რომელიმე ფეხბურთელი. "რეჯინას" "იუვენტუსის" ამა თუ იმ მოთამაშით დაინტერესება ჯერ არ გამოუხატავს.

## ლაციო სუასოს ირჩევს

### როკიმ დარჩენა გადაწყვიტა

თავდასხმის გაძლიერებას "ლაციოც" აპირებს. რომაულ კლუბს "კალიარის" ჰონდურასელი ფორვარდი **დავიდ სუასო** მოსწონს. "ბიანკოჩელესტეს" მის გადასაბირებლად მძიმე ბრძოლა მოუწევს, რადგან სუასო არაერთი კლუბის ინტერესებშია და არა მხოლოდ იტალიაში. საგულისხმოა, რომ გასულ წელს მან "იუვენტუსისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წინადადებები უარყო. ჰონდურასელი "სანტ'ელიაზე" 1999 წლიდან თამაშობს. "როსობლუში" ის ტეგუსიგალპის "ოლიმპიიდან" გადავიდა. სუასო 28 წლისაა და ფიქრობს, რომ უკვე დროა, უფრო დიდ კლუბშიც მოსინჯოს ძალები.

*"ის ბრწყინვალე ფორვარდია"* - აცხადებს "ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** და იქვე დასძენს, რომ სუასო ერთ-ერთი მოწინავეა იმ 50 ფეხბურთელის სიაში, რომელთაც კლუბის სკაუტები აკვირდებიან.

*"სუასო ბევრ კლუბს სურს, - აგრძელებს ლოტიტო, - ვეცდებით, მან ჩვენთან ითამაშოს. ყველამ იცის "ლაციოს" ის სამი პრინციპი, რომლითაც სატრანსფერო ოპერაციებისას ვხელმძღვანელობთ. პირველი, ესაა თავად ფეხბურთელის ტექნიკური შესაძლებლობები; მეორე - ბაზარზე უნდა ვიმოქმედოთ ფეარ ფლეის პრინციპით; და მესამეა მოთამაშის ფასი".*

რაც შეეხება ამ უკანასკნელ პრინციპს, თავისთავად, ეს განსაზღვრავს ძირითადად ამა თუ იმ ტრანსფერის ბედს. უკვე ნათქვამია, რომ "კალიარის" პრეზიდენტი **მასიმო ჩელინო** 11 მილიონ გირვანქას ერთ ცენტსაც არ დააკლებს. თუ ტრანსფერი შედგა, ეს იქნება უძვირესი ოპერაცია "კალიარის" ისტორიაში, მაგრამ ვეჭვობთ, წინდახედული ლოტიტო ამაზე დათანხმდეს. თუ ჩელინო "ვირიდან არ ჩამოვა", "ლაციოს" პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა (საამისოდ, რომაელებს ბოლო სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა სჭირდებათ) შესაძლებელს გახდის, რომ სარდინიელთა მადა დააკმაყოფილოს.

*"როცა 2004 წელს კლუბის პრეზიდენტი გავხდი, "ლაციოს" გაკოტრების შიშით აქედან ყველა გარბოდა. ახლა სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, არა მარტო ყველა საჭირო მოთამაშე შევინარჩუნოთ, არამედ გამორჩეული ფეხბურთელებიც გადმოვიბიროთ"* - ამაყად აცხადებს სინიორ ლოტიტო.

ამის პასუხად კი განცობებთ, რომ ფორვარდმა **ტომაზო როკიმ**, რომელსაც სერიოზული მთხოვნელები ჰყავდა, კარიერის დასრულება "ლაციოში" გადაწყვიტა.

დიდი გარიგების მოლოდინში

## ანრი ესპანეთში თუ ეტოო ინგლისში?

### ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ორი ქვეყნიდან

"არსენალმა" **ტიერი ანრის** ბარსელონელი **სამუელ ეტოოს** შეძენა აღუთქვა. ამ ინფორმაციას "დეილი მირორი" ავრცელებს. იმავე წყაროს ცნობით, "მეთოფეებს" 40 მილიონი გირვანქის დახარჯვა აქვთ განზრახული და ეტოოს გარდა, მარსელელი **ფრანკ რიბერისა** და ლიონელი **ფლორან მალუდას** ტრანსფერების სრულყოფაც სურთ. კამერუნელის ინგლისში გადასვლას ბრიტანული გამოცემა "ინდეპენდენტიც" წინასწარმეტყველებს, მაგრამ მისი ინფორმაციით, ეტოო "მანჩესტერ იუნაიტედში" ჩაირიცხება. "ბარსამ" "ეშმაკებს" 40 მილიონი გირვანქა მოსთხოვაო, ვკითხულობთ სტატიაში.

"არსენალისა" და "ბარსელონის" შესაძლო გარიგებას კატალონიის რადიოც ეხმაურება, მაგრამ მისი ინფორმაცია რადიკალურად განსხვავდება იმისაგან, რაც "მირორში" ამოვიკითხეთ. კატალონიელთა ვერსიით, ანრი "კამპ ნოუს" მიაშურებს. მოშველიებულია პრეზიდენტ **ხოან ლაპორტას** თამამი განცხადება, რომელიც მან ამერიკაში, სტენფორდის უნივერსიტეტში გამოსვლისას წარმოთქვა: ანრის ტრანსფერს თანდათან ვუახლოვდებითო. რადიო გვაუწყებს, რომ "არსენალთან" პირობები შეთანხმებულია და მხოლოდ კონტრაქტის პერსონალური დეტალები დარჩა დასაზუსტებელი. ამ სპეკულაციებზე ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

ჩელსი

## კარვალიო და ბალაკი ვერ ითამაშებენ

### შესუსტებული შემადგენლობით სათასო ფინალში

**რიკარდო კარვალიო** და **მიხაელ ბალაკი** ასოციაციის თასის ფინალში ვერ ითამაშებენ. **ჟოზე მოურინიომ** მათი ასპარეზობის შანსები ასე შეაფასა - კარვალიოს ერთი პროცენტი აქვს, ბალაკს კი ნული პროცენტიო. პორტუგალიელი მცველი "ბოლტონთან" 28 აპრილის მატჩში დაშავდა და "ლივერპულთან" ლიგის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი გაუცდა. ბალაკმა ორი კვირის წინ კოჭის ოპერაცია გაიკეთა და მკურნალობს. მოურინიოსათვის კარგი ამბავი ისაა, რომ მწყობრში არიან **დიდიე დროგბა** და **არიენ რობენი**. მათ "მანჩესტერ იუნაიტედთან" ბოლო მატჩში არ უთამაშიათ. ასოციაციის თასის ფინალი 19 მაისს ახლადაშენებულ "უემბლიზე" გაიმართება. ეს იქნება პირველი საკლუბო მატჩი ამ სუპერარენაზე.

ჟოზეს არაფერი უთქვამს **ანდრეი შევჩენკოს** შესახებ, რომელსაც გუშინ საზარდულის ოპერაცია გაუკეთეს. მისი თამაშიც გამოირიცხა. მაგრამ შევას ყველაზე მეტად ბოლოდროინდელი მითქმა-მოთქმა აშფოთებს. ამბობენ, კლუბისათვის ბოლომდე არ იხარჯებაო. ორი დღის წინ ანდრეი კაპიტან **ჯონ ტერის** შეხვდა და დაწვრილებით აუხსნა თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. ტერი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან კაპიტნად ითვლება. ის ფაქტობრივად მთავარი მწვრთნელის მარჯვენა ხელია. ამიტომ მის მხარდაჭერას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნიუკასლი

## ულტიმატუმი ოუენს

### მაიკლი ინგლისის მეორე ნაკრებში გამოიძახეს

ინგლისელი მიმომხილველების ცნობით, **მაიკლ ოუენის** "ნიუკასლში" დარჩენის შანსები მცირდება. ჯორდების პრეზიდენტი **ფრედი შეპერდი** თავდამსხმელს საჯაროდ სთხოვს იმის განცხადებას, რომ "სენტ ჯეიმს პარკიდან" აბარგებას არ აპირებს. მაიკლი "რეალიდან" ორი წლის წინ 17 მილიონ გირვანქად გადავიდა. ქრონიკული ტრავმების გამო მან მხოლოდ 13 მატჩი ჩაატარა. შეპერდი ფორვარდის აგენტებს მძიმე ბრალდებებს უყენებს, ისინი ფეხბურთელს ხელიდან გვაცლიანო. პრეზიდენტი განსაკუთრებით გაალიზიანა "სანში" გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ კონტრაქტის თანახმად, ოუენს 9 მილიონ გირვანქად შეუძლია წასვლა. შეპერდის აზრით, ამ დეტალის გახმაურება მხოლოდ მაიკლის აგენტებს შეეძლოთ. კიდევ უფრო კატეგორიული და უცერემონიო იყო ნიუკასლელთა ბოსის ოუენისადმი მიმართვა: *"მაიკლს პირდაპირ ვეუბნები. მას ორი არჩევანი აქვს: ან ნიუკასლელ ფანებს საჯაროდ ეტყვის, რომ მათი ერთგულია, ან იძულებული გავხდები, ვაუწყო, რომ პრემიერლიგის ოთხი გრანდიდან არცერთი არ არის დაინტერესებული მისი ტრანსფერით. ასეთია რეალობა. კლუბი და ქომაგები, რომლებიც მის გვერდით იდგნენ მთელ ორი წლის განმავლობაში, როცა ის დაშავებული იყო, საპასუხო ერთგულებას ელოდებიან."*

იქვე შეპერდმა კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს მთავარ მწვრთნელად **სვენ გორან ერიქსონის** მინვევას აპირებდეს. ეს პოსტი ორშაბათს გათავისუფლდა. "ბლექბერნთან" დამარცხებისთანავე (0:2) **გლენ როუდერმა** გადადგომის თაობაზე გააკეთა განცხადება. მიმოჩხილველები "ბოლტონის" ყოფილი თავკაცის, **სემ ელერდაისის** მინვევას ვარაუდობენ, თუმცა სამშაბათს "დეილი მირორმა" ერიქსონის აგენტის, **ათოლ სტილის** განცხადება გამოაქვეყნა, "ნიუკასლის" ფანების 51 პროცენტი სვენის დანიშვნას ემხრობაო. შეპერდმა თქვა: *"უცნაურია, საიდან მოიტანა ამ ადამიანმა ეს რიცხვი. ჩემი აზრით, მის გერლფრენდ ნენსი დელ ოლიოს უფრო მეტი მომხრე უნდა ჰყავდეს."*

აქვე, ოუენთან დაკავშირებით კიდევ ერთ ინფორმაციას მოგაწოდებთ. 25 მაისს ბარნლიში ინგლისის B ნაკრები ალბანეთს უმასპინძლებს. **სტივ მაკლარენმა** მაიკლი გამოიძახა და თუ თავდამსხმელი სასურველ შთაბეჭდილებას მოახდენს, ივნისის საკვალიფიკაციო შეხვედრებშიც ათამაშებენ. ოუენის გარდა სარეზერვო გუნდში უხმეს "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ **ალან სმიტსა** და "ტოტენჰემის" ცენტრალურ მცველ **ლედლი კინგს**. ამ უკანასკნელთაც ტრავმები ჰქონდათ. ამიტომ B ნაკრებში თამაში მათთვისაც ეროვნულ გუნდში დაბრუნების საუცხოო შანსია.



მაიკლ ოუენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ულის რთული გაზაფხული

## ჰიონესი: გაისად ისეთი უპირატესობით გავლიდერდებით, რომ კონკურენტები ბინოკლით დაგვიწყებენ ძებნას!



ული ჰიონესი

სამშაბათსა და ოთხშაბათს "ბაიერნმა" ინტენსიურად ივარჯიშა. მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერს ამ სეზონში არანაირი ამოცანა აღარ აქვს, **ოტმარ ჰიტცფელდმა** თავისი შეგირდები მაინც მაგრად დატვირთა. "გენერალმა" აქცენტი გრძელ პასებზე, ერთი-ერთზე თამაშსა და სისწრაფეზე გააკეთა - ანუ, ისეთ ასპექტებზე, სადაც ეს "ბაიერნი" ყველაზე მეტად მოიკოჭლებს. ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** თქმით, რომელიც უკვე შეურიგდა **ფრანც ბეკენბაუერს**, ბოლო ორ შეხვედრაში მიუნხენელთა მიზანი ის იქნება, რომ გუნდის პრესტიჟი აღარ შეილახოს. *"ბოლო შეხვედრებში თავი მაგრად შევირცხვინეთ და ეს აღარ უნდა განმეორდეს!"* - ამბობს კალე. გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** კი კადრებზე მუშაობს და ამბობს, დიდი შანსია, რომ ისეთ ფეხბურთელებსაც გამოვეთხოვოთ, რომლებსაც კონტრაქტები არ უმთავრდებათო.

**როკე სანტა კრუსის** წასვლა უკვე დიდი ხანია, გადაწყდა (ხელშეკრულება 2009 წლამდე აქვს). არსებობს მოსაზრება, რომ შავ სიაში მოხვდება **როი მაკაიც**, რომელიც რეკორდმაისტერში წესით, 2008 წლამდე უნდა დარჩენილიყო. მეტიც, ნერვიულობა მსოფლიოს ჩემპიონატის გმირებს, **ლუკას პოდოლსკის**, **ბასტიან შვაინშტაიგერსა** და **ფილიპ ლამსაც** მოუწევთ. *"ამ ბიჭებმა სასწრაფოდ უნდა დაგვარწმუნონ იმაში, რომ არ ვცდებით, როცა მათ "ბაიერნის" მომავალს ვუწოდებთ. ეს მხოლოდ პოდოლსკის არ ეხება,"* - აცხადებს რუმენიგე და იქვე ამატებს, - *"მომდევნო სეზონში გრანდიოზული გუნდი უნდა გვყავდეს. მუშაობა დაწყებულია!"*

**იან შლაუდრაფის**, **ჰამით ალთინთოფისა** და **ხოსე სოსას** კონტრაქტები უკვე ხელმოწერილია. მეოთხე ახალწვეული **ლუკა ტონი** უნდა იყოს და ეჭვი არავის ეპარება, რომ იტალიელი გოლეადორი "ბაიერნის" მაისურას მოირგებს. ამასთან, ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის ცნობილი გახდა, რომ **ოუენ ჰარგრივსი** "მანჩესტერის" ხელმძღვანელებს უკვე შეუთანხმდა. "კიკერის" ინფორმაციით, 26 წლის ნახევარმცველი მანკუნიანელთა ბოსებს 4-წლიან კონტრაქტზე მოურიგდა. ასე რომ, ჰიონესი და რუმენიგე ახლა "მანჩესტერის" ოფიციალურ წინადადებას ელიან. არადა, უკანასკნელი ინფორმაციით, **სერ ალექს ფერგიუსონს** ჰარგრივსში 30 მილიონი ევროს გადახდა აღარ სურს. როგორც ჩანს, რაკი "მენიუმ" ფეხბურთელი დაითანხმა, რაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა, ფრონტის ახალი ხაზი გახსნა და მაქსიმალურად ეცდება, რომ "ბაიერნი" რაც შეიძლება მცირე თანხაზე დაიყოლიოს.

■ ■ ■

ამასობაში ჰიონესმა კიდევ ერთი ისეთი განცხადება გააკეთა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ ტიტულის შენარჩუნების არანაირი შანსი აღარ აქვს და ესეც არ იყოს, გაისად ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად უეფას თასზე, ანუ, ბეკენბაუერისა არ იყოს, დამარცხებულთა ტურნირზე მოუწევს ასპარეზობა, 55 წლის ენაჭარტალა ულიმ თავს უფლება მისცა, ასეთი რამ ეთქვა: *"შალკეს", "შტუტგარტს" ან "ვერდერს" "ვერცხლის სინს" დროებით ვათხოვებთ, გაისად კი, გერმანიის ჩემპიონის ტიტული სახლში დაბრუნდება. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მომდევნო სეზონში კონკურენტებმა ბინოკლით გვიყურონ!"*

ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ჰიონესი ასეთ სიტყვებს ისვრის. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ის ხშირად განბილებული რჩებოდა. მაგალითად, 2004 წელს, "ვერდერთან" თამაშის წინ განაცხადა, ბრემენელებს დავცხრილავთ, გადავუვლითო, მაგრამ "ვერდერმა" მიუნხენში 3:1 მოიგო და გერმანიის ჩემპიონი გახდა. ჰიონესი გასული წლის ოქტომბერშიც ამბობდა, მერე რა, თუ "ვერდერი" პირველ წრეს მოიგებს, ბოლოს ისევ ჩვენ გავიცინებთ, ანუ, როგორც ყოველთვისო. გაიცინა თუ არა ულიმ, ეს უკვე იცით.

რას ამბობენ "ბაიერნის" კონკურენტები? *"ყველაზე ლამაზი და სასიხარულო ისაა, რომ "ბაიერნი" უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული. ჰიონესის ეს განცხადება კი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ მიუნხენელები შურით სკდებიან, "ვერდერი" მათზე ლამაზ ფეხბურთს რომ თამაშობს!"* - აცხადებს ბრემენელთა ბოსი **კლაუს ალოფსი**. შტუტგარტის სპორტული დირექტორი **ჰორსტ ჰელდტი** კი შედარებით მოკრძალებულია: *"ყველას აქვს უფლება, მიზნების შესახებ ღიად ისაუბროს. ჩვენ ვიცით, რომ "ბაიერნს" გერმანიაში ყველაზე მეტი მოეთხოვება."*

...ახლა წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდება ჰიონესი, მიუნხენური გუნდი გაისადაც რომ ვერ გახდეს ჩემპიონი. ეს გაზაფხული ულისთვის მონაგონი იქნება...

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ტორსტენ ფრინგსთან

# იუვემ გული ამიჩუყა, მაგრამ...

## რატომ გადაწყვიტა ტორსტენმა მუსიკოსად დარჩენა



ტორსტენ ფრინგსი გაისადაც ბრემენში ითამაშებს

**ტორსტენ ფრინგსი უკვე "იუვენტუსის" ფეხბურთელად ითვლებოდა - პირველ რიგში იმის გამო, რომ "იუვე" "ვერდერზე" ერთი თავით მაღლა დგას და ესეც არ იყოს, იტალიელები 30 წლის გერმანელ საყრდენს ძალიან დიდ ხელფასს სთავაზობდნენ (დაახლოებით 6.5 მილიონ ევროს წელიწადში). მაგრამ ტორსტენმა ბოლო მომენტში კლუბის შეცვლა გადაიფიქრა და ბრემენში რჩება. "ბილდისთვის" და "კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუებში მან ამ გადაწყვეტილების მიზეზებზე ისაუბრა და ჩვენც ამ ორი ინტერვიუს ნაზავს გთავაზობთ.**

**- ჰერ ფრინგს, "იუვენტუსში" თქვენი ტრანსფერი ყველას გაჩარხული ეგონა, რადგან ვერავის წარმოედგინა, რომ "ბებერ ქალბატონს" უარს ეტყოდით და "ვერდერში" დარჩებოდით. გულახდილად გვითხარით, რატომ გადაწყვიტეთ ბრემენულ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება?**

- ვიცი, რომ ამ გადაწყვეტილებით ბევრი გავაკვირვე და ამავე დროს, გავახარე. პირდაპირ გეტყვით, ეს გადაწყვეტილება ჩემმა გულმა მიიღო. მივხვდი, რომ "ვერდერის" დატოვება დიდი შეცდომა იქნებოდა. "იუვენტუსი" არაჩვეულებრივი გუნდია და ამაში მაშინაც დავრწმუნდი, როცა ტურინში ვიმყოფებოდი, მაგრამ ჩემთვის "ვერდერი" უფრო მნიშვნელოვანი და ძვირფასია.

**- და რატომ?**

- "ვერდერი" ჩემი ცხოვრებაა. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში და ეს ადრეც არაერთხელ მითქვამს. დორტმუნდშიც ვიყავი, მიუნხენშიც, მაგრამ არსად არ მიგრძვნია თავი ისე კარგად, როგორც აქ, ბრემენში. დასამალი არაფერია, "იუვემ" გრანდიოზული პირობები შემომთავაზა და სხვა, ჩემს ადგილას, ტურინში დაუფიქრებლად გადავიდოდა. არც იმას დაგიმალავთ, რომ რამდენიმე დღის წინათ "იუვენტუსის" ხელმძღვანელებს ვუთხარი, მორჩა, თქვენთან მოვდივარ-მეთქი. მაგრამ ორშაბათს გადაწყვეტილება შევცვალე, რადგან თომას შაафთან ძალიან საინტერესო საუბარი მქონდა. მწვრთნელმა დამარწმუნა, რომ ძალიან ვჭირდები, მითხრა, ჩემთვისა და მთლიანად გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურა ხარო. თამამად შემიძლია ვთქვა, ეს იყო შეხვედრა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. შაафმა მიმახვედრა, რომ "იუვენტუსში" გადასვლით შეცდომას ვუშვებდი. მაშინვე დავურეკე ტურინელებს, ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, რომ "ვერდერთან" კონტრაქტს ვაგრძელებდი. თავს ძალიან ცუდად ვგრძნობ, რადგან იტალიელებს პირობა მივეცი, მოვდივარ-მეთქი, მერე კი უარი ვუთხარი, მაგრამ მივხვდი, რომ ბრემენიდან წასვლის შემთხვევაში უფრო ცუდად გავხდებოდი.

**- რამდენად დიდი როლი ითამაშა ოჯახმა? ბევრი ფიქრობს, რომ ბრემენში დარჩენისკენ ოჯახის წევრებმა გიბიძგეს...**

- სისულელეა! პირიქით, ოჯახის წევრები მიესალმებოდნენ იმას, რომ "იუვენტუსში" გადავსულიყავი. ისინი მოხიბლულები იყვნენ იმით, რომ ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში გადავდიოდი. ახლაც ვფიქრობ, იქნებ ტურინში ბედნიერი ვყოფილიყავი, მაგრამ ეს "იქნებ" ძალიან ცუდი სიტყვაა, რომელიც არანაირ გარანტიას არ მაძლევდა. ბრემენში დარჩენის შემთხვევაში კი, ბედნიერება გარანტირებული მქონდა და მეც ამიტომ ვამჯობინე, კლუბი არ გამომეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩემთვის კიდევ ერთი ნაბიჯით წინ წაწევის უკანასკნელი შანსი იყო. მოკლედ, რისკზე არ წავედი.

**- ჰო, მაგრამ "იუვენტუსი" ძალიან დიდ ხელფასს გთავაზობდათ - 2.5 მილიონით მეტს, ვიდრე "ვერდერი"!**

- უკაცრავად, მაგრამ ფულს ბედნიერებასთან რა კავშირი აქვს? რომ გითხრათ, ფულს არანაირ მნიშვნელობას არ ვანიჭებ-მეთქი, მოგატყუებთ. რა თქმა უნდა, ვფიქრობდი, ამდენ ფულზე უარი როგორ უნდა ვთქვა, მე ხომ ოჯახი მაქვს-მეთქი, მაგრამ თუ კარგად დავუფიქრდებით, ეს არასერიოზული არგუმენტია. განა დიდი განსხვავებაა, წელიწადში 4 მილიონს გადაგიხდიან, თუ 6.5 მილიონს? ფეხბურთელებს, სხვა პროფესიებთან შედარებით, ისედაც ძალიან დიდი ჯამაგირი გვაქვს. ფაქტია, რომ შიმშილით არასდროს მოვკვდები და ფული ყოველთვის მექნება. ჰოდა, რამდენიმე მილიონს რატომ უნდა გამოვეკიდო? მე ისეთი ადამიანი ვარ, რომელიც სამსახურში თავს კარგად უნდა გრძნობდეს. ბრემენში თავს შესანიშნავად ვგრძნობ!

**- კი მაგრამ, მაშინ საერთოდ რატომ გააბით "იუვესთან" ფლირტი?**

- "ვერდერიდან" წასვლაზე არ ვფიქრობდი, მაგრამ "იუვენტუსის" ხელმძღვანელებს ისე ძალიან ვუნდოდი, რომ მოლაპარაკებებზე უარი ვერ ვუთხარი. არ დაგიმალავთ, რომ ტურინელებმა ძალიან მომხიბლეს. "ბებერი ქალბატონის" მთავარი მწვრთნელი დიდიე დეშამი თითქმის ყოველდღე მირეკავდა და მარწმუნებდა, ის ფეხბურთელი ხარ, რომელიც ყველაზე მეტად მჭირდებაო. როცა მოთამაშე დიდი გუნდის მწვრთნელისგან ასეთ სიტყვებს მოისმენს, ბევრი საუბარი არ სჭირდება იმას, რომ ტელეფონის გათიშვა ან თავაზიანი უარის თქმა ძალიან გაუჭირდება. აღდგომაზე ტურინელებმა ისეთი საჩუქარი გამიკეთეს, რომ იმ მომენტში, როცა ამანათს ვხსნიდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ იტალიაში გადავიდოდი. ეს იყო "იუვეს" 22-ნომრიანი მაისურა, რომელსაც ჩემი გვარი ეწერა. ბევრი არაფერი, მაგრამ ჩემთვის ეს შესანიშნავი რამ იყო - ამ საჩუქარმა ძალიან გამახარა. "იუვენტუსის" შეფებს სულითა და გულით ვუნდოდი, ტურინში რომ ჩავედი, უდიდეს პატივში მამყოფეს და სწორედ ამიტომაც გამიჭირდა თავიდანვე უარის თქმა: პირდაპირ გეტყვით, რომ არა ორშაბათის საუბარი შააფთან, დღეს "იუვენტუსთან" კონტრაქტი უკვე გაფორმებული მექნებოდა. "ვერდერი" ჩემთვის მეორე ოჯახია, ბრემენელი ფანები ჩემზე გიჟდებიან და შესაბამისად, მათაც დაიმსახურეს ჩემგან პატივისცემა.

**- მიროსლავ კლოზესგან განსხვავებით, თქვენ ყოველთვის გულახდილი იყავით და ყველაფერს პირდაპირ ამბობდით. კლოზე კი პირიქით, მუდმივად დუმდა...**

- მაპატიეთ, მაგრამ კლოზეზე არაფერს ვიტყვი.

**- კლოზე რჩება, რჩება ფრინგსიც - ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ "ვერდერში" საბოლოოდ სიმშვიდემ დაისადგურა? და დაეხმარება თუ არა ეს გუნდს სეზონის ბოლო ორ შეხვედრაში?**

- რომც არ დავრჩენილიყავით, "ვერდერი" "ვერცხლის სინისთვის" ბოლო ორ ტურში მაინც დიდი შემართებით იბრძოლებდა. ბერლინში მოგებული თამაშის შემდეგ ყველას გვესმის, რომ შეუძლებელის მოხდენა შეგვიძლია.

**- დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი გუნდი ჩემპიონი გახდება?**

- დიახ, მე ყოველთვის ოპტიმისტი ვიყავი და ოპტიმისტად ვრჩები.

**- მიუხედავად იმისა, რომ თქვენი ბედი თქვენს ხელში აღარაა?**

- ფაქტი ის არის, რომ ჩვენ ქულებს აღარ დავკარგავთ, კონკურენტები კი, აუცილებლად წაიფორხილებენ.

**- ასე დარწმუნებული რატომ ხართ?**

- იმიტომ, რომ "შალკე" და "შტუტგარტი" წნეხის ქვეშ არიან, ჩვენ კი - არა! ისინი ზეწოლას ვერ გაუძლებენ.

**- ფაქტია, რომ შაბათს "აინტრახტი" უნდა დაამარცხოთ...**

- გპირდებით, რომ "ვერდერი" სისულელეს აღარ ჩაიდენს. ამ სეზონში ისედაც ბევრი ქულა გავაჩუქეთ. ასე რომ არ ყოფილიყო, ახლა უკვე ჩემპიონები ვიქნებოდით.

**- ღირსეული ჩემპიონები?**

- რა თქმა უნდა! "ვერდერმა" მთელი სეზონის განმავლობაში ყველაზე ლამაზი და სანახაობრივი ფეხბურთი ითამაშა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ეს საკმარისი არაა.

**- პირველ წრეში შესანიშნავად ითამაშეთ, სამაგიეროდ, მეორე წრეში დასუსტდით...**

- ჩინებული დასაწყისის შემდეგ, ცხადი იყო, რომ მცირე კრიზისი გვექნებოდა. მთელ სეზონს ერთი ამოსუნთქვით ვერ ჩაატარებ. თანაც, ბოლოს ერთადერთი გერმანული გუნდი ვიყავით, რომელიც ევროტურნირზე თამაშობდა. როცა ხუთშაბათს ოფლს უეფას თასზე დაღვრი, კვირას თამაში ძალიან ძნელია.

**- დიდი შანსია, რომ ბოლოს მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდეთ...**

- არა უშავს, გამოდის, რომ მიზანს ვერ მივაღწიეთ, მაგრამ ის მაინც გვეცოდინება, რომ "ვერდერს" ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა. თუნდაც ის, რომ ჩვენ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ, "ბაიერნი" კი უეფას თასზე იქნება, უკვე დიდი წარმატებაა.

**- ზედმეტად გულახდილი ხართ და ეს ბევრს არ მოსწონს. როცა საქმე კარგად ვერ მიდის, პირველი, ვინც მაგიდას მუშტს ურტყამს, ფრინგსია...**

- ვგრძნობ, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვარ, რაც მავალდებულებს, რომ ცუდ დროს ავყვირდე, კარგ დროს კი პირიქით. თუკი ვინმეს ამასთან დაკავშირებით პრობლემა აქვს, ჩემთან უნდა მოვიდეს და დამელაპარაკოს, მაგრამ დღემდე არავინ მოსულა. საერთოდ, გუნდში ჩინებული ატმოსფეროა და მტკნარი სიცრუეა ის, თითქოს ჩვენ, ბრემენელებს ერთმანეთის გვშურს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლუის ფერნანდესთან

# ბარსელონის არ მეშინია

## ბეტისის ფრანგი თავკაცი ჟურნალისტის მიერ წარდგენილმა აუდიოჩანაწერმა შეაშფოთა...

**რამდენიმე დღის წინათ „ბეტისის“ მთავარმა მწვრთნელმა ლუის ფერნანდესმა სენსაციური განცხადება გააკეთა. ფრანგი სპეციალისტი მაშინ „ბარსელონასთან“ მოახლოვებულ პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებაზე ჩამოაგდო სიტყვა და დასძინა, რომ ანდალუსიელ ბიჭებს ჩემპიონობისთვის მებრძოლ კატალონიურ გრანდთან გამარჯვების შანსი არ ექნებათ. ამ გამოსვლას სევილიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გულშემატკივართა ნაწილმა მოსიე ფერნანდესს კაპიტულანტობაში დასდო ბრალი. აღსანიშნავია, რომ მის მიმართ პრესაც უკიდურესად კრიტიკულად განეწყო. ფერნანდესი იძულებული გახდა, საგანგებო პრესკონფერენცია გაემართა. „ბეტისის“ დამრიგებელმა, რა თქმა უნდა, სხვა თემებზეც გაამახვილა ყურადღება.**

**- სენიორ ფერნანდეს, რა მიზნით დაგვიბარეთ პრესკონფერენციაზე?**

- პირველ ყოვლისა, მსურს მადლობა გადაგიხადოთ, რომ ჩემს მოწოდებას გამოეხმაურეთ და აქ მობრძანდით. პრესკონფერენციის შინაარს რაც შეეხება, გადავწყვიტე, ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე მოსაზრებები გაგიზიაროთ. ბუნებრივია, დამატებით თუ რაიმე გაინტერესებთ, არ დაგზარდებით და სიამოვნებით გაგცემთ პასუხს.

**- მაინც, რა ხდება ამ ბოლო დროს ისეთი, რომ საგანგებო პრესკონფერენციის მოწვევა გადაწყვიტეთ?**

- არ მინდა იფიქროთ, რომ ვინმეს ვუპირისპირდები. არავითარ შემთხვევაში. კონფლიქტური სიტუაციები არ მიყვარს. სკანდალებს სიმშვიდე და მუშაობა მირჩევნია. უბრალოდ, მსურს „ბარსელონის“ მატჩთან დაკავშირებით დაგელაპარაკოთ. საზოგადოებას ისეთი აზრი შეექმნა, თითქოს, „კამპ ნოუზე“ განწირულები მივდივართ. ეს არ მითქვამს. მოგახსენეთ, რომ „ბარსა“ საკუთარ სტადიონზე“ წლეულს არავის დაუმარცხებია და „ბეტისის“ იქ გამარჯვება ნამდვილი სიურპრიზი იქნება-მეთქი. სამწუხაროდ, ჩემი სიტყვები სწორად ვერ გაიგეს. ბუნებრივია, ჩვენ თავს არ დავზოგავთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ვინ იცის, იქნებ სასწაულიც მოხდეს.

**- ვიცოდი, რომ ამას იტყოდით. ამიტომ, თადარიგი დავიჭირე და თქვენი წინა პრესკონფერენციის აუდიო ჩანაწერი წამოვიღე. შემიძლია, დიქტოფონი ჩავრთო და ყველას მოვასმენინო, როგორ ამბობთ, რომ „ბარსელონას“ დამარცხება შეუძლებელია, რომ მათ სამუელ ეტოო, ლეო მესი, რონალდინიო ჰყავთ... რომ „ბარსელონა“ გაცილებით ძლიერი კოლექტივია და „კამპ ნოუზე“ წაგებას ელით. ძალიან გთხოვთ, არასახარბიელო სიტუაციიდან გამოძრომის გამო, ჩვენ ნუ დაგვდებთ ბრალს. შეუძლებელია, სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებს ერთიდაიგივე რამ მოჩვენებოდათ...**

- შესაძლოა, სათქმელი სწორად ვერ გამოვხატე. თუ ასეა, მზად ვარ, ბოდიში მოვიხადო. ახლაც ვფიქრობ, რომ „ბეტისს“ არ ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც მესი, ეტოო და რონალდინიო არიან. ბუნებრივია, ასეთი მაღალი კლასის მოთამაშეები კატალონიელთა დიდი უპირატესობაა. ჩვენ მათი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ განწირულები ვართ. უფრო მოსალოდნელი ფრანკ რიიკაარდის ბიჭების გამარჯვებაა, თუმცა „ბეტისი“ უბრძოლველად არაფერს დათმობს. ყოველ შემთხვევაში, „ბარსელონის“ არ მეშინია.

**- სხვათა შორის, წინა პრესკონფერენციაზე განაცხადეთ, სჯობს პრაგმატულები ვიყოთ და მომდევნო მეტოქეების დამარცხებაზე ვიფიქროთო. საინტერესოა, ესეც ჩვენ მოვიგონეთ, თუ მართლაც „ხიმნასტიკთან“ ორთაბრძოლის მომზადებას შეუდექით?**

- არა, ჯერჯერობით, მხოლოდ „ბარსელონაზე“ ვფიქრობთ. მერწმუნეთ, კატალონიაში სასეირნოდ და ტურისტებად არ მივდივართ. პირველიდან ბოლო წუთამდე ვიბრძოლებთ და მოედანზე ძვლებს დავდებთ. „ხიმნასტიკთან“ სათამაშოდ მოგვიანებით მოვემზადებით.

**- ერთი შეხედვით, „ბეტისს“ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის სერიოზული საფრთხე არ ემუქრება, თუმცა თქვენ მაინც ძალიან წუხართ და ამბობთ, ქულები გვჭირდებაო. როგორ ფიქრობთ, იმისთვის, რომ თქვენი გუნდი გავარდნას გადაურჩეს, რამდენი ქულა უნდა მოიპოვოთ?**

- როგორც იცით, პრიმერაში დარჩენის შანსი ჯერჯერობით, არც ერთ აუტსაიდერს არ დაუკარგავს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხრილის ბოლოში ძალიან დიდი კონკურენციაა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ჩემი აზრით, უძლიერესთა ლიგაში დასარჩენად მინიმუმ ოთხი ქულა გვჭირდება. შესაძლოა, ესეც არ გვეყოს, ამიტომ მაქსიმალური შედეგებისთვის უნდა ვიბრძოლოთ.

**- „ბეტისის“ კრიზისი რას უნდა მივაწეროთ? აშკარაა, რომ გუნდი ბოლო დროს დაღმავალი გზით მიდის.**

- ვერ ვიტყვი, რომ დაღმავალი გზით მივდივართ და კრიზისში ვიმყოფებით. „ბეტისმა“ არაერთი შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარა. სამწუხაროდ, ბოლო ტურებში არ გაგვიმართლა და რამდენიმე მარცხი ვიწვნიეთ. ასე რომ, ჩვენს მდგომარეობას უიღბლობა უფრო ეთქმის, ვიდრე კრიზისი. მერწმუნეთ, ფეხბურთელები ოპტიმისტურად არიან განწყობილები. კრიზისი რომ გვაწუხებდეს, არავის არაფრის იმედი არ ექნებოდა, რადგან სეზონის დასრულებამდე ძალიან მცირე დროა დარჩენილი.

**- ყველაფერი გასაგებია. ცნობილია, რომ კრიზისის აღიარება არც ერთ მწვრთნელს არ უყვარს. მაშინ ის გვითხარით, გუნდის მომზადების დონე და შედეგები რამდენად გაკმაყოფილებთ?**

- როცა კონტრაქტს ხელს ვაწერდი, ვიცოდი, რომ ბოლო ტურამდე წვალება მოგვიწევდა. პირადად ჩემთვის, გაუთვალისწინებელი და მოულოდნელი არაფერი ხდება. სხვადასხვა მიზეზის გამო, „ბეტისს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა. საკმაოდ რთული სიტუაცია დამხვდა. ნურავინ იფიქრებს, რომ ხავიერ ირურეტას ვადანაშაულებ. ის დიდი მწვრთნელია, მაგრამ ამით პრობლემები არ მცირდება. ფეხბურთელების შემართებით კმაყოფილი ვარ, მაგრამ შედეგებს, რა თქმა უნდა, ვერ მოვიწონებ. ზედიზედ წაგებული მატჩებით ვერც ერთი მწვრთნელი გაიხარებს. ძალიან ცოტა დრო გვაქვს იმისთვის, რომ სიტუაცია გამოვასწოროთ. იმედია, გაგვიმართლებს. თუ ჩვენი კონკურენტები წააგებენ, „ბარსელონასთან“ წარუმატებლობა ნაკლებად დამამწუხრებს.



ლუის ფერნანდესი

**- ამბობენ, რომ „ბეტისში“ დაჯგუფებები შეიქმნა და ფეხბურთელები ერთმანეთთან არ მეგობრობენ. სხვათა შორის, ამ ხმების გავრცელებას თქვენმა მუშაობამ შეუწყო ხელი. ყველა ხედავს, რომ მოთამაშეთა ერთი ნაწილი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობს.**

- კატეგორიულად ვერ დაგეთანხმებით. ის, რომ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფეხბურთელთან ერთად ვმუშაობ გათიშულობასა და დაქსაქსვას სულაც არ ნიშნავს. სეზონის ამ მონაკვეთში გუნდური სულისკვეთებით უნდა ვიხელმძღვანელოთ და ინდივიდუალიზმი ბოლოსთვის შემოვინახოთ. არ დავუშვებ, ვინმემ საკუთარ ეგოს „ბეტისი“ გადააყოლოს.

**- და მაინც, თქვენს მიერ შერჩეულ შემადგენლობაში ის ბიჭები აღარ ჩანან, რომლებიც ადრე სისტემატურად თამაშობდნენ. ეჭვი მაქვს, ისინი სწორედ მოჭარბებული ეგოიზმის გამო დასაჯეთ. ასეა?**

- არა.

**- აბა, ამ გარემოებას როგორ აგვიხსნით?**

- ძალიან მარტივად. ისინი ადრე კარგ ფორმაში იყვნენ, მაგრამ ახლა პრობლემები აქვთ. კონკურენციას ვაღმერთებ. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**- რონალდინიოს კიდევ ერთხელ შეხვდებით...**

- პარიზში ორი წელიწადი ერთად ვმუშაობდით. მიმაჩნია, რომ ევროპასთან შეგუებაში სერიოზულად დავეხმარე. თავდაპირველად ნოსტალგიასთან გამკლავება ძალიან უჭირდა, მაგრამ ჩემი თანადგომით ყველა ბარიერი გადალახა. რონალდინიო ფენომენი და გენიოსია. მას ერთ წამში შეუძლია ნებისმიერი სირთულის მატჩის ბედი გადაწყვიტოს. წინა ტურის შეხვედრაში „ბარსელონამ“ სწორედ გაუჩოს პასების წყალობით მოიგო.

**ილია ნიკოლაიშვილი**

---



სევილიელები სამეფო თასის ფინალში გასვლას ზეიმობენ

ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# ხუანდე რამოსი ბარსელონას ელოდება

## ანდალუსიელები ყველა ფრონტზე გამარჯვებას აპირებენ

**სევილია-დეპორტივო 2:0 (0:3)**

ამ წყვილის გამარჯვებულის ბედი ჯერ კიდევ ლა კორუნიაში გადაწყდა. მოგეხსენებათ, პირველი ნახევარფინალური დაპირისპირება ანდალუსიელთა გამარჯვებით დასრულდა, 3:0. ამ გარემოების გათვალისწინებით, საპასუხო პაექრობა, მხოლოდ და მხოლოდ, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. წარმოუდგენელი იქნებოდა, „დეპორტივოს“ „სანჩეს პისხუანზე“ ოთხი გოლი გაეტანა და ფინალში გასულიყო. **ხოაკინ კაპაროსის** ერთადერთ იმედს სევილიელთა მიერ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ განცდილი იმედგაცრუება წარმოადგენდა. „რეალთან“ წაგებით **ხუანდე რამოსის** ბიჭებმა პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი გაიფერმკრთალეს, რის გამოც ისინი დღემდე ძალიან წუხან. კაპაროსს სწორედ იმის იმედილა ჰქონდა, რომ სასოწარკვეთილი მასპინძლები შეცდომებს სათასო შეხვედრაშიც დაუშვებდნენ... მაგრამ სასწაული არ მოხდა. პირიქით, სამხრეთელებმა დამაჯერებლად იასპარეზეს და მეტოქე უპრობლემოდ დაამარცხეს.

შეუძლებელია, ნეიტრალური გულშემატკივარი სევილიელთა შემართებითა და პროფესიონალიზმით არ მოიხიბლოს. ისინი მაშინაც კი არ დუნდებიან, როცა მომდევნო ეტაპზე გასვლა განაღდებული აქვთ და წინ სერიოზული გამოცდა ელით. მოგეხსენებათ, „სევილიას“ 16 მაისს უეფას თასის ფინალი აქვს გასამართი. მანამდე პრიმერადივიზიონური დაპირისპირებაა. ბუნებრივია, მოახლოებული უპრინციპულესი თამაშების მოსაგებად ფიზიკური ძალაა საჭირო. პრაგმატული თვალსაზრისით, მომგებიანი იქნებოდა, რომ რამოსის ბიჭებს დაბალ ტემპში ეთამაშათ. სხვათა შორის, მთავარმა მწვრთნელმა ერთ-ერთი ლიდერის, **დანელ ალვეშის** დასვენებაც არ ისურვა. ანდალუსიელებმა ლაკორუნიელებს პირველივე წამიდან აგრძნობინეს, რომ კიდევ ერთი მძიმე თავგადასავალი ელოდათ. თავად განსაჯეთ, **მუნუას** კარს პირველად მე-40 წამზე დაემუქრნენ. მეორე წუთზე კი მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. **დუდამ** ფანტასტიკური საჯარიმო დარტყმით შეაგდო. თქვენ წარმოიდგინეთ, „სევილია“ ამანაც ვერ დაამშვიდა. რამოსის შეგირდები კვლავ დიდი ძალებით უტევდნენ, არადა, „დეპორტივოს“ ფინალის საგზურის მოსაპოვებლად უკვე ოთხი გოლის გატანა სჭირდებოდა. ეს კი, რა თქმა უნდა, უტოპია გახლდათ. „სანჩეს პისხუანის“ ბინადრებმა დანდობა არ იციან. მომდევნო ნახევარი საათი მათი გამალებული იერიშებით აღინიშნა. **ხავიერ ჩევანტონმა** წარმოუდგენლად ხელსაყრელი პოზიციიდან ვერ შეაგდო, თუმცა ურუგვაელმა ფორვარდმა რამდენიმე წუთში ცოდვა ბოლომდე გამოისყიდა. მან საჯარიმოში ეფექტური ფინტით მოწინააღმდეგე ჩამოიტოვა და მეკარეს აუღებელი დაურტყა.

სიტუაცია მეორე ტაიმშიც არ შეცვლილა. „დეპორი“ საბრალო სანახავი იყო. ჩევანტონმა ისეთი პოზიციიდან ვერ გაიტანა, საიდანაც აცილება გატანაზე ბევრად უფრო რთული გახლდათ. მოგვიანებით, სტუმრებს ძელიც შეუზანზარეს. გალისიელებს გოლის გატანის შესაძლებლობა მხოლოდ ერთხელ მიეცათ, მაგრამ **ანდრეს პალოპმა** ფანტასტიკური სეივი შემოგვთავაზა.

„სევილიას“ ზუსტად ერთ კვირაში ორი ფინალის ჩატარება მოუწევს. ამ დიდი წარმატებით ხუანდე რამოსმა ძალიან გაიხარა: *„ვამაყობ, რომ ამ გუნდს ვხელმძღვანელობ. წარმოიდგინეთ, ერთდროულად სამ ფრონტზე ვიბრძვით. მართალია, „რეალთან“ წავაგეთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრიმერა დივიზიონში გამარჯვების შანსი კვლავაც გვაქვს. ესპანეთის სამეფო თასსა და უეფას თასზე აღარაფერს ვამბობ. ჩემი აზრით, „სევილია“ ორივე ფინალის ფავორიტი იქნება. მეტოქედ, სავარაუდოდ, „ბარსელონა“ გვერგება. კატალონიელები ძალიან ძლიერები არიან, მაგრამ, თუ ისინი გადაგვეყრებიან, აუცილებლად მოვუგებთ. ზუსტად ვიცით, „ბარსას“ როგორ უნდა ვეთამაშოთ. უეფას ფინალში კი კიდევ ერთი კატალონიური კლუბი, „ესპანიოლი“ შეგვერკინება. მჯერა, რომ მათ ვაჯობებთ და პრესტიჟულ ჯილდოს ზედიზედ მეორედ დავეუფლებით. მახსოვს, შარშან სევილიაში დაუვიწყარი ფიესტა მოეწყო. წლეულს ალბათ, კიდევ უფრო მგზნებარე ზეიმს გავმართავთ. უშუალოდ დღევანდელ დაპირისპირებას რაც შეეხება, თუ ზედმეტ ამპარტავნობაში არ ჩამომართმევთ, მოგახსენებთ, რომ პირველი ნახევარფინალიდან გამომდინარე, „დეპორს“ სერიოზულ წინაღობად არ აღვიქვამდით. ჩვენ მხოლოდ სასწაული თუ შეგვიშლიდა ხელს. სასწაულები კი ძალიან იშვიათად ხდება. მოკლედ, გულშემატკივრებს კიდევ ერთი ბედნიერი დღე ვაჩუქეთ. წინ უფრო ბედნიერი საღამოები გველის.“*

ხოაკინ კაპაროსი, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად განსხვავებულ განწყობაზე იყო: *„რაოდენ მტკივნეულიც არ უნდა იყოს, ვაღიარებ, რომ დღეისთვის „სევილია“ ჩვენზე გაცილებით ძლიერი კლუბია. ორივე მატჩის პერიპეტიების გაანალიზებისას ვასკვნი, რომ ანდალუსიელებმა ყველა კომპონენტში გვაჯობეს. ცხადია, ძალიან გულნატკენი და დამწუხრებული გახლავართ. ფინალში გასვლაზე ვოცნებობდით, მაგრამ ვერ შევძელით.“*

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ზლატან იბრაჰიმოვიჩთან

# ინტერის უძვირფასესი მოთამაშე

## შვედი თავდამსხმელი ჰოლანდიის ჩემპიონატს სიამოვნებით იხსენებს, მაგრამ სერია A მისთვის სხვა განზომილებაა...



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

დოსიე

### ზლატან იბრაჰიმოვიჩი

დაიბადა: 1981 წლის 3 ოქტომბერს

დაბადების ადგილი: მალმიო, შვედეთი (იუგოსლაველი ემიგრანტების ოჯახში: მამა - ბოსნიელი, დედა - ხორვატი)

ამპლუა: თავდამსხმელი

სიმაღლე: 192 სმ. წონა: 85 კგ.

სათამაშო კარიერა

თამაში დაიწყო როზენგარდში, მალმიოს ერთ-ერთ გარეუბანში. 10 წლისა, "ბალკანის" შემადგენლობაში ჩარიცხეს, სადაც 12 წლის ბიჭები თამაშობდნენ. შეტევაში მის შედეგიან თამაშს "მალმიოს" ხელმძღვანელებმა მიაქციეს ყურადღება. ამ კლუბის შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა შვედეთის უმაღლეს დივიზიონში (1998-99). "მალმიოში" გატარებული სამი სეზონის განმავლობაში, 16 გოლი გაიტანა. "აიაქსშიც" (ჰოლანდიურმა კლუბმა იბრაჰიმოვიჩი 8 მილიონ ევროდ შეიძინა) ზუსტად ამდენი სეზონი გაატარა და ორჯერ მეტი - 32 გოლი შეაგდო.

იბრაჰიმოვიჩის იტალიური დებიუტი 2004 წლის 12 სექტემბერს შედგა, როცა "იუვენტუსმა" სერია A-ს მატჩში 3:0 მოუგო "ბოლონიას" და ერთი გოლი, სწორედ შვედმა გაიტანა (იტალიურ კლუბს მისი ტრანსფერი დაახლოებით 18 მილიონი ევრო დაუჯდა). სულ, "იუვეს" შემადგენლობაში, სერია A-ში 70 მატჩი ჩაატარა და საკუთარ ანგარიშზე 23 გოლი მიითვალა. "ინტერში" იბრაჰიმოვიჩი 25 მილიონ ევროდ გაიყიდა. სულ, სერია A-ში ჩატარებული სამი სეზონის განმავლობაში, შვედი სამჯერ გახდა სკუდეტოს მფლობელი.

შვედეთის ნაკრებში დებიუტი 2001 წლის 31 იანვარს ჰქონდა. იქედან მოყოლებული, ეროვნულ გუნდში 42 მატჩი ჩაატარა და 18 გოლი გაიტანა.

**სანამ 2006 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, "სკუადრა აძურამ" 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე სრული კრახი განიცადა. ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ მატჩში, იტალია შვედეთის ნაკრებს ხვდებოდა და 85-ე წუთამდე იგებდა კიდეც. და აი აქ, საფეხბურთო სასწაული მოხდა. შვედების ახალგაზრდა ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი მეტოქის საჯარიმოში შევარდა, აკრობატული ნახტომი შეასრულა და ნახევარბრუნით ქუსლით გაგზავნა ბურთი ბუფონის კარში. იტალიელთა დამღუპველი ფორვარდი "იუვენტუსში" მიიწვიეს. შემდეგ იყო ტრანსფერი "ინტერში", სადაც იბრა ერთ-ერთი მთავარ ფიგურად იქცა და წელს, მილანურ კლუბს მე-15 სკუდეტოს მოპოვებაში დაეხმარა. გთავაზობთ ინტერვიუს შვედეთის ნაკრების თავდამსხმელთან, რომელიც "კალჩო 2000"-ის აპრილის ნომერში დაიბეჭდა.**

**- როდის მიხვდით, რომ პროფესიონალი ფეხბურთელი გამოხვიდოდით?**

- ფეხბურთის თამაში ძალიან ადრე დავიწყე და ბურთთან ურთიერთობისას პრობლემა არასოდეს მქონია. მე მაშინ შემამჩნიეს, როცა მოკრძალებულ კლუბ "ბალკანში" ვთამაშობდი. შემდეგ, ცნობილ "მალმიოში" მიმიწვიეს, საიდანაც დაიწყო კიდეც ჩემი პროფესიული კარიერა. 1999 წელს, "მალმიოს" შემადგენლობაში დებიუტი მქონდა შვედეთის უმაღლეს დივიზიონში.

**- თქვენ მაშინვე თავდასხმაში დაგაყენეს, თუ ისე როგორც სხვა მაღალმა ფეხბურთელებმა, კარში ან დაცვაში სცადეთ ბედი?**

- არა, არ შემეძლო და არ შემიძლია კარში ან დაცვაში თამაში. თავიდანვე თავდამსხმელი ვიყავი და მე მგონი, არჩევანში არ შევმცდარვარ. ასე ვთქვათ: ეს ამპლუა ჩემთვის არის შექმნილი.

**- როგორ იწყებოდა თქვენი კარიერა "აიაქსში"?**

- ჰოლანდიის ჩემპიონატში მონაწილეობა 2001-02 წლების სეზონიდან დავიწყე. მახსოვს, რომ მაშინ გუნდს ლეო ბეენჰაკერი ავარჯიშებდა. შესანიშნავი დრო იყო, ჰოლანდიაში რამდენიმე დასამახსოვრებელი სეზონი გავატარე, ბევრს ვვარჯიშობდი და გამოცდილებაც შევიძინე. ჩატარებულმა სამუშაომ შედეგი გამოიღო: "იუვენტუსში" მიმიწვიეს, შემდეგ - "ინტერში". "აიაქსთან" ერთად ორჯერ მოვიგეთ ქვეყნის ჩემპიონატი, ერთხელ ჰოლანდიის თასი და სუპერთასი. ჩემთვის სასიამოვნოა ამაზე საუბარი და საუკეთესო მოგონებები დამრჩა ამ კლუბში ჩემი დებიუტის შესახებ. მაშინ, ამსტერდამის ტურნირის დროს, "ვალენსიას", "ლივერპულსა" და "მილანს" ვეთამაშეთ. შეუძლებელია იმ დაუვიწყარი შთაბეჭდილებების სიტყვებით გადმოცემა!

**- ჰოლანდიაში მეგობრები დღესაც გყავთ? ტელეფონით ესაუბრებით ყოფილ აიაქსელ თანაგუნდელებს?**

- რა თქმა უნდა, იქ შესანიშნავი მეგობრები მყავდა. დღესაც ხშირი კავშირი მაქვს გრიგერასთან და კივუსთან. სხვა ბიჭებთანაც სასიამოვნო ურთიერთობები დამრჩა. დღეს, "ინტერში" თამაშობს ფეხბურთელი, რომელიც აქ სწორედ ჰოლანდიიდან ჩამოვიდა. ეს არის ბრაზილიელი მაქსველი, შესანიშნავი ფეხბურთელი.

**- რა განსხვავებაა ჰოლანდიისა და იტალიის ჩემპიონატებს შორის?**

- საქმე მსგავსებებში არ არის. იტალიის ჩემპიონატი - ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული პირველობაა. სერია A შეუდარებელია. აქ უამრავი ბრწყინვალე ფეხბურთელი თამაშობს, ისინი უფრო ტექნიკურები არიან, გუნდები კი, გაცილებით ძლიერები. მაგრამ მე არ მსურს ჩემი წარსულის დავიწყება, რადგან "აიაქსი" - უმდიდრესი ტრადიციების დიადი კლუბია და ბედნიერი ვარ, რომ მის შემადგენლობაში ვთამაშობდი. თუმცა, იტალია - სულ სხვა განზომილებაა.

**- მაშინ ის გვითხარით, რა განსხვავებაა "იუვენტუსსა" და "ინტერს" შორის?**

- ორივე უდიდესი კლუბია, ორივეგან ბრწყინვალედ არის ორგანიზებული საკლუბო საქმეები. მთავარი განსხვავება ისაა, რომ "იუვენტუსს" ჰყავდა ლუჩანო მოჯი, "ინტერში" კი ასეთი ადამიანი არ აღმოჩნდა. შევეცდები აგიხსნათ, რა მაქვს მხედველობაში. "ინტერის" საკლუბო იერარქიაში, პრეზიდენტ მასიმო მორატიდან დაწყებული, რამდენიმე პიროვნება გამოირჩევა. "იუვეში" კი, ასე არ იყო. იქ ლუჩანო მოჯი მბრძანებლობდა.

**- რა შეგიძლიათ გვითხრათ ფაბიო კაპელოსა და რობერტო მანჩინის შორის განსხვავებაზე?**

- რობერტო მანჩინი დიდი ფეხბურთელი იყო და უფრო დიდ მწვრთნელად ჩამოყალიბდა. მას სწორად ესმის ის, თუ როგორ უნდა ავარჯიშოს ჩვენი გუნდი. და მიუხედავად იმისა, რომ მწვრთნელის პროფესია არც ისე დიდი ხანია რაც აითვისა, ამ პოსტზე უკვე ძალიან ბევრს მიაღწია. უდავოა, რომ მანჩინი სამწვრთნელო სამყაროში ნომერ პირველ დამრიგებლად იქცევა. ის ახლოა ამ მიზანთან. მან შეძლო უძლიერესი კოლექტივის შექმნა და "ინტერს" გზა გაუხსნა გამარჯვებებისკენ, რისი გაკეთებაც მისმა წინამორბედებმა ვერ შეძლეს. რაც შეეხება კაპელოს, მისი შეფასებისას ლაკონური ვიქნები. ის იმარჯვებდა ყველგან, სადაც კი სამუშაოდ მიდიოდა. ქარიზმატული პიროვნებაა და მანჩინისგან განსხვავებით, უდიდესი გამოცდილება გააჩნია.

**- პირველ რიგში, რომელ მწვრთნელს გადაუხდიდით მადლობას?**

- დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ყველა იმ მწვრთნელს, რომელთა ხელმძღვანელობითაც მომიწია თამაში: კუმანს, ვან ბასტენსა და სხვებს. თითოეული მათგანი თავისებურად მასწავლიდა ფეხბურთის თამაშს, მეც ვცდილობდი, შემეთვისებინა მათი გაკვეთილები და ბოლოს და ბოლოს, აქ, "ინტერში" აღმოვჩნდი. ყოველთვის მახსოვს, თუ რითი ვარ დავალებული ჩემი ყოფილი დამრიგებლებისგან.

**- რას განიცდიდით მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის ნაკრების ტრიუმფის შემდეგ?**

- მიხაროდა იმ ბიჭების წარმატება, რომლებსაც კარგად ვიცნობ. იტალიაში ვთამაშობ და აქ ბევრი მეგობარი მყავს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს აუტანელ პიროვნებად მივაჩნივარ.

**- მსოფლიო ჩემპიონატის წინ, "იუვენტუსთან" ერთად სკუდეტო მოიგეთ. შემდეგ, "ინტერში" გადახვედით, რომელსაც "იუვესთვის " ჩამორთმეული ჩემპიონობა მიანიჭეს. როგორ მიგაჩნიათ, შარშანდელი სკუდეტო ტურინულია თუ მილანური?**

- რა თქმა უნდა, ტურინული. "იუვესთან" ერთად ორი "სკუდეტო" მინდორზე ბრძოლის შედეგად მოვიგე. ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, რა ხდებოდა მოედნის მიღმა. ნებისმიერ თამაშში ბოლომდე ვიხარჯებოდი და ის ორი სკუდეტო სამართლიან ბრძოლაში მოვიპოვეთ. მაგრამ ამასთანავე, ბედნიერი ვარ ჩემი შემდეგი არჩევანით. "ინტერი" - დიადი კლუბია, რომელმაც დიდი გამარჯვებების ახალი პერსპექტივები მომანიჭა. უკვე სამი წელიწადია იტალიაში ვარ და სამივეჯერ შევძელი ჩემპიონობის მოპოვება.

**- თქვენ მომავალ სეზონშიც "ინტერის" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურა იქნებით. თქვენი კლუბის პრეზიდენტს, რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის შეძენაში რეკომენდაციას არ გაუწევთ?**

- პრეზიდენტ მორატის ჩემი რჩევები არაფერში სჭირდება. მან და კლუბის სხვა ხელმძღვანელებმა კარგად იციან, როგორ იმოქმედონ სატრანსფერო ბაზარზე. ამის დამადასტურებელია ის ბრწყინვალე კოლექტივი, რომელიც მათ შექმნეს. გუნდის შემადგენლობაში არიან გამოჩენილი ფეხბურთელებიც და ბევრი საინტერესო ახალგაზრდა მოთამაშეც. პირველ რიგში, მცველ მარკო ანდრეოლის გამოვყოფდი.

**- საერთოდ, მასიმო მორატი რა კაცია?**

- ის ყველა დადებითი, ადამიანური თვისებებით დაჯილდოვებული ბრწყინვალე პიროვნებაა. მასიმო ჩვენთვის მხოლოდ პრეზიდენტი არ არის. ის ჩვენი მეგობარიცაა.

**- როგორი პიროვნებაა ზლატან იბრაჰიმოვიჩი მოედნის მიღმა?**

- აუტანელი, ჯიუტი, დაუმორჩილებელი (იცინის). თუ სერიოზულად ვისაუბრებთ, უნდა ვთქვა, რომ მიყვარს ოჯახის წრეში თავისუფალი დროის გატარება. არ მომწონს საღამოებზე სიარული. და ჩემზე გავრცელებული აზრის მიუხედავად, საკმაოდ წყნარი ადამიანი ვარ. მიყვარს მუსიკა და ვიდეოთამაშები, კითხვა და საინტერესო ფილმების ყურება.

**- როგორ მუსიკას ანიჭებთ უპირატესობას?**

- სხვადასხვა ჟანრის მუსიკას ვუსმენ, მათ შორის, ყოფილი იუგოსლავიის ხალხთა ნაწარმოებებს. ერთი რომელიმე გამორჩეული სტილი არ მაქვს: შეიძლება მოვუსმინო რეპს, საცეკვაო მუსიკას, რეგის, როკს... ყველაზე კარგად მუსიკა მაწყნარებს.

**- ფეხბურთის გარდა, სპორტის კიდევ რომელი სახეობები მოგწონთ?**

- განსაკუთრებით მიყვარს ინდივიდუალური სახეობები, განსაკუთრებით ჩოგბურთი და კრივი. მომწონს, როგორ თამაშობს როჯერ ფედერერი, ხოლო ჩემთვის უდიადეს სპორტსმენად მუჰამედ ალი რჩება.

**- ფედერერი ჩოგბურთში, ალი - კრივში. ფეხბურთში?**

- ერთმნიშვნელოვნად, რონალდო.

**- პროფესიონალი ფეხბურთელი რომ არ გამხდარიყავით, რა პროფესიას აირჩევდით?**

- სკოლაში კარგად ვსწავლობდი, იქ პრობლემები არ მქონია. იქნებ ადვოკატი გამოვსულიყავი. თუმცა, არ ვიცი, მე ხომ ფეხბურთელი გავხდი.

გიორგი თვალია

### ინტერის ყველაზე ძვირფასი მოთამაშე

გაზეთა დელო სპორტის გამოკითხვა

| | |
|---|---|
| იბრაჰიმოვიჩი | 48.7% |
| მატერაცი | 23.8% |
| სტანკოვიჩი | 3.7% |
| კრუსი | 3.4% |
| სოლარი | 2.8% |
| ძანეტი | 2.6% |
| ფიგუ | 2.1% |
| მაიკონი | 1.9% |
| გროსო | 1.6% |
| კრესპო | 1.5% |
| ადრიანო | 1.3% |
| ჟულიო სეზარი | 1.2% |
| კამბიასო | 1.2% |
| ვიეირა | 1.2% |
| მაქსველი | 1.0% |
| ბურდისო | 0.7% |
| სამუელი | 0.6% |
| დაკური | 0.5% |
| კორდობა | 0.2% |

### გუდიონსენი ინგლისში ბრუნდება?

"ბარსელონამ" ეიდურ გუდიონსენს დაინტერესებულ კლუბებთან მოლაპარაკებების გამართვის უფლება მისცა. "ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, კატალონიელები ისლანდიელ თავდამსხმელთან თანამშრომლობას არ გააგრძელებენ. "ჩელსის" ყოფილ ვარსკვლავს "მანჩესტერ იუნაიტედი" აკვირდება. შესაძლოა, გააქტიურდეს "ვესტ ჰემიც", თუ ის პრემიერლიგაში ადგილს შეინარჩუნებს და თუ **კარლოს ტევესს** გამოეთხოვება. მოსალოდნელი ტრანსფერის ფინანსური დეტალები უცნობია.

### ულიეს კიევში ელოდებიანო

"ლიონის" თავკაცი **ჟერარ ულიე** კიევში ჩასვლას აპირებს. უკრაინული სააგენტოების ცნობით, ის "დინამოს ხელმძღვანელობას შეხვდება. მწვრთნელის შესაძლო ტრანსფერთან დაკავშირებით ფრანგულ საინფორმაციო საშუალებები არაფერს იუწყებიან. იმის გამო, რომ "ლიონმა" ჩემპიონთა ლიგაში ვერაფერს მიაღწია, მოსიე ჟერარის პოზიციები საგრძნობლად შეირყა. ქომაგებმა მასზე გული აიცრუეს. არადა, ამ სპეციალისტის ხელში ლიონელები ზედიზედ ორჯერ გახდნენ საფრანგეთის ჩემპიონები. ორი დღით ადრე კიევის "დინამოში" დანიშვნა **სვენ გორან ერიქსონსაც** უწინასწარმეტყველეს, მაგრამ შვედმა სპეციალისტმა მაღალი ანაზღაურების გარდა, ევროპული დონის ხუთი ფეხბურთელის ტრანსფერი მოითხოვა, რის გამოც გარიგება არ შედგა.

### ინგლისური სასჯელები

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ სამ-სამ მატჩიანი დისკვალიფიკაციები ჩამოურიგა "მანჩესტერ სიტისა" და "ფულჰემის" მცველებს, **მაიკლ ბოლსა და მაიკლ ბრაუნს**. ბოლმა მანჩესტერულ დერბიში (0:1) **კრისტიანო რონალდოს** განზრახ ჩაარტყა ფეხი. მიუხედავად იმისა, რომ არბიტრმა მისი უხეშობა ვერ შენიშნა, ის ვიდეოჩანაწერით გაასამართლეს. რაც შეეხება ბრაუნს, ამ უკანასკნელმა "ლივერპულთან" ბოლო ტურის შეხვედრაში (1:0) იხულიგნა. მან **ჩაბი ალონსოს** თავი ჩასცხო და ცხვირი გაუტეხა.

### კელერი გლადბახიდან მიდის

**კეისი კელერი** მიონხენგლადბახის "ბორუსიაში", ალბათ, აღარ ითამაშებს. ეს ვარაუდი ბუნდესლიგიდან გავარდნილი კლუბის მენეჯერმა **კრისტიან ციგემ** გამოთქვა. 37 წლის ამერიკელმა მეკარემ ევროპაში არა ერთი სეზონი გაატარა. ის გერმანიაში 2005 წელს ჩავიდა იქამდე კი ინგლისურ "ტოტენჰემსა" და ესპანურ "რაიო ვალეკანოში" ასპარეზობდა. ციგემ განაცხადა, რომ "ბორუსიაში" შემადგენლობის გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყება. კელერის ადგილს 25 წლის **კრისტოფერ ჰაიმეროტი** დაიკავებს.

### ახალი მწვრთნელი გრასჰოპერსში

მომავალი სეზონიდან შვეიცარიულ "გრასჰოპერსს" ახალი მწვრთნელი ეყოლება. ბულგარელი **კრასიმირ ბალაკოვის** ადგილს ადგილობრივი სპეციალისტი **ჰანს პეტერ ლატური** დაიჭერს. ლატური "კალიებს" 2005 წელს, რვა თვის განმავლობაში ავარჯიშებდა, შემდეგ "კიოლნს" მიაშურა და გუნდთან ერთად მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითდა. ბალაკოვს კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი, მაგრამ ახალი სამსახურის მოძებნა მოუნევს. მას თან ერთად წავა იჯარით აყვანილი ბრაზილიელი თავდამსხმელი **აილტონიც**. "გრასჰოპერსს" შვეიცარიის ათგუნდიან უმაღლეს დივიზიონში მეექვსე ადგილი უკავია და ლიდერ "ციურიხს" 16 ქულით ჩამორჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს საინტერესოა

# ტორო, ლუპა, გრიფონი და სხვები

## იტალიური კლუბების სახელები და ფერები შორეულ წარსულს უკავშირდება

**იტალიური საფეხბურთო ლექსიკონი მეტად მდიდარი, გამომხატველი და მრავალფეროვანია. კალჩოზე საუკეთესო წერილების ავტორები, საგნისა და მისი ისტორიის ღრმა ცოდნით ბრწყინავენ, შესანიშნავად ორიენტირებენ ფეხბურთისა და მთლიანად სპორტის კავშირზე თავიანთი ქვეყნის პოლიტიკასთან, ეკონომიკასა და კულტურასთან. ისინი მკითხველებს პატივისცემით ეპყრობიან, ცდილობენ იყვნენ ორიგინალურები და არ იხმარონ ბანალური ფრაზები, მაგალითად ასეთი - "თუ შენ ვერ გაიტან, მაშინ თავად გაგიტანენ". უკიდურეს შემთხვევაში, ისინი შემოიფარგლებიან ასეთი გამონათქვამებით: "ვერ გაიტანე შენ - პარტნიორი გაიტანს" ან "ვერ გაიტანე დღეს, შემდეგ ტურში გაიტან". იტალიელი მიმომხილველები ცდილობენ, არ განმეორდნენ მაშინაც კი, როცა ისინი იძულებულნი არიან, ხშირად იხმარონ იმ გუნდების სახელები, რომელთა შესახებაც უწევთ წერა. ვნახოთ, როგორ გამოსდით მათ ეს.**

### ქალაქები და ფეხბურთი

საუკუნეზე დიდი ხნით ადრე, კალჩოს ალმოცენების პერიოდში, იტალიური კლუბების დამაარსებელთა ფანტაზია იმ ქალაქების სახელებზე შორს ვერ მიდიოდა, სადაც ეს კლუბები იქმნებოდა. ეს მყარ ტენდენციად იქცა და მომავალშიც, ქალაქები აგრძელებდნენ კლუბებისთვის საკუთარი სახელების მიცემას. ასე წარმოიშვა სხვადასხვა წლებში "კალიარი", "ლივორნო", "მესინა", "პალერმო", "პარმა", "რომა", "სიენა", "ტორინო" და "ემპოლი", რომლებიც დღეს სერია A-ში თამაშობენ. სერია B-ში მოთამაშე 24 კლუბიდან, ქალაქისა და გუნდის სახელი 18 შემთხვევაში ემთხვევა ერთმანეთს. მათ შორის არის ისეთი ცნობილი კლუბები, როგორიცაა იტალიის შვიდგზის ჩემპიონი "ბოლონია" და "ნაპოლი" (ნეაპოლის იტალიური სახელწოდება), რომლის პოპულარობა ორ მოპოვებულ სკუდეტოს სცილდება.

შესაბამისად, ჩამოთვლილი კლუბების მოთამაშეებსა და ზოგიერთ შემთხვევაში, გულშემატკვირებს, ქალაქის ან კლუბის (რაც ერთი და იგივეა) დასახელებიდან წარმომდგარი სიტყვებით მოიხსენიებენ: "კალიარიტანი", "ლივორნეზი", "მესინეზი", "პალერმიტანი", "პარმენსი", "რომანისტი", "სენეზი", "ტორინეზი", "ემპოლეზი", "ბოლონიეზი", "ნაპოლეტანი"... მრავალფეროვნებისთვის, ხანდახან ქალაქების ანტიკურ დასახელებებსაც იხსენებენ და ასეთ შემთხვევაში, მაგალითად "ბოლონიას" მოთამაშეებს "ფელსინეის" (წარმოდგება ფელსინადან - ასე ეძახდნენ ამ ქალაქს ეტრუსკები, რომლებიც აქ 2 ათასი წლის წინათ ცხოვრობენ) უწოდებენ. ნეაპოლელ ფეხბურთელს, მეორენაირად "პარტენოპეი" ჰქვია. ძველი ბერძნების დროს, ქალაქს პარტენოპე ერქვა, მითოლოგიურ პერსონაჟ პარფენოპეს საპატივცემულოდ. ლეგენდის თანახმად, ამ ქალმა დებთან ერთად გადაწყვიტა, ოდისევსი მოეკლა, მაგრამ თავად დაიღუპა, მისი სხეული ნაპირზე გამოირიყა, სადაც წარმოიშვა კიდეც თანამედროვე ნეაპოლი.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფეხბურთს და სხვა გუნდების სახელწოდებებსაც მივხედოთ. იტალიაში უძველეს კლუბად "ჯენოა" მიიჩნევა, რომელიც იტალიის 9-გზის ჩემპიონია, დღეს კი, სერია B-ში თამაშობს. ის შორეულ 1893 წელს, გენუაში დიდი ბრიტანეთის საკონსულოს თანამშრომლებმა დააარსეს. სწორედ ამიტომ არის კლუბის სახელი ინგლისური ყაიდისა, განსხვავებით იტალიური ვარიანტისგან: "ჯენოვა" - სწორედ ასე ერქვა გუნდს ფაშიზმის პერიოდში. მაგრამ, ორივე შემთხვევაში, მისი მოთამაშეები "ჯენოვეზად" იწოდებოდნენ. გარდა ამისა, მათ "გრიფონებიც" ჰქვიათ, რადგან კლუბის გერბზე გამოსახულია გრიფონი - მითიური არსება არწივის თავითა და ფრთებით და ლომის ტანით. ხოლო, როცა იმავე გენუაში იქმნებოდა "სამპდორია" ("დორიანი"), მისმა დამაარსებლებმა კარგა ხანი იმტვრიეს თავი კლუბის სახელწოდებაზე. დღესაც კი, ბევრი იტალიელი ვერ გეტყვით, რატომ ჰქვია ამ კლუბს ამჟამინდელი სახელი. მაგრამ აქ არანაირი საიდუმლო არ არსებობს: კლუბი 1946 წელს დაარსდა, გენუის ორი უძველესი გუნდის - "სამპიერდარნეზესა" (ქალაქის ერთ-ერთი რაიონის სახელწოდებიდან) და "ანდრეა დორიას" (ცნობილი ადმირალის სახელი) შერწყმის შედეგად. ხანდახან, გენუური კლუბების წარდგენისას, ხმარობენ სახელწოდებას - "სუპერბა" ("ამაყი"). ასე ეწოდებოდა შუა საუკუნეებში გენუის რესპუბლიკას მისი ზეობის პერიოდში.

გენუის შემდეგ, ფეხბურთს ეზიარნენ ტურინი და პიემონტის ოლქის სხვა ქალაქები, აგრეთვე მეზობელი ლომბარდია თავისი მთავარი ქალაქით - მილანით. 1897 წელს დაარსდა ტურინის "იუვენტუსი". ეს სახელწოდება ერთგვარი გამონაკლისი იყო დამკვიდრებული წესებისგან. კლუბს არ დაარქვეს ქალაქის სახელი, ხოლო მისი ლათინური სახელწოდება - "იუვენტუსი" ("ახალგაზრდობა") იმით აიხსნება, რომ მისი ძირითადი ბირთვი მასიმო დ'აძელიოს სახელობის საქალაქო გიმნაზიის მოსწავლეებმა შეადგინეს.

ქვეყნის უფრო განვითარებულ, ჩრდილოეთ ნაწილში, ლათინური სხვა კლუბების სახელებშიც გამოიყენეს. კერძოდ, პოპულარული გახდა თავსართი - pro ("თვის") კლუბის ან ქალაქის სახელწოდების წინ. ასე წარმოიშვა მაგალითად, "პრო ვერჩელი" ("ვერჩელისთვის!"), მეგობრული გუნდი პიემონტეს პატარა ქალაქიდან, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში შვიდჯერ იყო იტალიის ჩემპიონი. კიდევ უფრო პატრიოტული სახელი აქვს მილანის ახლოს მდებარე პატარა ქალაქის - ბუსტო არზიციოს კლუბ "პრო პატრიას". ეს უკანასკნელი, თავის დროზე სერია A-შიც კი თამაშობდა.

1906 წელს, ტურინში შეიქმნა კლუბი "ტორინო". მის დამაარსებლებს ბევრი არ უფიქრიათ და ისარგებლეს იმით, რომ ქალაქის სახელი ჯერ არ იყო გამოყენებული. მაგრამ ეს "ტორინეზები" (ტურინელები) კიდევ უფრო შორს წავიდნენ: მათ ქალაქის ძველი სიმბოლოც გამოიყენეს - ჰერალდიკური ხარის (toro) გამოსახულება. შესაბამისად, სიტყვა "ტორო" "ტორინოს" კიდევ ერთ სახელწოდებად იქცა. თავის მხრივ, "იუვენტუსმაც" მიიღო თავისი სახელის შემოკლებული ვარიანტი - "იუვე", ხოლო 30-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩემპიონატში ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ, გუნდი იტალიის "საცოლედ" იქცა, შემდეგ - "სინიორად", ხოლო უფრო მოგვიანებით, ის მოწინებით "ძველ სინიორად" მოიხსენიეს.

"იუვენტუსის" შემდეგ, უფლება არ გვაქვს, მათი მთავარი კონკურენტები - მილანური გრანდები არ ვახსენოთ. თავდაპირველად, 1899 წელს "მილანი" ("მილანისტი") დაიბადა და მას ქალაქის სახელი ეწოდა, მაგრამ ისევე, როგორც "ჯენოას" შემთხვევაში, ინგლისურ ყაიდაზე მოიხსენიებენ. იტალიურად ქალაქს "მილანო" ჰქვია და მისი სახელი, ჩვეულებისამებრ მეორე მილანური კლუბის დასახელების გვერდით იწერება. "ინტერნაციონალე", ან უბრალოდ "ინტერი" ("ინტერისტი") 1908 წელს ჩამოყალიბდა. ამ კლუბსაც მოუწია ფაშიზმის წლებში სახელის შეცვლა - 1929-45 წლებში, მას "ამბროზიანა-ინტერი" ერქვა. დასახელების პირველი ნაწილი წმინდა ამბროსის (იტალიურად - ამბროჯო) - ქალაქ მილანის მფარველის სახელიდან წარმოსდგება. დღესაც კი, როცა საუბარი ორ მილანურ კლუბზე ჩამოვარდება, ამ წმინდანის სახელს ხშირად იყენებენ ხოლმე. მათ აგრეთვე "მადონინებს" უწოდებენ - ასე ჰქვია მადონას (ღვთისმშობელი) ქანდაკებას, რომელიც მილანის საკათედრო ტაძარს, დუომოს ამშვენებს და რომელიც ქალაქის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. ამასთან ერთად, "ინტერისტებსა" და "მილანისტებს" მაისურების ფერების გარდა, სხვა განმასხვავებელი ნიშნებიც აქვთ. "ინტერის" გულშემატკივრებისთვის მათი გუნდი - ბენეამატაა (Beneamata, "უსაყვარლესი"). ჟურნალისტებიც იყენებენ ამ დასახელებას, მაგრამ ამას ოდნავი ირონიით აკეთებენ. "მილანი" კი, "დიავოლოა" - წარმოსახვაში ეს არის პერსონაჟი, რომელსაც ცეცხლოვან-წითელი სამოსი აცვია, ხელში სამკაპი უჭირავს და საკმაოდ საშიში სანახავიცაა. ამ პერსონაჟს ხშირად ნახავთ "მილანის" საშინაო მატჩების დროს.



მილანურ გრანდებს მადონინასაც უწოდებენ

ბოლოს, რომში გადავინაცვლოთ. ქალაქის სახელწოდებას "რომა" იყენებს. მართალია, თანაქალაქელი "ლაციო" ("ლაციალი") უფრო ასაკოვანი კლუბია, მაგრამ მისმა შემქმნელებმა ქალაქის სახელი არ გამოიყენეს და მას დედაქალაქის გარეუბნის - ლაციოს სახელწოდება ამჯობინეს. "ლაციო" 1900 წელს დაარსდა, 27 წლის შემდეგ კი, "რომა" შეიქმნა. ეს გახლდათ რამდენიმე რომაული კლუბის შერწყმის შედეგი. ამ კლუბებს შორის იყო "პრო რომა", ანუ "რომისთვის!" "რომანისტებმა" მიითვისეს ქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო - დედა მგლის გამოსახულება. აქედან წარმოსდგება "რომას" ყველაზე პოპულარული მეტსახელი - "ლუპა".

### ვარიანტები და ფერები

გავიხსენოთ სერია A-ს სხვა კლუბების სახელები. ბერგამოს ("ბერგამასკი") კლუბს, წარმომავლობის მხრივ, ალბათ, ყველაზე ძველი სახელწოდება აქვს. "ატალანტა" - ბერძნულ მითოლოგიაში ასე ერქვა მონადირე ქალს, რომელიც კოლხეთში ოქროს საწმისის მოსაპოვებლად წასულ არგონავტთა მოგზაურობის ერთ-ერთი წევრი იყო. "ბერგამასკი" (ასევე "ატალანტინი") ცდილობენ, გაამართლონ გუნდის სახელწოდება და ათწლეულების განმავლობაში იბრძვიან სერია A-ში გადასასვლელად და იქ ადგილის დასამკვიდრებლად. "ბარისთან" ერთად, "ატალანტა" სერია B-დან A-ში და პირიქით, მოგზაურობის რეკორდსმენია.

ქალაქ ფლორენციის (იტალიურად "ფირენცე") კლუბის - "ფიორენტინას" სახელწოდება ნიშნავს "ფლორენციელ ქალს". "ფიორენტინი" შესაბამისად კლუბის მოთამაშეები არიან, რომლებსაც მეორე სახელიც აქვთ - "ჯილიატი", ანუ "შროშანები" (ეს ყვავილი ფლორენციის სიმბოლოა და ის ფეხბურთელების მაისურებსაც ამშვენებს). ქალაქმა უდინემ მისცა სახელწოდება კლუბ "უდინეზეს" და მის ფეხბურთელებს - "უდინეზი". "ასკოლიმ" თავის სახელწოდებაში დაიტოვა ქალაქ ასკოლი პიჩენოს (კლუბის მოთამაშეს "პიჩენისაც" უწოდებენ) პირველი ნაწილი. "კიევო" ("კიევინი") - ეს არის ქალაქ ვერონას ერთ-ერთი გარეუბნის სახელწოდება. დაბოლოს, "რეჯინა" ("რეჯინი") თავის საწყისებს იღებს კალაბრიულ ქალაქ რეჯო-კალაბრიადან (არ უნდა აგვერიოს "რეჯანაში", რომელიც რეგიონ ემილია-რომანიას ოლქის ქალაქ რეჯო-ემილიას წარმოადგენს).

ზოგიერთი კლუბის განმსაზღვრელად იყენებენ ადმინისტრაციული ოლქების სახელწოდებებს: "პიემონტეზი" - "ტორინო" და "იუვენტუსი"; "ლიგური" - "სამპდორია" და "ჯენოა"; "ლომბარდი" - "ინტერი", "მილანი" და "ატალანტა"; "ვენეტი" - "ტრევიზო"; "ფრიული" - "უდინეზე"; "ემილიანი" - "პარმა"; "ტოსკანი" - "ლივორნო", "სიენა", "ფიორენტინა" და "ემპოლი"; "მარკიჯანი" - "ასკოლი"; "კამპანი" - "ნაპოლი"; "პულიეზი" - "ლეჩე"; "კალაბრი" - "რეჯინა"; "სიჩილიანი" - "კატანია", "მესინა" და "პალერმო"; "სერდი" - "კალიარი". ბოლო ოთხ გუნდს, რომლებიც სიცილიასა და სარდინიას წარმოადგენენ, აგრეთვე "იზოლანის", ანუ "კუნძულელებს" უწოდებენ.

კლუბების სახელწოდებებზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მნიშვნელოვან ელემენტს, რასაც საკლუბო ფერები ჰქვია. საკმარისია ახსენო მაგალითად, "როსონერი" ("წითელ-შავები") ან "ჯალოროსი" ("ყვითელ-წითლები") და ნებისმიერი იტალიელი გულშემატკივარი მიხვდება, რომ საუბარია "მილანსა" და "რომაზე", თუმცა ასეთი ფერის მაისურები შესაძლოა, სხვა კლუბის ფეხბურთელებსაც ეცვათ.

მაგრამ აქაც არსებობს თავისებურებები. მაგალითად, "ინტერის" მოთამაშეებს ინერციით "ნერაძურის" უწოდებენ, რაც სიტყვასიტყვით "შავ-ცისფრებს" ნიშნავს, თუმცა აშკარაა, რომ "ინტერს" შავ-ლურჯი მაისურები აცვია. სამაგიეროდ, "ლაციოს" მეტსახელი სავსებით გამართლებულია - "ბაინკო-აძური" ("თეთრ-ცისფრები").

საინტერესო ცვლილებები განიცადა "იუვენტუსის" საკლუბო მაისურმა. ამ გუნდის მოთამაშეს "ბიანკონერი" ჰქვია, ანუ "თეთრ-შავი". 20-30 წლის წინათ, ტურინელები ატარებდნენ მაისურებს ძალიან წვრილი შავი და თეთრი ზოლებით და მათ ხშირად "ზებრადან" წარმოქმნილი სიტყვით - "ძებრატით" მოიხსენიებდნენ. მაგრამ, ზოლების სიგანე გაიზარდა და ძველი სახელი დავიწყებას მიეცა.



რომას ყველაზე პოპულარული მეტსახელია - ლუპა

ელენე თვალაბეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ინტერვიუ ზაზა ფაჩულიასთან

# ახლავე! 2011 წლამდე ლოდინი არ მინდა!

**ზაზა ფაჩულია საქართველოში ათიოდ დღის წინათ ჩამოვიდა, ცოტა დაისვენა და პრესისთვისაც მოიცალა. "ატალანტასა" და მის მიერ ჩატარებულ 2006-07 წლების სეზონი ზაზამ ამერიკიდან შეაფასა, გუშინ კი - შედარებით ზოგადად ისაუბრა, თუმცა მკვითხველისთვის საინტერესო თემებს შეეხო. საუბარი საქართველოს ნაკრების თემით დავიწყეთ.**

- ცოტასაც დავისვენებ და შემდეგ ატლანტაში დავბრუნდები, სადაც სანაკრებო მზადებას შევუდგები. მინდა, ოფიციალურ შეხვედრებს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდე, რათა საკუთარი თავისადმი უკმაყოფილების გრძნობა არ დამრჩეს. ეს წელი ჩვენი ნაკრებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია: კალათბურთის ფედერაცია ჩვენთვის ბევრს აკეთებს - ყოველწლიურად სერიოზულ საკონტროლო ტურნირებს პოულობს, რადგან წელს თითქმის მთელი მოსამზადებელი ციკლი ევროპაში უნდა გავატაროთ და ევროსტანდარტების ბაზებზე უნდა ვივარჯიშოთ. სახელმწიფოც მხარში გვიდგას. ამას ემატება სპორტის სასახლის რემონტი და კალათბურთელებს სხვა გზა არ დაგვრჩენია, გარდა წარმატებით თამაშისა. ნაკრებში ჩამოსვლაზე არასოდეს დავფიქრებულვარ, პირიქით, ყოველთვის ვამბობდი, აუცილებლად ვითამაშებ-მეთქი, მაგრამ წელს სიტუაცია ცოტა "ცხარედაა" - ერთი სული მაქვს, ფინეთთან როდის ვითამაშებ. ამ ქვეყნის ნაკრებმა მეტისმეტად გაგვამწარა და მინდა, ჯავრი რაც შეიძლება მალე ვიყარო. ყველა ღონეს ვიხმარ, რომ A დივიზიონის საგზური წელსვე მოვიპოვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პერსპექტივა ბუნდოვნდება - ევროპის 2011 წლის ჩემპიონატამდე მოგვიწევს მოცდა...



### ადრე ამდგარსა კურღდელსა...

**ალბათ დაგაინტერესებთ, როგორია რიგითი NBA-ელის სამუშაო დღე.**

- ყოველდღიურად ვარჯიში 11 საათზე იწყება. შესაბამისად, საწოლიდან 2 საათით ადრე ვდგები და ვცდილობ, 10 საათზე დარბაზში ვიყო. ყოფილა დაგვიანების შემთხვევებიც, რის გამოც "ატლანტაში" ფინანსური სასჯელია დაწესებული. ვარჯიშამდე ერთი საათით ადრე მისულს თუ თერაპია მჭირდება, შესაბამის სპეციალისტს ვაკითხავთ, თუ არა - ტრენაჟორების დარბაზში შევდივარ. სხვათა შორის, ევროპაში მიიჩნევენ, რომ სიმძიმეებთან მუშაობა მატჩის წინ ან ტურნირამდე ერთი კვირით ადრე არ შეიძლება. მაგრამ ამერიკაში სხვაგვარადაა - ბევრჯერ მიგრძვნია, რომ სერიოზული მატჩის წინ ტრენაჟორებზე ზომიერი ვარჯიში მჭირდებოდა. ეს ტონუსში ყოფნისთვის აუცილებელია.

ვარჯიში, როგორც წესი, 2 საათი გრძელდება. თუმცა სეზონის დაწყებამდე საწვრთნელ პროცესს გაცილებით დიდი დრო მიჰქონდა. 2 საათის შემდეგ ყველა დარბაზში რჩება და ინდივიდუალურად მუშაობს - გამთამაშებელი პერიმეტრიდან სტყორცნის, ცენტრი მეფარის ვარჯიშებს ასრულებს და ა.შ.

13:30 საათზე "ატლანტას" დარბაზიდან გამოვდივარ და რადგან დილით ადრე ადგომა არ მსიამოვნებს, ამიტომ ვარჯიშის შემდეგ ხშირად ვიძინებ. შემდეგ თავისუფალი ვარ. ძალიან მიყვარს მაღაზიებში სიარული, კინოთეატრებსაც ხშირად ვსტუმრობ. მეგობრებთან ერთად საკუთარ ბინაშიც ვერთობი. სახლი ისე მაქვს მოწყობილი, რომ ვარჯიშიდან დაღლილს მისულს მქონდეს ენერგიის სრულფასოვნად აღდგენის საშუალება.

ჩემთან მოსვლა ყველას უყვარს, როგორც ამერიკაში მცხოვრებ ქართველ მეგობრებს, ასევე თანაგუნდელებს. ცნობისთვის, ქართველთა რაოდენობის მიხედვით ატლანტა შტატებში მეორე ქალაქია (ნიუ იორკის შემდეგ). ამბობენ, ნიუ იორკში ქართველებს ერთმანეთთან ურთიერთობა არა აქვთო. ჩემთან პირიქითაა - ყველა ერთმანეთს იცნობს და "ჰოქსის" თამაშებზეც ერთად დადის.

თანაგუნდელებიდან უფრო ხშირად ჩემი ჭკუისებს, შედარებით ახალგაზრდებს ვმასპინძლობ - უილიამსს, ჩილდრესს, ბატისტას... ლორენცენ რაიტი არ მოდის ხოლმე, არა იმიტომ, რომ ჩემი თანაამპლუელი და კონკურენტია - 7 შვილი ჰყავს და მათთან ერთობა. 30 წელს გადაცილებულ ტაირონ ლიუსთანაც ახლოს ვარ. თუ გახსოვთ, სამი წლის წინათ "ორლანდოში" კონტრაქტი ჯერ ლიუს გაუფორმეს, მერე - მე. იგი "ატლანტაშიც" დამხვდა და ხშირად ხუმრობით მეუბნება - პროცენტი მენეჯერს კი არ უნდა გადაუხადო, მე უნდა მომცეო.

საქმე ისაა, რომ "ატლანტას" ხელმძღვანელებმა გუნდში აყვანამდე ჩემს შესახებ ტაირონ ლიუს ჰკითხეს და მანაც დადებითად დამახასიათა. სხვათა შორის, კალათბურთელთა აზრს დიდ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, სტანისლავ მედვედენკოს აყვანა რომ სურდათ, პირველ რიგში, მე მკითხეს - თუ იცნობ, როგორი ადამიანიაო...

ზემოთ სავარჯიშო დღეზე ვისაუბრე. ორიოდე სიტყვით სათამაშო დღეზეც ვიტყვი. NBA-ს რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას თითქმის ორ დღეში ერთხელ გვიწევს მატჩის ჩატარება. ამიტომ მთელი დღე თამაშს ეთმობა: დარბაზში 2 საათით ადრე შევდივართ, მატჩს დასაწყისიდან ბოლომდე თითქმის 3 საათი სჭირდება. ამას დავუმატოთ ისიც, რომ იმავე დილას მსუბუქი ვარჯიშისთვის ვიკრიბებით.

### ოჯახური სამზარეულო

**აპრილის დასაწყისში ESPN-მა დაწერა - ზაზა ფაჩულიამ თანაგუნდელი ჯოშ სმიტი კედელზე ააყუდა და დაემუქრა, თუ არ გაჩუმდები, კარიერის ნაადრევად დასრულება მოგიწევსო. მეორე დღეს "ატლანტა კონსტიტუშენის" ჟურნალისტმა განმარტა - საუბრის დროს გასახდელში ვიყავი და ზაზას კედელზე არავინ აუყუდებიაო. ახლა თავად ფაჩულიას მოვუსმინოთ.**

- სეკუ სმიტი "ჰოქსის" ჟურნალისტია, ყოველ მატჩზე დაგვყვება. იმ სიტუაციაში იგი შეეცადა, შიდა ამბები არ გამოემზეურებინა. გუნდი ერთი ოჯახია, ოჯახის ამბები კი პრესაში გასარჩევი არ უნდა გახდეს. არ ვმალავ, ჩემსა და ჯოშ სმიტს შორის მართლაც იყო შელაპარაკება, მაგრამ ამის გამო ურთიერთობაში ბზარი არ გაჩენილა. სხვათა შორის, ასეთი ამბების გამო მწვრთნელი არ ბრაზობს, რადგან იცის, რომ ერთსაც და მეორესაც მხოლოდ ერთი ინტერესი ამოძრავებს - გუნდი. საბედნიეროდ, მოედნის მიღმაც ისევე აგრესიული არ ვარ, როგორც თამაშისას. მატჩისას კი აგრესია აუცილებელია, დამთმობი კალათბურთელი არავის სჭირდება. თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზედმეტ აქტიურობას ხშირად ჯარიმები მოსდევს.

NBA-ში, მეორე სეზონი ტექნიკური შენიშვნით დავასრულე. წელს ნაკლები შენიშვნა მქონდა. თუმცა მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო, ერთი მატჩი მაინც გამომატოვებინეს. დიაოსთვის ხელი შემთხვევით მომიხვდა, მაგრამ წელსზემოთ იდაყვის დარტყმა, განგებ იქნება, თუ - არა, დისკვალიფიკაციით ისჯება.

### ჯორჯია და საქართველო

**NBA-ს "ოლ სტარის" დროს ფაჩულია საქარველოში გადმოფრინდა და ატლანტაში დაბრუნების შემდეგ ერთი-ორად უკეთ ათამაშდა. ამის საიდუმლოზე ზაზა გვესაუბრება.**

- საქართველოში ყოფნა ძალიან მსიამოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ 10 წელიწადია უცხოეთში ვცხოვრობ, აქ მაინც ბევრი ახლობელ-მეგობარი მყავს და მათთან ურთიერთობა ენერგიას მმატებს. NBA-ს ვარსკვლავთა ჩემპიონატში ერთკვირიანი შესვენება გამოცხადდა და თბილისში წამოსვლა გადავწყვიტე. ატლანტაში მეუბნებოდნენ, გიჟი ხარ, ორი დღის გულისთვის ამხელა გზაზე მიდიხარო. მე კი ვიცოდი, რომ საქართველოში ვიზიტი რაღაცას მომცემდა. ასეც მოხდა: სამი დღე გზაში გავატარე, ორი დღე ჩემს ახლობლებთან, მაგრამ დაღლის ნაცვლად ენერგიით დავიმუხტე. ეს NBA-ს მატჩებშიც გამოჩნდა. ისე არ გაიგოთ, თითქოს ამერიკულ ჯორჯიაში ვერ ვძლებდე. თავს იქაც კარგად ვგრძნობ და "ჰოქსში" გაისადაც სიამოვნებით ვითამაშებ. როცა გუნდს საქმე კარგად არ მისდის, ხშირია გაცვლა-გამოცვლაზე საუბარი. წლეულს ჟურნალისტებმა ჩემი "მემფისში" გადასვლის ამბავი მოიგონეს, მაგრამ ხშირად ისე არ ხდება, როგორც მედიელები ფიქრობენ. "ატლანტაში" კონტრაქტის დასრულებამდე (კიდევ ორი წლით) ვაპირებ თამაშს. ამის საფუძველიც მაქვს - ხუთეულში ვთამაშობ, გუნდიც პროგრესის გზას ადგას და ლოგიკურად, გაისად ფლეი ოფში უნდა მოვხვდეთ. ახლა მთავარია მიღწევებმა იმატოს.

სიტყვა "მიღწევებმა" "ატლანტას" ოფიციალური ვებ-გვერდის გამოკითხვა გამახსენა - ვინ არის ფანების ფავორიტი ჰოქსელი? ეს წოდება ტაირონ ლიუმ მოიპოვა - თქვა ზაზამ. შეგახსენებთ, რომ ფაჩულია ფანების ფავორიტად 2004 წელს "ორლანდოში" თამაშისას აირჩიეს.

### სათადარიგო ქორი

**საუბარი სახალისო ამბით დავასრულეთ.**

- ყოველი საშინაო მატჩისას, შემადგენლობის გამოცხადებისას დარბაზის ჭერიდან ქორი მოედანზე მყოფი ბაზიერის ხელზე ეშვება. ეს ეფექტური სანახავია. ერთ დღესაც, ქორი ნაადრევად გაუფრინდათ და მისი პოვნა ძალიან გაჭირდა. ატყდა ერთი ამბავი, სახანძროებსა და პოლიციას გამოუძახეს და ვიდრე ფრინველი არ იპოვეს, მატჩი არ დაიწყო. სათადარიგო ქორი კი ჰყავდათ, მაგრამ პირველის მოძებნა მაინც აუცილებელი იყო - რაც არ უნდა იყოს, მტაცებელი ფრინველია და 20 ათასკაციან დარბაზში მისი ფრენა სახიფათო იქნებოდა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## ჩოგბურთი

# ტატიშვილი მერვედფინალშია

**ანა ტატიშვილმა** ინდიან ჰარბორ ბიჩში, ქალ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირზე (50 ათასი დოლარი) სამი საკვალიფიკაციო რაუნდის გავლის შემდეგ ძირითად ბადეშიც იმარჯვა. 17 წლის ტატიშვილი ამჟამად მსოფლიოს 335-ე ჩოგანია, პირველ წრეში ის მე-5 ნომრად განთესილ **ქრისტინა ბრანდს** (171) ხვდებოდა. 30 წლის პუერტორიკოელი ერთ დროს საჩოგბურთო ელიტის წევრი იყო (ყველაზე მაღლა რეიტინგში - 27-ე ადგილი). ანამ ფავორიტს 7:5, 6:0 მოუგო. მერვედფინალში ტატიშვილის მეტოქე 18 წლის ფრანგი **ირენა პავლოვიჩია**, მსოფლიოს 307-ე ჩოგანი.

ანთალიაში სერბმა **ვოისლავა ლუკიჩმა** (271) კიდევ ერთი ქართველი გამოთიშა ტურნირიდან (25 ათასი დოლარი) - პირველ წრეში მან **სოფიო შაფათავას** მოუგო, მერვედფინალში კი 17 წლის **მანანა შაფაქიძეს** იოლად გაუსწორდა - 6:0, 6:1. ლუკიჩი ანთალიაში მე-3 ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ანა ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საუბრები სპორტის ისტორიაზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო №56 (2006)

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

**მიუხედავად** იმისა, რომ სოცბანაკმა, გარდა რუმინეთისა, ლოს ანჯელესის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს ბოიკოტი გამოუცხადა, ეს ოლიმპიადა მონაწილეთა რაოდენობით მაინც რეკორდული გამოდგა. სტარტზე გავიდა 140 ქვეყნის 6829 სპორტსმენი. მანამდე, იმავე წელს, სარაევოში (მაშინდელი იუგოსლავია) გაიმართა ზამთრის XIV ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 49 ქვეყნის 1272 სპორტსმენი მონაწილეობდა. ამ თამაშებში საქართველოდან სსრკ ნაკრებში არავინ ყოფილა. 1984 წელი ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის წელიც იყო. ტურნირი საფრანგეთში გაიმართა. მასპინძლებმა პირველად მოიპოვეს კონტინენტის ჩემპიონობა. საბჭოთა ნაკრები ფინალურ ეტაპზე ვერ მოხვდა.

ახლა კი გავაგრძელოთ თხრობა საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობისა და შედეგების შესახებ სხვადასხვა რანგის ასპარეზობებში.

**კალათბურთი.** დუბლშემადგენლობათა სსრკ ჩემპიონატში თბილისის "დინამო" მეორე პრიზიორი გახდა. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დიმიტროვგრადში (ბულგარეთი) დიდი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. გამარჯვებულთა შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის დინამოელი **დავით გიორგობიანი**. თბილისის "ნორჩი დინამოელი", რომელსაც **ჯამლეტ ხუხაშვილი** წვრთნიდა, კიევში გამართულ საკავშირო ტურნირში (1971 წელს დაბადებულთათვის) პირველ ადგილზე გავიდა. თბილისის "მართვეს" კალათბურთელთა ახალმა თაობამ (1970-71-წლიანები) ნორჩების საკავშირო პირველობაზე საქართველოს სახელით იასპარეზა და მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლა. ყრუ-მუნჯთა საზოგადოების საკავშირო პირველობა კი, რომელიც თბილისში გაიმართა, საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილით დაასრულა. კალათბურთის საბჭოთა ფედერაციამ, 1984 წლის სეზონის შედეგების მიხედვით, დაასახელა ათი საუკეთესო მსაჯი, რომელთა შორის საქართველოდან **გოგი ავალიშვილი** და **მურმან ქურიძე** მოხვდნენ.

**რაგბი.** 1984 წელს, სპორტის სათამაშო სახეობებიდან, საკავშირო სარბიელზე ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს მორაგბეებმა. სსრკ ვიცე-ჩემპიონის ბედი ქუთაისში გადაწყდა. ადგილობრივმა "სახლმშენმა" მოსკოვის "სლავას" 19:7 სძლია და ვერცხლის მედალს დაეუფლა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდი "შევარდენი" კი საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

**ჩოგბურთი.** ბათუმში გაიმართა ქალთა საკავშირო ტურნირი. ერთეულთა თანრიგში მეორე ადგილზე გავიდა **ირინე ლაცაბიძე**. მანვე, **ლუდმილა მაკაროვასთან** ერთად, ასევე მეორე საფეხური დაიკავა წყვილთა თანრიგში, მესამე ადგილი კი **ლალი მეტრეველისა** და **ხათუნა ტრაპაიძის** წყვილს ხვდა წილად. თბილისში, იუნიორთა "გრან პრის" საკავშირო ტურნირს ბრწყინვალედ იგებს **ვლადიმერ გაბრიჩიძე**, მესამე ადგილზე გავიდა **ლეილა მესხი**. იურმალაში, სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირში, მესხმა ფინალში მოსკოველი **იულია სადნიკოვა** დაამარცხა და უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. მერე, კიდევ ერთ საამაყო წარმატებას მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე (ტაშკენტი) მიაღწია - აბსოლუტური ჩემპიონი გახდა: პირველობა მოიპოვა ერთეულთა, წყვილთა (მოსკოველ მანიუკოვასთან ერთად) თანრიგში და შერეულ წყვილში ვლადიმერ გაბრიჩიძესთან ერთად. გაბრიჩიძე მეორე იყო ერთეულთა და წყვილთა თანრიგში, **დავით კაჭარავასთან** ერთად. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები საბოლოოდ მეორე ადგილზე გავიდა, გოგონები - მესამეზე. შემდეგ, გაბრიჩიძე დამასკოში (სირია), სსრკ ნაკრებთან ერთად საერთაშორისო ტურნირის პირველ პრიზს დაეუფლა ერთეულთა თანრიგში. **ირაკლი სვანაძემ** მეორე ადგილი დაიკავა კალინინგრადში, **ელენე ქელეხსაევამ** დნეპროპეტროვსკში. ეს იყო ნორჩ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირები.

**მაგიდის ჩოგბურთი.** ყრუ-მუნჯთა საკავშირო პირველობა მოიგო თბილისელმა **ნ. გრანაკინმა**, კიეველ **ვ. მირზაევთან** წყვილში. ხოლო შერეულ წყვილში, ასევე მირზაევთან ერთად, უძლიერესი იყო **გ. მუმლაძე**.

**ბალახის ჰოკეი.** სსრკ A კლასის პირველ ლიგაში გამოსვლის უფლება დაიმსახურა ქუთაისის "ლოკომოტივმა". ქუთათურებს ეს წარმატება მოუტანა მესამე საპრიზო ადგილმა, რომელიც მათ ალუშტაში გამართულ ზონალურ ტურნირში დაიკავეს.

**ბადმინტონი.** მოგილიოვიდან შინ ოქროს სამი მედლით დაბრუნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი **დავით კაპილაძე**, რომელმაც ახალგაზრდულ საკავშირო ტურნირში გაიმარჯვა ერთეულთა თანრიგში, დონეცკში კი, ვაჟთა და შერეულ წყვილებში გამართულ სსრკ პირად-გუნდურ პირველობაზე, კაპილაძე ყარაგანდელ **მ. შეპილოვთან** წყვილში მესამე პრიზიორი გახდა, ხოლო მინსკელ **ვ. ბელიუტინთან** შერეულ წყვილში მეორე იყო. კაპილაძემ საქართველოდან პირველმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება ამ სახეობაში.

**წყალბურთი.** 1984 წელს წყალბურთელებს მაღალი შედეგებისთვის არ მიუღწევიათ. მხოლოდ თბილისში, "საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე" გამართულ მე-6 საერთაშორისო ტურნირში მესამე ადგილი დაიკავეს.

**წყალში ხტომა.** მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე მოპოვებულია 6 მედალი. მეორე ადგილზე გავიდნენ **დიანა მჭედლიძე** (კოშკი), **გიორგი შელუგოვი** (ტრამპლინი) და **გიორგი ჩოგოვაძე** (კოშკი); ჩოგოვაძე და მჭედლიძე მესამე პრიზიორები გახდნენ ტრამპლინიდან ხტომაში, ბრინჯაოს მედალს დაეუფლა აგრეთვე **რუსლან კორნეევი** (კოშკი).



მაია ჩიბურდანიძე

**ნიჩბოსნობა.** მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს ორ წარმომადგენელს, **კახა სანიკიანსა** და **პაატა სიხარულიძეს**, მესამე ადგილი ხვდათ წილად. ჭაბუკთა საკავშირო პირველობის მესამე პრიზიორი გახდა (1000 მ, ბაიდარა) გლდანის სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლე **კახაბერ ლომიშვილი**. ნიჭიერი მოზარდისთვის ეს პირველი წარმატება იყო საკავშირო სარბიელზე.

**აფროსნობა.** იმ წლის სპორტული სეზონიც შთამბეჭდავად ჩაატარა **გურამ ბიგანიშვილმა**. პალამოსში (ესპანეთი), ქართველმა აფროსანმა, მეწყვილე **ალექსანდრ ზიბინთან** ერთად, ბრწყინვალედ იასპარეზა ევროპის ღია ჩემპიონატში და ოქროს დიდი მედალი დაიმსახურა "ვარსკვლავის" კლასში. ამავე წყვილს, იგივე პროგრამაში, ბადალი არ ჰყავდა "მეგობრობა 84"-ის ტურნირში (ტალინი). მანამდე (სევასტოპოლი), ასევე "ვარსკვლავის" კლასში, გურამ ბიგანიშვილი მეორედ გახდა სსრკ ჩემპიონი, "სოლინგის" კლასში კი შავი ზღვის ტრადიციული რეგატა (სოჭი) მოიგო.

**საპარაშუტო** სპორტი. მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი, თბილისელი **ნიკოლაი უშმაევი** საფრანგეთში (ვიში), აკრობატულ ნახტომში, ბრინჯაოს მედალს ეუფლება.

**კარტინგი.** მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში პირველად ჩართეს სპორტის სამხედრო-გამოყენებითი სახეობები. კარტინგში, "იუნიორის" კლასში, ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა **გიორგი ადეიშვილი**.

**ჭადრაკი.** თბილისის ქალთა IX საერთაშორისო ტურნირზე ადგილები ასე განაწილდა: 1. **ნონა გაფრინდაშვილი** - 9 ქულა; 2. **ნანა იოსელიანი** - 8.5 ქულა; 3-5. **მაია ჩიბურდანიძე, ნინო გურიელი, მარია ივანოვა** (უნგრეთი) - 8-8 ქულა. მოსკოვის ტრადიციული ტურნირი მოიგო **ნანა იოსელიანმა** (10 ქ). დელის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა **მაია ჩიბურდანიძემ**. ლიტვის ქალთა ღია ჩემპიონატი, ტრადიციულად, ვილნიუსში ჩატარდა. ჩემპიონი გახდა თბილისელი **თამარ ხუგაშვილი**. ამ მოჭადრაკემ საკავშირო ჩემპიონატის ერთ-ერთი ნახევარფინალური ეტაპიც მოიგო და ფინალის საგზური მოიპოვა. ფინალი გაიმართა კიევში, სადაც 9-9 ქულით III-IV ადგილები გაინაწილეს **ქეთევან არახამიამ** (საქართველო), **ლარისა მუჩნიკმა** (რუსეთი) და **ირინა ჩელუშკინამ** (უკრაინა). ყველაზე ღირსახსოვარი მოვლენა იყო ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი (ვოლგოგრადი). **მაია ჩიბურდანიძე-ირინა ლევიტინას** მატჩი დასრულდა 8:5. ჩიბურდანიძე მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. პოლონეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში საერთაშორისო დიდოსტატის მეორე ნორმატივი შეასრულა თბილისელმა **გენადი ზაიჩიკმა**, რომელმაც ეს ტურნირი მოიგო კიდეც. თანატოლთა საკავშირო სპარტაკიადაზე მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები. "თეთრი ეტლის" საკავშირო გათამაშება შიაულიაიში (ლატვია) ჩატარდა. საქართველოდან ტურნირში მონაწილეობდა თბილისის 123-ე საშუალო სკოლის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდი - **ლაშა ჯანჯღავას, რამაზ მჭედლიშვილის, აკაკი იაშვილის, გელა ბერიძისა** და **ნათია ჯანჯღავას** შემადგენლობით. ტურნირი მათი ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ქუთაისელი **ჰენრიეტა ლაგვილავა**, რომელიც მაშინ 14 წლის იყო, 16-წლამდელ გოგონათა მსოფლიო პირველობის საგზურს დაეუფლა შესარჩევ მატჩ-ტურნირში (მოსკოვი). სსრკ გოგონათა ჩემპიონატის ვერცხლის მედალი დაიმსახურა **ქეთევან არახამიამ**.

საქართველოს საჭადრაკო სამყარომ და მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა იმ წელინადს მიიღეს გაზეთ "ლელოს" საჭადრაკო დამატება "მერანის" პირველი ნომერი.

1984 წლის საჭადრაკო სეზონი დასრულდა სალონიკში (საბერძნეთი) გამართულ საჭადრაკო ოლიმპიადაში საბჭოთა ქალთა ნაკრების გამარჯვებით. გუნდში გამოდიოდნენ **მაია ჩიბურდანიძე, ირინა ლევიტინა, ნონა გაფრინდაშვილი** და **ლიდია სემიონოვა**. ფიდეს გენერალურმა ასამბლეამ მაია ჩიბურდანიძეს ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა. ჭადრაკის ისტორიაში ეს იყო მეორე შემთხვევა. პირველმა, ის ნონა **გაფრინდაშვილმა** მიიღო 1978 წელს.

**მთამსვლელობა.** 1984 წლის 27 თებერვალს უშბაზე ტრაგედია დატრიალდა. ზამთრის პირობებში მწვერვალის წარმატებით დალაშქვრის შემდეგ დაიღუპა ჯგუფის ექვსივე წევრი: **გიორგი ზუმბაძე, ირაკლი გელდიაშვილი, მურად ჭიჭინაძე, დავით კობახიძე** და **გია ტუშური**.

1984 წლის სპორტული შედეგების შეჯამება პირველად ერთობლივად მოისურვეს სსრკ ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჟურნალმა "ოლიმპიისკაია პანორამამ". საახალწლო გამოკითხვა ჩატარდა დევიზით: "წლის საუკეთესო სპორტსმენები მოკავშირე რესპუბლიკებში". რეფერენდუმით გამოვლენილ 15 ლაურეატს შორის საქართველოდან რჩეულთა შორის მაია ჩიბურდანიძე მოხვდა.

სსრკ "33 საუკეთესო" ფეხბურთელის სიაში პირველ ნომრად შევიდნენ **თენგიზ სულაქველიძე** - მარჯვენა მცველებში და **ალექსანდრე ჩივაძე** - ცენტრალურ მცველებში. ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გამოავლინა აგრეთვე 10 საუკეთესო მსაჯი, რომელთა შორის იყო სოხუმელი **ანატოლი მილჩენკო**.

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ტრადიციული რეფერენდუმით, 10 საუკეთესო სპორტსმენის სიას სათავეში ჩაუდგა **მაია ჩიბურდანიძე**, შემდეგ მოდიან: **გურამ ბიგანიშვილი, თეიმურაზ აფხაზავა, ვლადიმერ აფციაური, თამაზ ნამგალაური, ნონა გაფრინდაშვილი, მალხაზ ბერუაშვილი, სერგეი ტერნოვიხი, გელა დარჩაძე, ვახტანგ იაგორაშვილი**. სამი საუკეთესო გუნდი: 1. ქუთაისის საფეხბურთო გუნდი "ტორპედო"; 2. ქუთაისის მორაგბეთა კლუბი "სახლმშენი"; 3. საქართველოს მოსწავლე ძიუდოისტთა ნაკრები.

სამი საუკეთესო მწვრთნელი: 1. **გივი ნოდია** (ქუთაისის "ტორპედოს" საფეხბურთო გუნდის უფროსი მწვრთნელი); 2. **შალვა ქურციკიძე** (ქუთაისის მორაგბეთა კლუბ "სახლმშენის" უფროსი მწვრთნელი); 3. **კარლო ჯოჯუა** (მწვრთნელი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში).

გაგრძელება იქნება

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

### მილოცვა

**ქართული ჭიდაობის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ამავე ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ გიორგი ჯიქიას, უსურვებს წარმატებას პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში.**

**საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს საქართველოს სპორტის დამსახურებელ მუშაკს ვაჟა ნუცუბიძეს.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს ქართული სპორტის ლვაწლმოსილ ვეტერანს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ვაჟა ნუცუბიძეს.**

## ფარიკაობა



მიხეილ მარდალეიშვილი, ვახტანგ ჭოლაძე და დავით უკლება

# ჩვენი პერსპექტივები...

**ფარიკაობა ქუთაისში პოპულარულ სახეობად ითვლებოდა და მის მიმართ ინტერესი დღესაც საკმაოდ დიდია. ქუთაისის მე-15 ფარიკაობის სკოლაში 160-ზე მეტი ახალგაზრდა ვარჯიშობს. ცოტა ხნის წინათ დარბაზი გარემონტდა და მოფარიკავეების სავარჯიშო პირობები გაუმჯობესდა. ამან კი ფარიკაობაში ვარჯიშის მსურველთა რიცხვი კიდევ უფრო გაზარდა. გვესაუბრება ქუთაისის ფარიკაობის სკოლის დირექტორი ვახტანგ ჭოლაძე.**

- წლების განმავლობაში ურთულეს პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ცოტა ხნის წინათ ფარიკაობის სკოლის დარბაზში პირობები გაუმჯობესდა. მხოლოდ ერთი, სარეზერვო დარბაზი დაგვრჩა გასარემონტებელი. ამჟამად სკოლაში 160-ზე მეტი მოფარიკავეა. ბევრ მათგანს საკმაოდ კარგი პერსპექტივა აქვს.

**- მიღწევებზე რას იტყვით?**

- ცოტა ხნის წინათ კადეტთა და იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენმა სამმა მოფარიკავემ იასპარეზა და თავი არ შეურცხვენიათ. გვყავს საქარველოს ჩემპიონები და პრიზიორები. 26 მაისს საქართველოს ჩემპიონატია და ქუთაისის ნაკრები გუნდი წარმატებებს გეგმავს.

**- საერთაშორისო მიღწევები თუ გაქვთ?**

- აპრილის ბოლოს თურქეთში ჩატარდა ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, სადაც მონაწილეობას ილებდა აშშ, ბულგარეთის, იორდანიის, ყატარის, თურქმენეთის ნაკრები გუნდები და თურქეთის ათამდე ფარიკაობის კლუბი. საქართველოს ნაკრების ღირსებას ძირითადად ჩვენი შეგირდები იცავდნენ. ერთი მოფარიკავე თბილისიდან, სამი კი რუსთავიდან იყო. შეჯიბრება ჩატარდა 1994-95, 1996-97-წლიანებს შორის. ჩვენმა მოფარიკავეებმა ძალიან კარგად იასპარეზეს. უმცროს ასაკში ხმალში პირველი ადგილი დავით უკლებამ დაიკავა. სხვათა შორის, მან ფინალური ორთაბრძოლის ჩათვლით, მხოლოდ და მხოლოდ, ოთხი ჩხვლეტა მიიღო. მეორე ადგილი დაიკავა 1996-97-წლიანებში მიხეილ მარდალეიშვილმა, რომელმაც ფინალში ძალიან დაძაბული ბრძოლა დათმო ბულგარელ სპორტსმენთან - 9:10. მესამე ადგილი დაიკავა დაშნით მოფარიკავემ, თბილისელმა ნიკა გუჯეჯიანმა.

**- როგორ ფიქრობთ, ქართული ფარიკაობის დონემ თუ აიწია?**

- პერსპექტიული ახალგაზრდები გვყავს, რაც უკეთესი მომავლის იმედს გვაძლევს. პირობებით ევროპულ სკოლებთან ახლოსაც ვერ მივალთ და ასეთ ვითარებაში კიდევ კარგი შედეგები გვაქვს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი

ინტერვიუ თამაზ თევზაძესთან

# ლიტვა, განა, მალაიზია...



თამაზ თევზაძე პეტერ მიულემატერი

**საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის მინისტრის მრჩეველი თამაზ თევზაძე ამასწინათ დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესში მონაწილეობდა. მას ესპანეთში ჰქონდა არაერთი საინტერესო შეხვედრა უცხოელ კოლეგებთან, დაიგეგმა რამდენიმე პროექტი, რომლებიც ქართულ ხელბურთს სასიკეთოდ წაადგება. უფრო დეტალურად ამ ყოველივეზე თავად თამაზ თევზაძე გვესაუბრება.**

- ესპანეთში ჩატარდა ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის 31-ე კონგრესი. მოხარული ვარ, რომ საერთაშორისო ფედერაციის ჩვენდამი განსაკუთრებული ყურადღების გამო, საშუალება მომეცა, კონგრესს დავსწრებოდი და მასში მონაწილეობა მიმეღო. ასეთ ღონისძიებებში ჩართვა ნებისმიერი ქვეყნისთვის სასარგებლოა, რადგან იქ არაერთი ისეთი საკითხი იხილება, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად, ყველას ეხება.

ეს იყო რიგითი კონგრესი, რომლის დღის წესრიგიც მოიცავდა 17 საკითხს. დღის წესრიგიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა. სულ 33 ცვლილება იხილებოდა. საერთოდ, ნებისმიერ საერთაშორისო ფედერაციაში საკმაოდ იშვიათია, როდესაც წესდებაში ხარვეზებია და მას ცვლილებები დასჭირდეს.

ჩვენს შემთხვევაში, ცვლილებები ეხებოდა წესდების ცალკეულ მუხლებს, ფედერაციის მუშაობასთან დაკავშირებულ რეგლამენტსა და სტრუქტურულ-ორგანიზაციულ ცვლილებებს. ეს ყველაფერი მომზადებული იყო ძირითადად, აზიის, აფრიკისა და განსაკუთრებით, ევროპის კონტინენტალური ფედერაციებისგან.

საბოლოოდ, მოხდა მთელი რიგი შეთანხმებები. კონგრესამდე, ყველა კონტინენტალურმა ფედერაციამ შეკრიბა თავის დაქვემდებარებაში მყოფი ქვეყნების ხელბურთის ფედერაციების ხელმძღვანელობა და კიდევ ერთხელ შეაჯერეს ის საკითხები, რომლებიც კონგრესზე უნდა გაეტანათ. ამით მივიღეთ ის, რომ ევროპამ მოხსნა თავისი 17 წინადადება, აზიამ კი - 7. შესაბამისად, პუნქტმა, რომელიც კონგრესზე მთავარ საკითხად მიიჩნეოდა, აქტუალობა დაკარგა.

მოკლედ, ძირითადად, იმაზე ისაუბრეს, თუ როგორ განაწილდებოდა ადგილები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე, ჩელენჯ კაპსა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე. რაკილა პეკინის ოლიმპიადა ახლოვდება, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება არ გარისკეს. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომელთაც დაევალათ, რომ საკითხი მომზადდეს მომავალი, 2009 წლის კონგრესისთვის, რომელიც საარჩევნოც იქნება.

სხვა დანარჩენი საკითხებიდან, აღსანიშნავია სხვადასხვა ღონისძიებების მასპინძელი ქვეყნების დასახელება-დამტკიცება, საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობის ანგარიში, ბიუჯეტის განხილვა და ასე შემდეგ. საერთაშორისო ფედერაციაში მიიღეს ოთხი ახალი წევრი – ეკვადორი, ჩერნოგორია, მონაკო და ვენესუელა. ახლა უკვე მათი ჩათვლით, საერთაშორისო ფედერაციაში გაწევრიანებულია 152 ქვეყანა. საერთაშორისო ფედერაციამ წარადგინა სამომავლო საკმაოდ მიმზიდველი გეგმები.

ასეთ კონგრესებს ჩვენ მუდამ ვიყენებთ იმისთვის, რომ შევხვდეთ მსოფლიო ხელბურთის მაღალჩინოსნებსა და სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებს, რათა მათთან ვითანამშრომლოთ. ასე იყო ესპანეთშიც, სადაც ჯერჯერობით, საუბრის დონეზე მივაღწიეთ შეთანხმებას რამდენიმე ქვეყანასთან ურთიერთთანამშრომლობის პროგრამების განხორციელების თაობაზე. ამ ქვეყნების ხელბურთის ფედერაციების ხელმძღვანელები მალე გვაცნობებენ, თუ რას გადაწყვეტენ.

**- ცხადია, რომ ქართულ ხელბურთს გვარიანად უჭირს. რა ინტერესი აქვთ აწყობილ უცხოურ ქვეყნებს, რომ ჩვენთან ითანამშრომლონ?**

- ასეთი თანამშრომლობა ორგვარია. ერთია წმინდა საქველმოქმედო, როდესაც ხელბურთის გრანდი ქვეყნები თავისზე გაცილებით ჩამორჩენილებს უანგაროდ ეხმარებიან ფინანსურ-მატერიალურად თუ სხვადასხვა პროექტებში ჩართვით, უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. ოღონდ, პრიორიტეტებს ისინი ირჩევენ.



საქართველოს ნაკრებს სხვა კონტინენტების გუნდებთანაც მოუწევს თამაში

მეორე ვარიანტი კი ის არის, რომ ჩვენზე მდიდარი, ოღონდ სპორტული თვალსაზრისით, დაახლოებით ჩვენი დონის ქვეყნებს სურვილი აქვთ, ქართულ კლუბებსა თუ ნაკრებებთან მოაწყონ ერთობლივი შეკრებები, ამხანაგური თამაშები და ასე შემდეგ. მე ესპანეთში შეხვედრა მქონდა ორივე კატეგორიის ქვეყანასთან.

უკვე დაწყებული გვაქვს თანამშრომლობა ნორვეგიასთან, ესპანეთში კი ლიტვასთან ანალოგიურ შეთანხმებას მივაღწიეთ. ლიტველებს ყოველთვის ნორმალური ხელბურთის სკოლა ჰქონდათ, ევროკავშირის წევრები არიან და ფინანსების მოზიდვა შეუძლიათ. ბალტიისპირელები ფინანსურის გარდა, დაგვეხმარებიან სასწავლო სემინარებით და ქართულ გუნდებთან ამხანაგური მატჩებისა თუ შეკრებების მოწყობით. ასეთივე თანამშრომლობა დაგეგმილია თურქეთსა და ავსტრიასთან.

იყო საუბარი სხვა კონტინენტების წარმომადგენლებთანაც. მოვილაპარაკეთ განის ხელბურთის ფედერაციასთან. ამ ქვეყანას აფრიკაში სიძლიერით მეოთხე ნაკრები ჰყავს, არც ფინანსურად უჭირს და საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური მატჩების ჩატარება სურს. შევხვდი მალაიზიის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტსაც, რომელიც ანალოგიურად დაინტერესდა ჩვენთან თანამშრომლობით.

**- საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობას თუ შეხვდით?**

- რა თქმა უნდა. შეხვედრა მქონდა როგორც საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ჰასან მუსტაფასთან, ასევე გენერალურ მდივან პეტერ მიულემატერთან. არ არის გამორიცხული, რომ განხორციელდეს მათი ვიზიტი საქართველოში. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობა გვესტუმრება და მათი ჩამოსვლა ძალიან წაგვადგება. ისინი ადგილზე ნახავენ, რა მდგომარეობაში ვართ, რა გვჭირდება და მერე გადაწყვეტენ, რით დაგვეხმარონ. თუმცა, ასეთი რანგის სტუმრების მიღებას დიდი მოსამზადებელი სამუშაოებიც სჭირდება.

მუსტაფასა და მიულემატერთან სხვ საკითხებზეც ვისაუბრე. მათ გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ქართული ხელბურთის დახმარება მომავალშიც მაქსიმალურად გააგრძელონ. არსებობს ასეთი ტურნირი – "ჩელენჯ კაპი", რომელზეც ის ქვეყნები თამაშობენ, რომლებიც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერ ხვდებიან. ახლო მომავალში, ამ ტურნირის ორგანიზებას მთლიანად საერთაშორისო ფედერაცია აპირებს და ტურნირში ჩართვას ჩვენც დაგვპირდა.

**კობა ხატისაშვილი**

## რაგბი



დავით ხინჩაგიშვილი

ტრანსფერი

# ხინჩაგიშვილი კლუბს იცვლის

საქართველოს ნაკრებისა და საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ "ბურგუენის" ბურჯმა **დავით ხინჩაგიშვილმა** ახლახან ახალ გუნდთან გააფორმა ხელშეკრულება. დავითი მომავალ ორ სეზონს ასევე პირველი დივიზიონის კლუბ "ბრივში" გაატარებს.

"ბრივი" ფრანგული რაგბის ერთ-ერთი უძველესი გუნდია, მდიდარი ტრადიციებითა და საკმაოდ დიდი მიღწევებით. ამ გუნდში თავის დროზე თამაშობდა ძმები იაშვილების მამა, **მიშელ იაშვილი**. "ბრივში" უთამაშია ასევე **მამუკა მაგრაქველიძესაც**, სწორედ ამ კლუბთანაა დაკავშირებული მის კარიერაში ყველაზე ხმაურიანი, დოპინგსკანდალი.

"ბრივი" ამჟამად, რეგულარული გათამაშების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე 44 ქულით მე-11 (ბოლოდან მეოთხე) ადგილზეა და დაქვეითება ემუქრება.

## პლაჟბურთი



გეორ



გია

მსოფლიო ტური

# პლუს ორი მოგება!

ქართულმა წყვილმა **გეორ-გიამ** მსოფლიო ტურის პირველ, შანხაის ეტაპზე განცდილი ფიასკოს შემდეგ მდგომარეობა გამოასწორა და ბაჰრეინში საკვალიფიკაციო ეტაპზე ორი მატჩის მოგებას, ძირითად ბადეში ორიც მიაყოლა.

პირველ მატჩში გეორ-გიამ უპრობლემოდ დაამარცხა ნორვეგიელთა, **კემპერუდისა და სკარლუნდის** ტანდემი 2:0 (21:14, 21:15). ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მომდევნო შეხვედრას, ტურნირზე მე-7 ნომრად განთესილ არგენტინულ **კონდესა და ბარაცეტის** დუეტთან. გეორ-გიამ პირველი სეტი 17:21 დათმო, თუმცა მერე ძალები მოიკრიბა და ზედიზედ ორი სეტი მოიგო 21:18, 16:14.

მესამე თამაშს ჩვენი წყვილი ტურნირზე მე-2 ნომრად განთესილ გერმანელებს, **ბრინკსა** და **დეკმანთან** გამართავს. შეგახსენებთ, რომ ძირითად ბადეში ერთი მატჩის წაგების უფლება ყველას აქვს, თუმცა, ორი მომდევნოს წაგების შემთხვევაშიც გეორ-გია საკმაოდ კარგ ადგილს დაიჭერს - 9-13 პოზიციებს გაიყოფს. თუ კიდევ ორი თამაში მოიგეს, ჩვენები მეოთხედფინალში გააღწევენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## სროლა

# ფინალში ვერ გავიდნენ

ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში სროლაში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი დასრულდა. 10 მეტრიდან პნევმატური იარაღით სროლაში ნინო სალუქვაძემ 379 ქულით 32-ე ადგილი დაიკავა, ხოლო **ნინო უჩაძემ** 366 ქულით - 77-ე. 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში 70 მონაწილეს შორის ნინო სალუქვაძემ 577 ქულით მე-15 ადგილი დაიკავა და ფინალურ რვაეულამდე სამი ქულა დააკლდა. მსოფლიო თასზე პირველად მოხდა, რომ ფინალური სროლების შემდეგ ერთბაშად სამმა მსროლელმა დააგროვა ერთნაირი ქულა. დაინიშნა დამატებით სერია, რომელშიც მონღოლმა **მუნკზულ ცოგბადრაჰმა** გაიმარჯვა 783,3 ქულით.

კალათბურთი

## შაკი მაიამიში დარჩება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ჯერაც მოქმედი ჩემპიონის, "მაიამი ჰიტის" მთავარმა მწვრთნელმა **პატ რაილიმ** სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი - **შაკილ ო'ნილი** მომავალ სეზონსაც "ჰიტში" გაატარებს.

*"ბოლო დროს, ბევრი ჭორი გავრცელდა შაკის სხვა გუნდში გადასვლასთან დაკავშირებით. აქედანვე ვაცხადებ, რომ ო'ნილი არ იყიდება"*, - აიმედებს თავისი გუნდის გულშემატკივრებს რაილი.

ნლეველანდელ რეგულარულში, შაკილ ო'ნილმა მუხლის ტრავმის გამო 42 მატჩი გამოტოვა. 35 წლის კალათბურთელი, საშუალოდ შეხვედრაში 17.3 ქულას აგროვებდა, რაც მისი კარიერის ანტირეკორდია.

## ბობკეტსი ფრატელოსაც დაუკავშირდა

მთავარი მწვრთნელის ძებნას განაგრძობს "შარლოტ ბობკეტსი". NBA-ის ოფიციალური ვებ-გვერდი, გაზეთ Charlott Observer-ზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ამ კლუბის მწვრთნელობაზე კიდევ ერთი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას. ეს არის ცნობილი სპეციალისტი **მაიკ ფრატელო**, მეტსახელად "მეფე". როგორც გაირკვა, ფრატელო უკვე ესაუბრა "შარლოტის" ერთ-ერთი მფლობელს - **მაიკლ ჯორდანს**, თუმცა, მათი მოლაპარაკებების დეტალები არ გახმაურებულა.

შეგახსენებთ, რომ ამჟამად, მაიკ ფრატელო ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე საკალათბურთო მიმომხილველად მუშაობს.

## ჯერმეინ ონილი პეისერსის ერთგულია

ბოლო პერიოდში, უამრავი ჭორი გავრცელდა "ინდიანა პეისერსის" ლიდერ **ჯერმეინ ო'ნილის** გარშემო. ბუნებრივია, გავრცელებული ხმები ამ ფორვარდის სხვა კლუბში გადასვლას უკავშირდებოდა. კერძოდ, საუბარი იყო "ნიუ იორკ ნიქსში" ტრანსფერზე. ამ გუნდს "ინდიანას" ყოფილი მწვრთნელი - **აიზია ტომასი** ავარჯიშებს.

თუმცა, გუშინ, ჯერმეინმა თავად მოუღო ბოლო ჟურნალისტთა ვარაუდებს და განაცხადა, რომ არსად გადასვლას არ აპირებს.

*"ეს უბრალოდ ვილაცის მიერ მოგონილი სპეკულაციები იყო. "პეისერსს" ძალიან დიდ პატივს ვცემ და მისი დატოვება არც მიფიქრია. ეს ის კლუბია, რომელმაც NBA-ის ვარსკვლავად მაქცია. ხელმძღვანელობისგან არასოდეს მომითხოვია სხვა გუნდში გაცვლა"*, - თქვა ო'ნილმა.

## ნიუ ორლეანში კალათბურთი ბრუნდება

"ნიუ ორლეან ჰორნეტსი" თავის კუთვნილ საწვრთნელ ბაზას - ქალაქ ნიუ ორლეანის "ალარიო სენტერს" 1 აგვისტოს დაუბრუნდება.

კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა საზაფხულო საწვრთნელი შეკრება კვლავ ოკლაჰომაში ჩაატაროს, სადაც ეს გუნდი შარშანდელი ივლისის შემდეგ არის დაბანაკებული.

შეგახსენებთ, რომ "ჰორნეტსის" ოკლაჰომაში გადაბარგება, ქარიშხალ "კატრინას" გამადაგურებელ შედეგებთან იყო დაკავშირებული.

## არგენტინას დელფინოც განუდგა

"დეტროიტ პისტონზის" მცველი - **კარლოს დელფინო** არგენტინის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **სერხიო ერნანდესს** შემოსწყრა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი, ამერიკაში ვიზიტისას კალათბურთელს არ შეხვდა. სწორედ ამიტომაც, დეტროიტელმა შეიძლება უარი განაცხადოს ამერიკის ჩემპიონატში თამაშზე.

*"მართლაც არ ვიცი, ვითამაშებ თუ არა ნაკრებში. ამ თემაზე ჯერ არავისთან მისაუბრია. არ ვიცი, რას ფიქრობს ამაზე მწვრთნელი. ორი კვირის წინ ვიქორწინე, მაგრამ ჯერ თაფლობის თვე არ მქონია. შესაძლოა, საქორწინო მოგზაურობა სწორედ იმ პერიოდს დავამთხვიო, როცა ლას ვეგასში ამერიკის ჩემპიონატი გაიმართება. ვიცი, რომ ერნანდესი ჯინობილის, ობერტოს, ნოჩიონისა და ერმანნს შეხვდა, მაგრამ ჩემთან ტელეფონითაც არ დაურეკავს. გაოცებული ვარ, რადგან ნაკრების ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს იმ კალათბურთელებს, რომლებსაც არ სურთ ეროვნულ გუნდში თამაში და არა იმათ, ვისაც ასეთი სურვილი გააჩნია"*, - განაცხადა დელფინომ Ole-სთვის მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, არგენტინის ნაკრებში თამაში იუარეს **მანუ ჯინობილიმ**, **ფაბრიციო ობერტომ** და **ვალტერ ერმანმა**.

## სერბეთში მწვრთნელი იცვლება

სერბეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი - **დრაგან კაპიჩიჩი** აცხადებს, რომ შესაძლოა, ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტი **დრაგან შაკოტამ** დატოვოს.

*"შაკოტას ჩვენთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და სწორედ მან უნდა უხელმძღვანელოს მომავალ წელს ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე. მაგრამ ახლა ჩვენ ვაყალიბებთ ექსპერტთა საბჭოს, რომელიც შეაფასებს შაკოტას მუშაობას და შესაძლოა, გადავწყვიტოთ მისი სხვა მწვრთნელით შეცვლა. დრაგანმა უნდა წარმოადგინოს გაწეულ სამუშაოზე მოხსენება, აგრეთვე მომავალი წლისთვის მოქმედების გეგმა. მისი მუშაობის პირველი წლის შეფასებისას, ფედერაციას ძალიან ბევრი პრეტენზია დაუგროვდა"*, - თქვა კაპიჩიჩმა.

სერბული პრესა ვარაუდობს, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელი, "მილანის" დამრიგებელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი იქნება. კაპიჩიჩიც ადასტურებს, რომ ჯორჯევიჩი სავარაუდო კანდიდატთა სიაში შედის.

მძლეოსნობა

## რუსმა მარათონელმა დოპინგ-ტესტი ვერ გაიარა

ლოს ანჯელესის მარათონის ორგზის გამარჯვებული, რუსი სტაიერი **ლიუბოვ დენისოვა** დოპინგზე ჩავარდა. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ახლა ამ მძლეოსანს ორწლიანი დისკვალიფიკაცია არ ასცდება, ვინაიდან გუშინ, B სინჯის ანალიზმაც დადებითი შედეგი აჩვენა.

დენისოვას აგენტი აცხადებს, რომ მის კლიენტს დოპინგი შეგნებულად არ მიუღია. მძლეოსანი ინტერნეტით ვიტამინების ყიდვას აპირებდა და შეცდომით, აკრძალული პრეპარატი - Orasten-E შეიძინა.

ჰოკეი

მსოფლიო ჩემპიონატი. 1/4 ფინალი

# ჩეხოსლოვაკიის გარეშე

**რუსეთი–ჩეხეთი 4:0**

1:0, 0:0, 3:0

**გოლები:** 1:0 მარკოვი-3 (მალკინი-4, ფროლოვი-4), 2:0 მალკინი-3 (კოვალჩუკი-5), 3:0 რადულოვი-2 (გრებეშკოვი-2), 4:0 მალკინი-4.

ტურნირის მასპინძლები მეოთხედფინალამდე ისე მივიდნენ, რომ ყველა მატჩი მოიგეს, იმ დროს, როცა ჩეხეთი, წინასწარ ეტაპებზე არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. რად ღირს თუნდაც პირველ ჯგუფურ ტურნირში მოკრძალებულ გერმანიასთან მარცხი (0:2).

მიუხედავად ამისა, სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ჩეხები მეოთხედფინალისთვის გამოილევიძებდნენ და დიდ ბრძოლას გაუმართავდნენ რუსებს, მით უმეტეს, რომ ჩეხთა რიგებში NHL-ის ცხრა ლეგიონერი თამაშობდა. მაგრამ გავუსწრებთ მოვლენებს წინ და გეტყვით, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო იმ დღეს თავის გამოჩენა, სამაგიეროდ, გაიბრწყინეს რუსების ოკეანისგაღმელმა ლეგიონერებმა - ოთხივე გოლი სწორედ NHL-ის მოთამაშეებზე მოდის.



მარტენსონის ბოლო აკორდი

ჩეხეთს პრობლემები ჰქონდა რიცხობრივ უმცირესობაში თამაშისას. პირველი ორი გოლი მასპინძლებმა სწორედ მაშინ გაიტანეს, როცა ერთით მეტი ჰოკეისტი ჰყავდათ ყინულზე.

პირველ პერიოდში **მარკოვის** გოლის შემდეგ, ჩეხები ვალდებულნი იყვნენ გაეთანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ **პლეკანეცმა** 3 მეტრიდან მეკარე **ერიომენკოს** გაარტყა შაიბა. რუსების გოლკიპერმა მეორე პერიოდის სტარტზეც ზედიზედ სამჯერ გადაარჩინა თავისი გუნდი.

მესამე 20-წუთეულში კი, პრაქტიკულად ცალკარა თამაში მიდიოდა, რასაც ჩეხეთის კარში სამი უპასუხო გოლი მოჰყვა. შეხვედრის გმირი "პიტსბურგ პინგვინზის" ახალგაზრდა ვარსკვლავი **ევგენი მალკინი** გახდა, რომელმაც დუბლს ერთი საგოლე პასიც დაუმატა.

ნახევარფინალში რუსეთის მეტოქე ამერიკისა და ფინეთის ნაკრებთა მატჩში გაირკვევა.

**შვედეთი–სლოვაკეთი 7:4**

1:2, 3:0, 3:2

**გოლები:** 0:1 მარიან ჰოსა-2 (გაბორიკი-5, შტეჰლიკი-1), 1:1 ვარგი-2 (ემვალი-2), 1:2 კაპუში-3 (პოდჰრადსკი-3, შატანი-6), 2:2 ჰედსტრიომი-2 (ბეკსტრიომი-4), 3:2 მარტენსონი-2 (კ. იონსონი-1, ტორნბერგი-1), 4:2 ჰედსტრიომი-3 (სტინი-2), 4:3 რადივოევიჩი-2 (პოდჰრადსკი-4), 5:3 მარტენსონი-3, 6:3 მ. იოჰანსონი-3 (დავიდსონი-7, ენსტრიომი-2), 6:4 კუკუმბერგი-1 (რადივოევიჩი-1), 7:4 მარტენსონი-4 (კ. იონსონი-2).

ამ წყვილში, რა თქმა უნდა, ფავორიტები მოქმედი მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონები იყვნენ, მაგრამ არც სლოვაკეთის ნაადრევად ჩამოწერა იქნებოდა მართებული. სახელების მიხედვით, სლავებს მოსკოვში, ალბათ, ყველაზე ძლიერი შემადგენლობა ჰყავდათ ჩაყვანილი. **მარიან ჰოსა, გაბორიკი, დემიტრა, ხარა, შატანი, რადივოევიჩი...** ამ ჰოკეისტებს ნებისმიერი გუნდისთვის შეეძლოთ პრობლემების შექმნა.

შვედებს ნახევარფინალამდე ერთადერთი მატჩი ჰქონდათ წაგებული რუსეთის ნაკრებთან, სლოვაკების ანგარიშზე კი, ორი მარცხი იყო ოკეანისგაღმელ გუნდებთან - ამერიკასთან და კანადასთან.

შეხვედრა მოულოდნელად სლოვაკების უპირატესობით დაიწყო და მათ პირველი პერიოდი თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს, მაგრამ მეორე 20-წუთეულში, "ტრე კრუნურმა" შეძლო თავისი თამაში მოეხვია თავს მეტოქისთვის, რასაც სამი უპასუხო გოლი მოყვა **კრიჟანის** კარში.

4:2 - ასეთი ანგარიში დაფიქსირდა ბოლო პერიოდის წინ. მატჩის დასკვნითი, მესამე ნაწილი რადივოევიჩის გოლით დაიწყო, რამაც სლოვაკეთს შეხვედრის გადარჩენის იმედი მისცა. თუმცა, 47-ე და 48-ე წუთებზე, სკანდინაველებმა ამ მეოთხედფინალის ინტრიგა საბოლოოდ დაასამარეს. **მარტენსონისა** და **იოჰანსონის** ზედიზედ ორი გოლის წყალობით, შვედეთი 6:3 დაწინაურდა და ცხადი იყო, რომ სლოვაკები თამაშს ველარ გადაარჩენდნენ.

მეოთხედფინალს საბოლოო წერტილი იმავე მარტენსონმა დაუსვა, რომელმაც ამ მატჩში დუბლი გაიფორმა.

შვედეთი ნახევარფინალში გავიდა, სადაც მას კანადისა და შვეიცარიის წყვილში გამარჯვებული შეხვდება.

ველოსპორტი

პრო ტური

# ჰემილტონს ჯიროზე არ უშვებენ

პრო ტურის სერიის ახალმა გუნდმა "ტინკოფ კრედიტ სისტემზმა" ველოსპორტული სეზონის პირველ ველომარათონზე - ჯირო დ'იტალიაზე გამოსვლის ნება არ მისცა თავის სამ ლიდერს - ამერიკელ **ტაილერ ჰემილტონს**, გერმანელ **იორგ იაკშესა** და გერმანელ **დანილო ჰონდოს**. ამის მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ სამივე ველომრბოლის სახელი მოხსენიებულია ესპანურ დოპინგსკანდალ ოპერასიონ პუერტოში.

გუნდის განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი არ აპირებენ პრო ტურის სხვა გუნდების წინააღმდეგ წასვლას და იმ ველომრბოლებს, რომლებიც პუერტოში არიან მოხსენიებულნი, ჯიროზე არ დაუშვებენ. მანამდე მსგავსი ნაბიჯი პრო ტურის ყველა დანარჩენმა გუნდმა გადადგა. მათ შორის, ამერიკულმა "დისქავერი ჩენელმაც", რომელმაც განაცხადში არ შეიყვანა რბოლის შარშანდელი ჩემპიონი, იტალიელი **ივან ბასო**.

ველომარათონებზე ოპერასიონ პუერტოში მოხსენიებულ ველომრბოლთა არდაშვება პირველად ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა მოითხოვა, რაზეც გუნდებისგან დადებითი გამოხმარება მიიღო. თავიდან "ტინკოფი" არ აპირებდა ამ მოთხოვნის შესრულებას და ოფიციალურად აცხადებდა, რომ ჰემილტონი და იაკშე იტალიაში იასპარეზებდნენ. მაგრამ საბოლოოდ, რუსულ-იტალიურმა გუნდმა კომპრომისზე წასვლა ამჯობინა.

ჯიროზე დიდ იმედებს ამყარებდა ჰემილტონი, რომელსაც ცოტა ხნის წინ დაუმთავრდა დისკვალიფიკაცია. ის არ მალავდა, რომ ამ სეზონში მისი მთავარი მიზანი იტალიურ წრეზე კარგი შედეგის ჩვენება და კვარცხლბეკზე ასვლაა. მაგრამ, როგორც ჩანს, ამ მიზნის შესრულების გადადება მინიმუმ ერთი სეზონით მოუწევს. ყოველ შემთხვევაში, ის ველომარათონებზე მანამ ვერ იასპარეზებს, სანამ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის მი ერ მოთხოვნილ დნმ-ის ტესტებს არ გაივლის. და თუ ამ ტესტებზე გამოვლინდა, რომ პუერტოში "მის სახელზე" არსებული სისხლის პაკეტი სხვა ეკუთვნის, მაშინ ჰემილტონს დიდ რბოლებში გამოსვლის უფლებასაც მისცემენ.

შეგახსენებთ, რომ მან ათენის ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა, მოგვიანებით კი, ვუელტაზე ასპარეზობისას, სისხლის დოპინგზე ჩავარდა, რისთვისაც ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. დოპინგტესტი მან ათენის ოლიმპიადაზეც ჩააგდო, მაგრამ მაშინ განმეორებითი ტესტის ჩატარება ვერ მოხერხდა, რადგან ლაბორატორიაში მისი სინჯი ზედმეტად გაყინეს და ამის გამო დაზიანდა. ამის წყალობით, მას ოლიმპიური ოქრო შერჩა. თუმცა, ცოტა ხანში, ზუსტად იგივე ტიპის დოპინგზე ჩავარდა.

ჰემილტონის, ბასოს, იაკშეს და ჰონდოს გარდა, ცნობილ ველომრბოლთაგან ჯიროზე ვერ იასპარეზებენ ესპანელი **კოსტანტინო საბალა**, იტალიელი **მიქელე სკარპონი** და ესპანელი **რუბენ პლასა**.

ჰემილტონი გაოცებულია თავისი გუნდის გადაწყვეტილებით და ირწმუნება, რომ სკანდალ ოპერასიონ პუერტოს აგორებამდე, საერთოდ არაფერი სმენოდა ესპანელ ექიმ **ეუფემიანო ფუენტესის** შესახებ.

ბასო და სკარპონი აღიარებენ, რომ პუერტოში გარეულები არიან, თუმცა ირწმუნებიან, რომ დოპინგი არასოდეს გამოუყენებიათ და ეს უბრალოდ, აკრძალული მეთოდის გამოყენების მცდელობა იყო. ცნობისათვის, დოპინგის გამოყენების მცდელობაც ისევე ისჯება, როგორც დოპინგის გამოყენება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**




ტაილერ ჰემილტონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. ფლეი ოფი. 1/4 ფინალი

# გმირი ფიშერი




დერეკ ფიშერი

| დასავლეთი | |
|---|---|
| იუტა (4)-გ. სტეიტი (8) | 127:117 (ო) |

28:31, 37:25, 27:31, 23:24, 14:4

იუტა: ბუზერი (30 ქ. 13 მ. 3 პ), ოქური (23 ქ. 18 მ), კირილენკო (20 ქ. 9 მ. 6 დ. 5 პ), დ. უილიამსი (17 ქ. 14 პ), გირიჩეკი (10 ქ), მილსეპი (10 ქ. 6 მ).

გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (36 ქ. 7 პ. 4 ჩ. 3 მ), ჯ. რიჩარდსონი (27 ქ. 4 მ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (18 ქ. 2 ჩ), ე. ჰარინგტონი (17 ქ. 5 მ. 3 ჩ), მ. ბარნსი (12 ქ. 7 მ).

**სერია: 2:0**

პროფესორმა **დევიდ აბრამსონმა** 10 თვის **ტატუმ ფიშერს** თვალზე ურთულესი ოპერაცია რომ გაუკეთა, ბავშვის მშობლებს - **დერეკ** და **სანი ფიშერებს** დამაიმედებელი პროგნოზი უთხრა, თქვენს გოგოს ერთ კვირაში ჰოსპიტალიდან გავწერთ და სავარაუდოდ, პატარა ტატუმს არც მხედველობის მხრივ შეექმნება პრობლემები და განმეორებითი ქირურგიული ჩარევაც არ იქნება საჭიროო.

დერეკ ფიშერის ტყუპისცალებიდან ერთ-ერთს, ორი თვის წინათ უიშვიათესი სიმსივნე, რეტინობლასტომა აღმოუჩინეს, რაც ხშირ შემთხვევებში, დაავადებულს ჯერ მხედველობასთან დაკავშირებით უქმნის პრობლემებს, მერე კი ობობას ქსელივით თავზე გადადის და იწყება დაავადებულის სიცოცხლისთვის ბრძოლა. ბრძოლა, რომელიც ხშირად ფატალურად მთავრდება.

ასე რომ, მისტერ აბრამსონის პროგნოზით, ფიშერებს თავიანთი პატარა ანგელოზის გადარჩენის იმედი მიეცათ.

დერეკმა "გოლდენ სტეიტთან" სერიის პირველი შეხვედრა სწორედ ამის გამო გამოტოვა. ტატუმი ჰოსპიტალში პირველ მატჩამდე ორი დღით ადრე მოათავსეს და მამამაც გუნდს ბოდიში რომ მოუხადა, ეგრევე ოჯახთან გადაფრინდა.

*"დევიდ აბრამსონის მჯერა. ჩვენ მას ტატუმის ბედი ვანდეთ და ღმერთმა ინება, რომ ოპერაცია წარმატებით დასრულებულიყო. "ჯაზს" უდიდეს მადლობას ვუხდი გვერდში დგომისთვის. ვეცდები, სოლტ ლეიკ სიტიში ჩაფრენა მოვასწრო და მეორე მატჩში მონაწილეობა მივიღო"*, - ამბობდა ოპერაციის დასრულებიდან მეორე დღეს გახარებული, მაგრამ ლოდინითა და ნერვიულობით გამოფიტული დერეკი.

მცველმა სოლტ ლეიკ სიტიში მგზავრის ვერტმფრენით გადაფრენა მოასწრო, იქ კი ფიშერს პოლიციის ესკორტი ელოდებოდა, რომელმაც მოთამაშე მაქსიმალურად სწრაფად დარბაზში მიიყვანა. თამაში დაწყებული იყო, ფიშერი კი მოთელვის გარეშე შევარდა არენაზე, პირველი ნახევრის ბოლოს, უკვე "ჯაზის" სათადარიგოებში იყო მოკალათებული.

ფიშერი თამაშში პირველად მაშინ ჩაერთო, როდესაც მესამე მეოთხედის დასრულებას 3 წუთი და 18 წამი უკლდა. მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და გმირ მოთამაშეს ოვაცია მოუწყო.

ფიშერის მოედანზე შესვლამდე, "ჯაზის" ძირითადმა გამთამაშებელმა - **დერონ უილიამსმა** მეოთხე ფოლი მიიღო და **ჯერი სლოუნსაც** გადამწყვეტი მონაკვეთისთვის დერონის შესანახად, ცეცხლში ფიშერის შეგდება მოუხდა.

მასპინძელთა კიდევ ერთი ფლეიმეიქერი, ახალბედა **დი ბრაუნი** პირველ მეოთხედში თანაგუნდელ **მეჰმეთ ოქურს** შეასკდა და კისრის ტრავმის გამო, ის ეგრევე დარბაზის ახლოს მდებარე ჰოსპიტალში გააქანეს.

ფიშერის გუნდი კი, პირველი მატჩის დარად, კარგად დაწყებული საქმის მერე მოეშვა და ძირითადის დასრულებამდე 52.9 წამით ადრე, **დონ ნელსონის** "უორიორზი" წინ 5 ქულით გაიჭრა.

დერეკმა "გოლდენ სტეიტის" ვარსკვლავ **ბაირონ დევისს** შეცდომა დააშვებინა, მაგრამ "ჯაზის" პერსპექტივა მაინც ბურუსით იყო მოცული - ოქურმა ნაჩქარევი სამიანი გააფუჭა და **მიკაელ პიეტრუსს** ორი საჯარიმოს შესრულების უფლება მიეცა.

ფრანგმა ფორვარდმა ორივე სროლა გააფუჭა, რასაც 12 წამში, ბაირონ დევისის მხრიდან ორიდან კიდევ ერთი თავისუფალი ტყორცნის აცილება დაერთო.

მასპინძლებს ბოლო შეტევისთვის 12 წამი რჩებოდათ (სტუმართა აცილებული საჯარიმოების შუალედში ოქურმა ერთი სამიანი მაინც ჩააჭედა "გოლდენ სტეიტის" კალათში).

სლოუნმა წუთშესვენება აიღო, რის შემდეგაც, დევისი და პიეტრუსი დაცვაში ერთმანეთს ხელს უშლიან და დერონ უილიამსს ზუსტი საშუალო სროლით შეხვედრა ოვერტაიმში გადაჰყავს.

დამატებით დროში კი სტუმრებს მოგების მცირე შანსიც კი არ ჰქონიათ. იმავე ფიშერმა ოვერტაიმის დასრულებამდე 1 წუთით ადრე მარჯვენა კუთხიდან უნაკლო სამიანით თავისიანები 6 ქულით დააწინაურა და მატჩის დარჩენილი დროც ფორმალობად იქცა.

ფიშერი, რომელმაც რეგულარულის წინ მიიღო შეტყობინება "გოლდენ სტეიტიდან" "იუტაში" გაცვლის შესახებ, 9 წუთსა და 31 წამში 5 ქულა და 3 შედეგიანი გადაცემა დააგროვა.

*"მომდევნო მატჩში დერეკი სასტარტოში დაბრუნდება. იმედი მაქვს, მის პირად ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნება. ფიშერი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. იგი დაისვენებს და მესამე შეხვედრისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება"*, - განუცხადა მასმედიელებს სლოუნმა.

დერეკის ფონზე კი, ამჯერად მიიკარგა **კარლოს ბუზერის** კიდევ ერთი ფეერიული თამაში, **მეჰმეთ ოქურის** მორიგი უნივერსალური დომინაცია და ისიც, რომ **ანდრეი კირილენკომ** ბოლო ორ შეხვედრაში 13 დაფარება დააგროვა.

**ზურაბ თალაკვაძე**

# TV სპორტი

**11 მაისი. პარასკევი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:15** უიქენდის მატჩების ანონსი.
**12:25** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
**14:15** ესპანეთის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ხეტაფე-ბარსელონა.
**16:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** სასტვენი.
**16:50** საფრანგეთის ჩემპიონატი.
**18:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:00** FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**19:30** საფეხბურთო კლუბი.
**20:15** კვირის მატჩი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სევილია.
**22:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**23:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:15** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-კარაკასი (ვენესუელა).
**01:00** რუსეთის ჩემპიონატი.
**02:00** საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:00** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**09:00** სპორტინფორმი.
**09:15** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**09:45** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**10:10** სპორტინფორმი.
**10:25** კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი. პანათინაიკოსი (საბერძნეთი)-ცსკა (რუსეთი). ათენი. საბერძნეთი.
**12:20** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**12:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**14:33** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**15:03** ფეხბურთი. აშშ-ის ჩემპიონატი. MLS. კოლორადო-სოლტ ლეიკ სიტი.
**16:48** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**17:17** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-კარაკასი (ვენესუელა).
**19:02** ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:29** სპორტინფორმი.
**19:44** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი.
**21:39** სპორტინფორმი.
**21:52** ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. დღის მიმოხილვა.
**22:12** ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ველეს სარსფილდი (არგენტინა)-ბოკა ხუნიორსი (არგენტინა).
**23:59** სპორტინფორმი.
**00:10** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**00:39** კრივი. რინგ-საიდი.
**01:39** სპორტინფორმი.
**01:49** კალათბურთი. ევროლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი. ტაუგრესი (ესპანეთი)-უნიკახა (ესპანეთი). ათენი. საბერძნეთი.
**03:40** აფროსნობა. ამერიკის თასი.
**04:06** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
**05:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**06:11** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**EUROSPORT**

**10:30** აფროსნობა.
**10:45** ექსტრემალური სპორტი.
**11:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. 1/2 ფინალი. ბელგია.
**13:00** პლაჟის ფეხბურთი. ევროპის თასი. ფინალი. ტარაგონა. ესპანეთი.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. ბერლინი. გერმანია (LIVE).
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**21:30** ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ფინალი. ნორფოლკი. ბრიტანეთი.
**23:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ლატვიის გრან-პრი.
**00:00** პოკერი. ევროპის ტური. ლონდონი. ბრიტანეთი.
**01:00** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**01:30** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. რუსეთის გრან-პრი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-როჩესტერი.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** არენა-ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ფილადელფია.
**17:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. 1/2 ფინალი. ბელგია.
**19:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ავტოსპორტი. FIA WTCC. მიმოხილვა.
**21:00** მულტისპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
**22:30** საფეხბურთო პროგრამა - TOP 24.
**23:00** პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური. მამაკაცები. 1/2 ფინალი. მანამა. ბაჰრეინი (LIVE).
**00:00** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი. UNDER 17. 1/2 ფინალი. ბელგია.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ავსტრალიური ფეხბურთი.
**02:15** ახალი ამბები.
**02:30** პრო-რესტლინგი.
**03:00** ახალი ამბები.

მაიამი ჰიტი

# რაილის ბიბიც უნდა და მილერიც

ნაღდად ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ გაგანია ფლეი ოფში, პირველი წრის ერთ-ერთი ანტიგმირი - "მაიამი ჰიტი" ამერიკული საგაზეთო სივრცის მთავარ თემად იქნებოდა მიჩნეული.

ფლორიდელები ჭრილობებს იშუშებენ, მათი პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი - **პატ რაილი** კი ბაჰამის კუნძულებზეა, სადაც ოჯახთან ერთად ისვენებს. რაილი, შიგა და შიგ, ჩვენი კოლეგებისთვისაც კი იცლის, თუმცა, თუ პირველი ერთი კვირის განმავლობაში პატი ძირითადად არაფრისმომცემი მოკლე პასუხებითა და ბევრი "ვნახოთი" შემოიფარგლებოდა, ორი დღის წინათ, "მაიამის" თავკაცმა ასე თუ ისე კონკრეტულ თემაზე შედარებით ამომწურავად ისაუბრა.

რა შემადგენლობით ითამაშებს მომდევნო რეგულარულში "ჰიტი"?

დარჩებიან თუ არა გუნდში **გარი პეიტონი** და **ანტუან უოკერი**?

დღეს რომ რამდენიმე მოთამაშის აყვანა შეეძლოს, ვისზე შეაჩერებდა არჩევანს რაილი?

*"პეიტონმა თავისი ბედი თავად უნდა განსაზღვროს. გარის ვესაუბრე და მან იცის, რომ ალბათ, ვეტერანის კონტრაქტით თუ შეეძლება ჩვენს გუნდში დაბრუნება. ესეც არ არის გადაწყვეტილი, მაგრამ მეეჭვება, მას სხვაგან ამაზე უკეთესი ხელშეკრულება გაუფორმონ. რაც შეეხება ანტუანს, მისი მარშანდელი თამაშით უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. მან მშვენივრად გააკეთა თავისი საქმე და თუ მეტ სათამაშო დროს მივცემ, უოკერი სტატისტიკასაც გაიუმჯობესებს და მეტი თავდაჯერებაც მიეცემა. ასე რომ, გარისგან განსხვავებით, ანტუანის საკითხი ჩემთვის დახურულია - უოკერი შემდეგ სეზონსაც "ჰიტში" გაატარებს"*, - ამბობს რაილი.

"მაიამის" ბოსი არც იმას გამორიცხავს, რომ **ალონზო მურნინგს** კალათბურთიდან წასვლა გადააფიქრებინოს და ეს მონსტრი კიდევ ერთი სეზონითაც დაიტოვოს.

*"ადრეც ხომ გითხარით, ზოს დიდი იმედი მაქვს და მჯერა, რომ თუ იგი კალათბურთით ძველებურად სიამოვნებას მიიღებს, მაშინ "მაიამისთვის" უდიდესი სარგებლის მოტანა შეეძლება. არაერთხელ მითქვამს, რომ ბენ უოლასთან ერთად, ზო ბოლო ათწლეულის უძლიერესი დამცველი ცენტრია, ხოლო ბენისგან განსხვავებით, მას ახლაც კი შეუძლია ერთ მატჩში საშუალოდ, 8-10 ქულის დაგროვება"*, - მიაჩნია პატს.

და მაინც, გუნდის მთავარი სამიზნე რომელიმე ძლიერი გამთამაშებლის აყვანა იქნება. პეიტონი გინდ ყოფილა და გინდ არა, სხვა მხრივ კი აღმოსავლელებს მარტო **ჯეისონ უილიამსის** იმედი უნდა ჰქონდეთ, რაც "დეტროიტისა" და "ბულზის" ფონზე, მომავალს ნათელ ფერებში აშკარად ვერ ხატავს.

უილიამსი თავის საკონტრაქტო სეზონს დაიწყებს და ყველანაირად ეცდება, რაც შეიძლება უკეთ ითამაშოს, რათა სამომავლოდ "ჰიტს" ან რომელიმე სხვა გუნდს სარფიანი ხელშეკრულება გააფორმებინოს.

რაილი არ მალავს, რომ "მაიამიში" "ფილადელფიის" გამთამაშებლის - **ანდრე მილერის**, ან კიდევ "საკრამენტოს" კაპიტნის, იდენტური ამპლუის **მაიკ ბიბის** ხილვა სურს.

*"მაიკი ძალიან ძლიერი მოთამაშეა, თუმცა იგი უფრო ჯეისონის ყაიდისაა და შეტევის ორგანიზებაზე მეტად სროლაზე ფიქრობს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მაგრამ თუ ნამდვილი ფლეიმეიქერის აყვანას გადავწყვეტთ, მაშინ ჩვენი არჩევანი ანდრე მილერზე შეჩერდება. ნუ გამორიცხავთ იმასაც, რომ მომდევნო რეგულარულის დაწყებამდე კონტრაქტი ორივეს გავუფორმოთ"*, - მსჯელობს რაილი და იმასაც დასძენს, თუ "ბოსტონი" ჯეისონ უილიამსში **დელონტე უესტს** მოგვცემს, ამ შანსს ხელიდან არ გავუშვებ და უილიამსს გავცვლიო.

*"ჯეი დიდი ბიჭია და მან მშვენივრად იცის, რომ ამ ლიგაში გაცვლისგან, მხოლოდ დევიდ სტერნი და გრეგ პოპოვიჩი არიან დაზღვეულნი. ასე რომ, თუ დელონტეს აყვანის შანსი მომეცემა, წამითაც არ დავფიქრდები და ტრეიდი შედგება"*, - ასრულებს საუბარს პატ რაილი.

როგორც ხედავთ, გამოცდილ სპეციალისტს დიდი გეგმები აქვს. ვნახოთ, რა და როგორ გამოვა.

**ზურაბ თალაკვაძე**

# ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ტოტენჰემი-ბლექბერნი | 1:1 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი** | |
| ხეტაფე-ბარსელონა | 4:0 (2:5) |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| ჰამბურგი A-ოსნაბრიუკი | 4:2 |
| **საფრანგეთი** | |
| ტულუზა-ლე მანი | 0:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **ფლეი ოფი** | |
| გრონინგენი-ფეიენოორდი | 2:1 |
| სპარტა-ნიმეგენი | 1:1 |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **UNDER 17** | |
| ესპანეთი-ბელგია | 1:1, დ.დ. 7:6 |
| გერმანია-ჰოლანდია | 3:2 |
| ინგლისი-საფრანგეთი | 1:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-ვოლერენგა | 1:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეგერფორსი-ატვიდაბერგი | 1:2 |
| **ფინეთი** | |
| მარიეჰამნი-პაკა | 0:1 |
| ინტერი-ტურკუ | 1:1 |
| მიპა-იარო | 2:0 |
| ტამპერე-ვიიკინგიტი | 1:0 |

| ჩეხეთი | |
|---|---|
| სლავია-ბოლესლავი | 1:1 |
| ბანიკი-იაბლონეცი | 3:0 |
| **ჰოკეი** | |
| **მსოფლიო ჩემპიონატი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| კანადა-შვეიცარია | 5:1 |
| აშშ-ფინეთი | 4:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. რომი** | |
| ბერდიჩი-აკასუსო | 6:1, 6:2 |
| გონსალესი-მასუ | 6:7, 6:3, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ბაღდატისი | 6:2, 7:5 |
| რობრედო-სიმონი | 6:2, 6:2 |
| სტარაჩე-დავიდენკო | 6:4, 2:6, 5:7 |
| ფედერერი-ვოლანდრი | 2:6, 4:6 |
| ჩელა-როდიკი | 6:0, 6:4 |
| ნადალი-იუჟნი | 6:2, 6:2 |
| **WTA. ბერლინი** | |
| ივანოვიჩი-ა. ბონდარენკო | 6:3, 6:0 |
| კუზნეცოვა-მიულერი | 6:3, 6:2 |
| პეტროვა-დემენტიევა | 6:3, 6:3 |
| საფინა-საფაროვა | 3:6, 6:3, 6:2 |
| ჰინგისი-შნიდერი | 4:6, 0:6 |
| იანკოვიჩი-პენგი | 6:1, 6:7, 6:3 |
| მორესმო-ვაკულენკო | გადაიდო |
| ანენი-კამერინი | გადაიდო |
| **WTA. პრაღა** | |
| აზარენკა-დეში | 7:6, 6:1 |
| მორიგამი-სეკერა | 6:1, 6:3 |
| მოისბურგერი-პინი | 4:6, 4:6 |
| ციბულკოვა-ჰლავაჩკოვა | 6:1, 6:3 |

ჩოგბურთი

## ვილანდერის პროგნოზები

ლეგენდარულმა ჩოგბურთელმა, "დიდი სლემის" ტურნირების შვიდგზის ჩემპიონმა **მატს ვილანდერმა** ტელეარხ "ევროსპორტს" ინტერვიუ მისცა, სადაც მომავალ "როლან გაროსსა" და "უიმბლდონზე" საკუთარი პროგნოზები წარმოადგინა.

*"ტურში ბევრი ნიჭიერი ჩოგბურთელია, რომლებსაც დიდი მომავალი აქვთ - ჯოკოვიჩი, ბაღდატისი, გასკე, მიურეი... მაგრამ არა მგონია, რომ წლევანდელ "როლან გაროსზე" რომელიმე მათგანმა წარმატებას მიაღწიოს. საფრანგეთის ლიაზე ან ნადალი, ან ფედერერი გაიმარჯვებს, მათ კონკურენციას ვერავინ გაუწევს. რაც შეეხება უიმბლდონს, ბალახის კორტზე ახალგაზრდა მოთამაშეთა შანსები იზრდება და ნებისმიერმა შეიძლება ტურნირი მოიგოს"*, - ამბობს შვედი ჩოგბურთელი.

## როდიკი მწვრთნელის გარეშე დარჩა

პირადული ხასიათის მიზეზების გამო, ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა - **ჯიმი კონორსმა** დროებით უარი განაცხადა თანამემამულე **ენდი როდიკის** გაწვრთნაზე. უახლოესი ორი კვირის განმავლობაში, მსოფლიოს მესამე ჩოგანი მწვრთნელის გარეშე ითამაშებს. სავარაუდოდ, კონორსი ენდი როდიკს "როლან გაროსის" სტარტის წინ დაუბრუნდება. "დიდი სლემის" სერიის მეორე ტურნირი 27 მაისს აიღებს სტარტს.

ამჟამად, როდიკი რომის მასტერსზე თამაშობს და არგენტინელი **გასტონ გაუდიოს** დამარცხების შემდეგ, მერვედფინალის საგზურიც მოიპოვა.

## შარაპოვა რომის ტურნირს გამოტოვებს

ჯერჯერობით, ვერ ახერხებს გამოჯანმრთელებასა და WTA-ს ტურში დაბრუნებას რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, მხარის ტრავმის გამო, მსოფლიო რეიტინგის მეორე ჩოგანი მომავალ კვირას, რომის პირველი კატეგორიის ტურნირზე ვერ ითამაშებს.

ჯერჯერობით გაურკვეველია, მოახერხებს თუ არა შარაპოვა "როლან გაროსის" სტარტისთვის გამოჯანმრთელებას.

ჰოკეი

## სუნდინს ოპერაცია არ სჭირდება

ცნობილი შვედი ჰოკეისტის, **მატს სუნდინის** აგენტი აცხადებს, რომ "ტორონტო მეიპლ ლივზის" კაპიტანს ტრავმირებულ ფეხზე ოპერაცია არ სჭირდება.

*"გამოკვლევის შემდეგ, შვედმა ექიმებმა ჩათვალეს, რომ ქირურგიული ჩარევა საჭირო არ არის. სუნდინი მძიმე სეზონის შემდეგ დაისვენებს და მთელი ზაფხული წინასწარ დასახული გეგმით იმოქმედებს"*, - ამბობს **ჯეი პი ბერი**.

აგენტმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მთელი გასული სეზონი სუნდინი პრაქტიკულად, ტრავმით თამაშობდა, მაგრამ საბედნიეროდ, დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა. სხვათა შორის, სწორედ ამ ტრავმის გამო თქვა უარი ტორონტოელმა მსოფლიო ჩემპიონატში თამაშზე.

## მონრეალს საკუთარი ბაზა ექნება

უახლოეს ხანში, ჰოკეის ეროვნული ლიგის გუნდი - "მონრეალ კანადიენსი", ქალაქის გარეუბანში საკუთარ საწვრთნელ ბაზას მიიღებს. მონრეალის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა გეგმა, რომლის მიხედვითაც, ახალ სპორტულ კომპლექში აშენდება ყინული, სადაც "კანადიენსის" ჰოკეისტები ივარჯიშებენ.

აღსანიშნავია, რომ აქამდე, "მონრეალის" მოთამაშეებს სხვის მფლობელობაში მყოფ საწვრთნელ არენებზე უწევდათ ვარჯიში. ეს იმ შემთხვევაში ხდებოდა, თუ კლუბის საშინაო არენაზე (Bell Centre) კონცერტები ან რაიმე ღონისძიებები ტარდებოდა.

## დრაფტის პირველი ნომერი ცნობილია?

დაახლოებით თვენახევრის შემდეგ, ჰოკეის ეროვნული ლიგის ყოველწლიური დრაფტი გაიმართება. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის წინ, სკაუტთა საერთაშორისო სამსახურმა NHL-ის მომავალი ახალბედების რეიტინგი გამოაქვეყნა.

სავარაუდოდ, მომავალი დრაფტის პირველი ნომერი, OHL-ის ლიგაში მოასპარეზე "ლონდონ ნაითსის" ფორვარდი **პატრიკ კეინი** იქნება. გასულ სეზონში, ამ ჰოკეისტმა 58 მატჩში 145 ქულა დააგროვა, მისმა გუნდმა კი, OHL-ის დასავლეთი კონფერენციის ფინალში გაალწია.

გარდა ამისა, კეინი ამერიკის ნაკრებთან ერთად, 18-წლამდელთა მსოფლიო პირველობაზე ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა, თანაც 12 ქულით, ამ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ევროპელ ჰოკეისტებს შორის, დრაფტში ყველაზე მაღალი ნომერი, ალბათ, რუს **ალექსეი ჩერეპანოვს** ექნება, რომელიც ომსკის "ავანგარდის" წევრია. ის მიმდინარე რეიტინგში მეოთხე ადგილს იკავებს.

## იაგრი მის ინტერნეტზე ქორწინდება

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდი, 35 წლის **იარომირ იაგრი ინა პუგაიკოვაზე** ქორწინდება. ჩეხი ჰოკეისტის საცოლე 1986 წელს, უკრაინაში არის დაბადებული. ორი წლის წინათ, მან ჩეხეთში "მის ინტერნეტის" ტიტული მიიღო.

იაგრისა და პუგაიკოვას საქორწინო ცერემონიალი 7 ივნისს, ქალაქ კარლოვი ვარში, წმინდა პეტრე-პავლეს მონასტერში ჩატარდება.

ფორმულა 1

## ესპანეთში ორი გრან-პრი?

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი - **ბერნი ექლსტოუნი** დღეს, ქალაქ ვალენსიას მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად პრესკონფერენციას გამართავს.

სავარაუდოდ, ჟურნალისტებთან შეხვედრისას გამოცხადდება იმის შესახებ, რომ ფორმულა 1-ის 2008 წლის კალენდარს კიდევ ერთი ესპანური რბოლა შეემატება. გაისად, ვალენსიაში ევროპის გრან-პრი უნდა გაიმართოს. ეს იქნება ქუჩის რბოლა. სახელდახელო ავტოდრომი ქალაქის ცენტრში დაიდებს ბინას.

კრივი

## მეივეზერი-დე ლა ჰოია 2 მილიონმა იყიდა

ამერიკულმა ტელეკომპანია HBO-ს ხელმძღვანელობამ გამოაცხადა, რომ 5 მაისს, **ფლოიდ მეივეზერსა** და **ოსკარ დე ლა ჰოიას** შორის გამართული ბრძოლის ტრანსლიაცია 2.15 მილიონზე მეტმა ადამიანმა შეიძინა. ეს გახლავთ ნებისმიერი წონითი კატეგორიისთვის პროფესიული კრივის ახალი მსოფლიო რეკორდი.

წინა რეკორდი 1997 წელს, **მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლისას დაფიქსირდა - მაშინ, გაყიდული ფასიანი ტრანსლიაციების რაოდენობამ 1.99 მილიონი შეადგინა.



ტურნირების მიმოხილვა

# ნადალი რომაული ტიტულის დაცვას შეუდგა



რაფაელ ნადალი

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** გამარჯვებით დაიწყო რომის მასტერსის კამპანია, რომლის მიზანი, რა თქმა უნდა, ამ ტურნირის ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებაა. თიხნარის სპეციალისტს არ გასჭირვებია ტურნირზე უაილდ ქარდის წყალობით მოხვედრილი იტალიელი **დანიელე ბრაჩალის** დამარცხება.

20 წლის ესპანელმა პირველი წრე, როგორც მეორე ნომრად განთესილმა ჩოგბურთელმა, გამოტოვა. ბრაჩალისთან მოგებით კი, თიხნარზე ზედიზედ მოგებული მატჩების რაოდენობა 73-მდე გაზარდა.

ნადალის გარდა, მომდევნო წრეში თამაშის უფლება მოიპოვეს ამერიკელმა **ენდი როდიკმა** და რუსმა **ნიკოლაი დავიდენკომ**. პირველმა საკმაოდ იოლად მოუგო არგენტინელ **გასტონ გაუდიოს**, მეორემ კი დაძაბულ პაექრობაში აჯობა თანამემამულე **მარატ საფინს**.

ამ სამის გარდა, პირველი ხუთი განთესვის ნომრის მქონე კიდევ ორმა ჩოგბურთელმა დაძლია მეორე წრე. მათგან მსოფლიოს პირველმა ჩოგბურთელმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა** ეს პირველმა შეძლო. ბოლომ კი - სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, ვისაც სამი სეტი დასჭირდა შვედი **რობინ სოდერლინგის** დასამარცხებლად.

ნადალმა თავიდან უფერულად დაიწყო თამაში, მაგრამ პირველი სეტის მიწურულს, საკუთარ რიტმს მიაგნო და აქედან მოყოლებული, ბრაჩალის ხელის განძრევის საშუალებაც აღარ მისცა. ესპანელს რომის მასტერსი ორჯერ აქვს მოგებული და თუ ამას კიდევ ერთხელ შეძლებს, მაშინ გაიმეორებს ავსტრიელი **თომას მუსტერის** მიღწევას, ვინც პროფესიული ჩოგბურთის ისტორიაში ერთადერთი, რომის მასტერსი სამჯერ რომ აქვს მოგებული.

თურმე, ნადალი თამაშის დაწყებამდეც ცუდად ყოფილა, რის გამოც ექიმს გაესინჯა, მაგრამ მან საგანგაშო ვერაფერი აღმოუჩინა და კორტზე გასვლა ურჩია. მერვე გეიმის შემდეგ კი თავი უკეთ უგრძვნია და ეს მის თამაშსაც დაეტყო.

ნადალის მომდევნო მეტოქეა რუსი **მიხაილ იუჟნი**, ვისთანაც მას წინა ორი შეხვედრა ნაგებული აქვს. *"ის ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქეა. კარგი იქნება, თუ აქცენტს საკუთარ თამაშზე გავაკეთებ, მაქსიმალურად კარგად ვითამაშებ. თუ არა, მაშინ პრობლემები მექნება"*, - ამბობს ესპანელი.

თუ ბრაჩალისთან შეხვედრაში ნადალი აშკარა ფავორიტი იყო, იგივეს ვერაფრით ვიტყოდით როდიკზე, ვისაც გაუდიოს სახით, ფორტუნამ პირველივე ეტაპზე უსერიოზულესი მეტოქე შეახვედრა. თანაც, მაიამის ტურნირზე როდიკმა ტრავმა მიიღო, რომელიც ახლახანს მოიშუშა. ამიტომ, სათამაშო პრაქტიკაც აკლდა.

მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ამ სეზონში თიხის საფარზე პირველად ითამაშა, როდიკი მაინც იოლად გაუმკლავდა საფრანგეთის ღია პირველობის ყოფილ ჩემპიონს. გაუდიომ ოთხი მატჩ პოინტის მოგერიება კი შეძლო, მაგრამ შემდეგ ორმაგი შეცდომა დაუშვა, რითაც როდიკს კიდევ ერთი შანსი მისცა. ამერიკელმა კი ეს შანსი ისევ მეტოქის შეცდომის წყალობით, გამარჯვებად აქცია - გაუდიომ ბადესთან გასვლით სცადა ქულის მოპოვება, მაგრამ თავს ზემოდან შესრულებული დარტყმა გააცუდა.

აღსანიშნავია, რომ წინა სეზონებში როდიკი რომის მასტერსზე სულ ოთხჯერ გამოსულა და მისი საუკეთესო შედეგი მეოთხედფინალში გასვლა იყო. ამდენად, მას ამჯერადაც ფავორიტად არავინ მიიჩნევს. სამაგიეროდ, თავის გამოჩენის გაცილებით მეტი შანსი აქვს ჯოკოვიჩს, რომელმაც წინა კვირაში ეშტორილის ღია პირველობა მოიგო, ამ სეზონში კი სამი ტურნირი აქვს მოგებული.

სოდერლინგთან შეხვედრა მისთვის სერიოზული გამოცდა გამოდგა. გადამწყვეტ სეტში სერბმა რამდენიმე ბრეიკ პოინტი მოიგერია, მერვეში კი, როცა თავად მიეცა შანსი, ის კარგად გამოიყენა და ამის შემდეგ, პრობლემა აღარ შექმნია.

**P.S.** გუშინ რომში მესამე წრის შეხვედრები გაიმართა და პირველი სენსაციაც მოხდა. ფედერერმა ორ სეტში დათმო შეხვედრა იტალიელ **ფილიპო ვოლანდრისთან**. ეს უკვე მეტისმეტია - ჩოგბურთელი, ვინც მანამდე თითზე ჩამოსათვლელ თამაშებს აგებდა, ზედიზედ მეოთხე ტურნირს ტოვებს ნაადრევად.

წაგების შემდეგ, გაოგნებულ ჟურნალისტებს განუცხადა, არც ტრავმა მაქვს, არც ავად ვარ და არც სხვა რამ მაწუხებს. არც რომაული სიცხეა ჩემს წაგებაში დამნაშავე. უბრალოდ, ისე ვერ ვითამაშე, როგორც საჭირო იყოო - განაცხადა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.

### ATP

INTERNAZIONALI BNL D'ITALIA

რომი (იტალია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 2 082 500 ევრო

#### 1/16 ფინალი

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-დანიელე ბრაჩიალი (იტა) 6:4, 6:2; **ენდი როდიკი (აშშ, 3)**-გასტონ გაუდიო (არგ) 6:1, 7:6 (8); **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მარატ საფინი (რუს) 7:6 (4), 7:5; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 5)**-რობინ სოდერლინგი (შვედ) 3:6, 6:4, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 6)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:2, 6:1; **ტომი რობრედო (ესპ, 7)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 7:5, 4:6, 6:1; **ნიკოლას მასუ (ჩილ)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9) 7:6 (3), 7:5; **ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 12)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 7:6 (5), 6:3; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-რიშარ გასკე (საფ, 13) 6:4, 6:7 (5), 6:4; **მიხაილ იუჟნი (რუს, 15)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 7:6 (7), 6:3; **პოტიტო სტარაჩე (იტა)**-ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 16) 6:2, 3:6, 6:2; **მარკოს ბაღდატისი (კვიპ)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ) 3:6, 7:6 (5), 6:2; **ხუან იგნასიო ჩელა (არგ)**-იგორ ანდრეევი (რუს) 7:5, 7:5; **ჟილ სიმონი (საფ)**-გილერმო კანიასი (არგ) 7:6 (4), 6:4.

### WTA

გერმანიის ღია

ბერლინი (გერმანია). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 1 340 000 დოლარი

#### I წრე

**სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხ)**- დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ, 11) 6:1, 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 15)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:0, 7:5; **მარია ელენა კამერინი (იტა)**-ჟიე ჟენგი (ჩინ) 3:6, 6:3, 6:4; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 5:7, 6:2, 7:5; **სიბილ ბამერი (ავსტრია)**-ანჟელიკა რიოჩი (გერ) 7:5, 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ)**-არავან რეზაი (საფ) 7:6(15), 4:6, 6:0; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-გალინა ვოსკობოევა (რუს) 6:4, 6:3.

#### 1/16 ფინალი

**ჟუსტინ ანენი (ბელ, 1)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:1, 6:1; **ამელი მორეზმო (საფ, 2)**-ჟი იანი (ჩინ) 6:3, 6:3; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-სიბილ ბამერი (ავსტრია) 6:1, 7:5; **მარტინა ჰინგისი (შვეიც, 4)**-კატერინა ბონდარენკო (უკრ) 7:5, 7:6(7); **ელენა იანკოვიჩი (სერ, 5)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ) 6:3, 2:6, 7:5; **ნადია პეტროვა (რუს, 7)**-სევერინ ბრემონი (საფ) 6:4, 6:2; **დინარა საფინა (რუს, 8)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:4, 6:3; **ლუსი საფაროვა (ჩეხ)**-ანა ჩაკვეტაძე (რუს, 9) 6:4, 6:4; **ელენა დემენტიევა (რუს, 10)**-მეგან შონესი (აშშ) 5:7, 6:3, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერ, 12)**-ელენა ლიხოვცევა (რუს) 6:3, 6:2; **მარტინა მიულერი (გერ)**-შაარ პეერი (ისრ, 13) 6:2, 7:6(2); **მარია ელენა კამერინი (იტა)**-ნა ლი (ჩინ, 14) 4:6, 6:3, 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 15)**-ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ) 6:0, 6:1; **ალიონა ბონდარენკო (უკრ)**-ტატიანა გარბინი (იტა, 17) 6:4, 6:3; **იულია ვაკულენკო (უკრ)**-მეილენ ტუ (აშშ) 6:1, 7:6(4); **შუაი პენგი (ჩინ)**-სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხ) 7:5, 6:1.

### პრაღის ღია

პრაღა (ჩეხეთი). თიხნარი

**საპრიზო ფონდი**: 145 000 დოლარი

#### I წრე

**ნატალი დეში (საფ, 5)**-რენატა ვორაკოვა (ჩეხ) 7:5, 6:0.

#### II წრე

**მარიონ ბარტოლი (საფ, 1)**-ვიქტორია კუტუზოვა (უკრ) 6:3, 6:4; **ჯულია შრუფი (გერ)**-ოლგა პუჩკოვა (რუს, 3) 6:2, 6:2; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-ვირჟინ რაზანო (საფ, 7) 6:2, 7:6 (1); **იარმილა გაიდოშოვა (სლოვაკ)**-სანდრა კლოზელი (გერ) 6:0, 6:4.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოკა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა